სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაკა კოჭაური

ინგლისური ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა ტექსტის ავტონომიურად კითხვის დროს

(საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის მასალებზე დაყრდნობით)

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ღარიბაშვილი

პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

თელავი

2017 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენ მიერ შესრულებულ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ მასალებს. ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

მაკა კოჭაური

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ მანანა ღარიბაშვილს, რომელიც ყოველთვის მზად იყო, გაეზიარებინა ჩემთვის თავისი ცოდნა და გამოცდილება, რომლის თანადგომასა და მზადყოფანს დამხმარებოდა, მუდმივად ვგრძნობდი მრავალი წლის განმავლობაში. ადამიანს, რომლის მიერ გაწეული შრომა და წვლილიც განუზომლად დიდია.

ანოტაცია

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ეხება ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორიცაა ინგლისური ენის ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა ტექსტის ავტონომიურად კითხვის დროს (საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის მასალებზე დაყრდნობით.

დისერტაცია შედგება 132 გვერდისგან და გაფორმებულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი ფორმისა და მოთხოვნების დაცვით. ნაშრომს თან ახლავს: სატიტულო ფურცელი, განაცხადი, მადლობა, ანოტაცია ორ ენაზე (ქართული და ინგლისური), გამოყენებული ლიტერატურის და ინტერნეტ წყაროების ჩამონათვალი და დანართი.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი შედგება შესავალი ნაწილის, ოთხი თავისა და დასკვნა-რეკომენდაციებისგან.

შესავალ ნაწილში წარმოდგენილია თემის აქტუალობა, საკვლევი მიზნები და ამოცანები, კვლევის ობიექტი, საკვლევი მეთოდოლოგია, კვლევის ჰიპოთეზა, ნაშრომის პრაქტიკული და თეორიული ღირებულება, მეცნიერული სიახლე. ასევე, მოკლედაა განხილული დისერტაციის სტრუქტურა.

პირველ თავში, ,,სწავლის ავტონომიის (ავტონომიური კითხვის) პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები”, რომელიც შედგება სამი ქვეთავისაგან, გაანალიზებულია საკითხის ისტორია და ავტონომიური კითხვის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები;

მეორე თავში, ,,სწავლის ავტონომია მეთოდოლოგიურ ასპექტში”, რომელიც შედგება ოთხი ქვეთავისგან, განხილულია სწავლა-სწავლების პრობლემატიკა, მოტივაცია და მისი როლი ავტონომიური სწავლის დროს და სწავლის ავტონომია შემსწავლელთა ტიპებთან მიმართებაში.

მესამე თავში, ,,საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის კითხვითი დავალებები და ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა", რომელიც შედგება ოთხი ქვეთავისგან, მოცემულია საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის კითხვით დავალებებში შესული ტექსტების ვარიაციები და განხილულია ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა.

მეოთხე თავში, „ექსპერიმენტის მსვლელობა და მისი შედეგები", აღწერილია კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპერიმენტი და მოცემულია შედეგების ანალიზი. ჩატარებული კვლევებისა და ექსპერიმენტის შედეგებმა ცხადყო, რომ ლექსიკური ერთეულების ცოდნას კითხვითი დავალებების შესრულების პროცესში, იქნება ეს წაკითხულის გააზრება, მრავლობითი შერჩევის დახურული ტიპის ტესტი (ლექსიკური ერთეულების შერჩევა), სიტყვაწარმოება თუ ტექსტში გამოტოვებული წინადადებების ჩასმა, განმსაზღვრელი როლი აქვს, რაც სრულ შესაბამისობაშია კვლევის ჰიპოთეზასთან.

დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია დასკვნა-რეკომენდაციები.

Annotation

The doctoral thesis deals with the problems of perceiving and comprehending lexical units during the autonomous text reading (on the basis of International Certificate Exam tests).

The dissertation consists of 132 pages and designed according to forms and demands stated in the instructions of the doctorial educational curriculum and dissertational board. The work encloses a cover page, application, gratitude page, annotation in two languages (Georgian, English), references (the list of applied literature), the list of internet resources and enclosure.

The main content consists of introduction, four chapters, conclusion and recommendations.

The actuality of the topic, research goals and tasks, the object of the research, methodology applied, hypothesis, theoretical and practical values and scientific innovation of the thesis (work) is discussed in the introductory section. It briefly reviews the structure of the dissertation as well.

The first chapter - pedagogical and psychological principles of autonomous learning (autonomous reading) - consists of three sub-chapters and presents the history of the topic as well as pedagogical and psychological aspects of autonomous reading.

The second chapter, methodological aspects of autonomous reading, also contains four sub-chapters and discusses the problems of learning and teaching, motivation and its role in autonomous learning and relationship between learner autonomy and learner styles.

The third chapter, reading tasks in international certificate exam tests and problematics in the perception and comprehension of lexical units, comprises four sub-chapters and covers the following topics: text types applied in the reading session of the international certificate exam tests; problematics in the perception and comprehension of lexical units.

The fourth chapter, experiment and its results, specifies the experiment and result analysis. The results of researches and experimentation have clarified, that the knowledge of lexical units while performing reading tasks like: reading comprehension, multiple choice cloze test (choosing appropriate word), word formation and gap filling, has a crucial role (importance). This totally corresponds with the hypothesis of or research.

შინაარსი

განაცხადი.....i

მადლობა.....ii

ანოტაცია ქართულ ენაზე.....iii

ანოტაცია ინგლისურ ენაზე.....v

შესავალი.....3

თავი I

სწავლის ავტონომიის (ავტონომიური კითხვის) პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები:

1.1. შემსწავლელის ავტონომია და ავტონომიური სწავლა (ცნებების განსაზღვრება, საკითხის ისტორია).....11

1.2. ავტონომიური კითხვის პედაგოგიური ასპექტი; მასწავლებლის როლი ავტონომიური სწავლის დროს.....19

1.3. ავტონომიური კითხვის ფსიქოლოგიური ასპექტი.; აზროვნებისა და მეხსიერების ფორმები; დასწავლა და მისი ფაქტორები.....25

თავი II

სწავლის ავტონომიის მეთოდოლოგიური ასპექტები

2.1. სწავლა-სწავლების პრობლემატიკა.....46

2.2. შემსწავლელთა ტიპები და სწავლის ავტონომია.....….....50

2.3. მოტივაციის როლი ავტონომიური სწავლის დროს.....62

2.4. შემსწავლელთა თვითშეფასების უნარი.....71

თავი III

საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის კითხვითი დავალებები და მათთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა

3.1. უნარ-ჩვევების ტიპები უცხო (ინგლისური) ენის სწავლების პროცესში.....75

3.2. საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის კითხვითი დავალებების ვარიაციები და მათი შესრულების სირთულეები 77

3.3. სასწავლო ტექსტების ვარიაციები და მათი შერჩევის ძირითადი ფაქტორები.....81

3.4. ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა საერთაშორისო სასერთიფიკატო ტესტებზე მუშაობის პროცესში.....87

თავი IV

ექსპერიმენტის მსვლელობა და მისი შედეგები

4.1. კვლევის მიზნები და საკვლევი მეთოდოლოგია.....97

4.2. წინასაექსპერიმენტი ისტორია 98

4.3. ექსპერიმენტი.....111

4.4. მსჯელობა.....117

დასკვნები და რეკომენდაციები 121

გამოყენებული ლიტერატურა.....132

დანართები

შესავალი

თანამედროვე სამყაროში გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად ზრდის უცხო ენების, კონკრეტულად, ინგლისური ენის როლს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საკომუნიკაციო თუ საგანმანათლებლო სფეროში. იქიდან გამომდინარე, რომ ინგლისური ენა საერთაშორისო ენადაა აღიარებული და მისი ცოდნა ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევის ერთ-ერთ წინაპირობად ითვლება, ძალზე აქტუალურია ინგლისური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის საკითხი. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად მილიონობით აპლიკანტი, 130-ზე მეტ ქვეყანაში, გადის TOEFL, IELT და CIE-ს გამოცდების ტესტირებას.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იცვლება ინფორმაციის გადაცემის გზები და საშუალებებიც. თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით უცხო ენის შემსწავლელს საშუალება აქვს, დამოუკიდებლად, ავტონომიურად იმუშაოს საკუთარ თავზე და მიიღოს განათლება, როგორც სხვისი დახმარებით (მასწავლებელი, ფასილიტატორი, სხვა შემსწავლელი), ასევე, სრულიად დამოუკიდებლად. ენის ავტონომიურად დაუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა პასუხისმგებლობის აღებაა საკუთარი სწავლის პროცესზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ავტონომიურა სწავლა“ არც თუ ისე დიდი ხნის ისტორიას ითვლის. მისი სიახლის მიუხედავად, ინტერესი საკითხის მიმართ აშკარად გაცხოველებულია იმ მრავალრიცხვოვან მონოგრაფიებში, სტატიებსა და წიგნებში, რომლებიც ამ თემატიკაზეა გამოქვეყნებული. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ საქართველოში ავტონომიურ სწავლასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები საკმაოდ მწირია.

ტერმინი „ავტონომია“ უცხო ენის სწავლების სფეროში 1971 წელს დამკვიდრდა თანამედროვე ევროპული ენების პროექტის ფარგლებში. ტერმინის ავტორად ბევრი მიიჩნევს ივ შალონს, რომელიც, ამ პროექტის ფარგლებში, იყო საფრანგეთში, ნანსის უნივერსტეტში, დაარსებული ენის სწავლების კვლევითი ცენტრის CRAPEL-ის (Centre de Recherches et d’Applications en Langues) ხელმძღვანელი. შალონის

გარდაცვალების შემდეგ, 1972 წელს, ცენტრის ხელმძღვანელი გახდა ჰენრი ჰოლეკი, რომლის სახელიც მუდმივად ასოცირდება ავტონომიურ სწავლასთან (გვ.9, What is autonomy?http://catalogue.pearsoned.co.uk/assets/hip/gb/pearsonhighered/samplechapter/1408205017.pdf).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სწორედ CRAPEL და კემბრიჯის უნივერსიტეტი იყო მსოფლიოში პირველი ენის შემსწავლელი ცენტრები, რომლებიც უცხო ენის შემსწავლელს ენის ავტონომიური გზით შესწავლას სთავაზობდნენ.

თავდაპირველი გაგებით, ავტონომიური სწავლა მოიაზრებდა სასწავლო პროცესს, სადაც მასწავლებლის, ფასილიტატორის როლი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ჰოლეკის აზრით (Holec, 1981, გვ. 42), ავტონომიური სწავლის პროცესში „ძირითადი მეთოდოლოგია აღმოჩენას ემყარება. შემსწავლელს, მასწავლებლის დახმარებით, თუ მის გარეშე, უნდა შეეძლოს, აღმოაჩინოსის ის ტექნიკა და ცოდნა, რომელიც არსებული პრობლების გადასაჭრელად სჭირდება“. როგორც ამ ციტატიდან ჩანს, ჰოლეკს უკვე აქვს განსაზღვრული ავტონომიური სწავლა, როგორც მასწავლებლის დახმარებით, ასევე, მის გარეშე მართული პროცესი. მსგავსი განსაზღვრება გვხვდება რილი და ზოპისთანაც (Riley and Zoppis, 1985, გვ. 287), სადაც ერთმანეთისგანაა გამიჯნული ნახევრად-ავტონომიური (semi-autonomy) და სრულიად ავტონომიური (complete autonomy) სწავლა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ნაიმანის (Naiman et.al., 1978) მიდგომა, რომლის მიხედვითაც ავტონომიური სწავლა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ყველა სხვა მიდგომა სწავლის მიმართ.

ავტონომიური სწავლის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში. აღსანიშნავია ანიტა ვენდენის წიგნი „სწავლის სტრატეგიები ავტონომიის შემსწავლელთათვის“, რომელიც 1991 წელს გამოქვეყნდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექნოლოგიების განვითარებამ გარკვეულწილად შეცვალა ინფორმაციის გადაცემის საშუალებები და, შესაბამისად, ავტონომიურმა სწავლამ ტექნოლოგიებზე დაფუძვნებული სწავლის შინაარსი მიიღო. სწორედ

ტექნოლოგიების განვითარება გახდა ავტონომიური სწავლის განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი. ტექნოლოგიების განვითარება მკაფიოდ აისახა საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდების ფორმატზეც. მაგალითად, 2005 წლიდან TOEFL გამოცდის კომპიუტერულ (CBT) და ქაღალდის ფორმატს (PBT) დაემატა ინტერნეტზე (IBT) დაფუძვნებული ტესტირების ფორმატი, 2013 წლიდან კემბრიჯის გამოცდების კომპიუტერული ვერსიები და სხვა.

ავტონომიური სწავლის საკითხისადმი ინტერესი ყოველთვის არსებობდა და არსებობს. ამას ადასტურებს ის არაერთი შრომა, რომელიც აღნიშნული საკითხის გარშემო არსებობს სამეცნიერო სივრცეში. ასევე, არსებობს ცალკეული სამეცნიერო ნაშრომები საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე, თუმცა, ჩვენ მიერ საკვლევ ობიექტს საკმაოდ ხანმოკლე ისტორია აქვს, რაც, ალბათ, თავის მხრივ, განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ქართულ სამეცნიერო წრეებში ის თითქმის შეუსწავლელია.

რაც შეეხება ავტონომიურ კითხვას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, საკითხი, ზოგადად, ყოველთვის დიდი აქტუალობით გამოირჩეოდა. ჩვენ შევეცდებით, ყურადღება გავამახვილოთ უშუალოდ იმ ბარიერებზე, რომლებსაც ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგება ქმნის კითხვითი დავალებების შესრულების დროს.

როგორც უცხოური წყაროები იუწყება, საერთაშორისო ტესტებში შემავალ საკითხავ დავალებებზე მუშაობის დროს, მოსამზადებელ პერიოდში, ძირითადად ყურადღება მახვილდება კითხვის სტრატეგიებზე. ეს, რა თქმა უნდა, ქმნის გარკეულ პრობლემას და მოითხოვს ძალისხმევას, თუმცა, ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი სირთულე ავტონომიური კითხვის დროს ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგებასთანაა დაკავშირებული. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაც, სადაც კითხვითი დავალებების შესრულების დროს ყველაზე დიდ ბარიერს სწორედ ის ლექსიკური ერთეულები ქმნის, რომლებიც უცნობია ცდის პირთათვის. საქმე უფრო რთულდება, როცა ტესტში სხვადასხვა

ტიპის სამეცნიერო თემატიკის ტექსტები გვხვდება; იქნება ეს ბიოლოგია, სოციალური და საზოგადოებრივი მეცნიერებები, ფიზიკა და სხვ.

ჩვენი დისერტაციის თემა - ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა ავტონომიური კითხვის დროს (საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის მასალებზე დაყრდნობით), შეიძლება ითქვას, რომ თითქმის შეუსწავლელია, როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან სამეცნიერო-კვლევით სივრცეში.

საკითხის ირგვლივ, საერთაშორისო თვალსაზრისით, კვლევები საკმაოდ მწირია, რადგან თვითონ საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებს არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად, კემბრიჯის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ისტორია 1913 წლიდან იწყება (http://www.cambridgeassessment. org.uk/ about-us/who-we-are/our-heritage/retrieved:5.07.2016); მსოფლიოში ყველაზე აღიარებული საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა TOEFL 1964 წლით თარიღდება და ოფიციალურ ვებ. გვერდზე არსებული მონაცემებით, მონოგრაფიებისა და სამეცნიერო მოხსენებების რიცხვი 150-ს შეადგენს (გვ. 2, 2011, TOEFL iBT® Research · Insight . FOEFL program History. Series 1, Volume 6); 1976 წლიდან საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდების რიცხვს დაემატა IELT (International English Language Testing System - ინგლისური ენის ტესტირების საერთაშორისო სისტემა).

ლექსიკურ ერთეულებთან დაკავშირებული საკითხები, შეიძლება ითქვას, ყოველთვის აქტუალური იყო უცხო ენების შესწავლის თვალსაზრისით; ამაზე მეტყველებს საკითხის ირგვლივ არსებულ ნაშრომთა და კვლევათა დიდი რიცხვი.

რაც შეეხება ავტონომიურ სწავლას, ტერმინის დამკვიდრებიდან (1971 წ.) დღემდე, საკითხი ყოველთვის აქტუალურია და დიდი ინტერესით გამოირჩევა საერთაშორისო დონეზე. თუმცა, საქართველოში, შეიძლება ითქვას, საკითხი თითქმის შეუსწავლელია.

იქიდან გამომდინარე, რომ ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგება ხშირად ხდება ხელისშემშლელი ფაქტორი ავტონომიური კითხვის დროს, მით უმეტეს, თუ

საერთაშორისო გამოცდებზეა საუბარი (რომელთა წარმატებული ჩაბარებაც ძალზე მნიშვნელოვანია თითოეული აპლიკანტისთვის), ჩვენ ვთვლით, რომ პრობლემა აქტუალურია და შესწავლასა და საფუძვლიან კვლევას მოითხოვს.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების მონაცებზე დაყრდნობით, საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე ერთ-ერთი მთავარი სირთულე კითხვითი დავალებების შესრულების დროს ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემაა. შევეცადეთ, აპლიკანტებისთვის შეგვეთავაზებინა ალტერნატიული მასალა, რომელიც მათ ამ პრობლემის მოგვარებას გაუადვილებდა.

იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე გლობალურ სამყაროში საერთაშორისო გამოცდები ძალზე მოთხოვნადი და საჭიროა, ვთვლით, რომ ჩვენი სადისერტაციო თემა საკმაოდ **აქტუალურია** და თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საკვლევი თემის ირგვლივ არც თუ ისე ბევრი ნაშრომია, ის თამამად შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერულ სიახლედ და საკითხის სიღრმისეულად შესწავლის პირველ მცდელობად.

სამუშაოს მიზნები და ამოცანები:

გავარკვიოთ:

1. აქვს თუ არა ყველა შემსწავლელს ავტონომიური სწავლის თანაბარი უნარი; ახდენს თუ არა შემსწავლელთა ტიპები (ვიზუალი, აუდიალი, კინესთეტი, შერეული) ზეგავლენას მათი ავტონომიური სწავლის უნარზე;

•ამის გარკვევა დაგვეხმარება, შემსწავლელთა სხვადასხვა ტიპისათვის შესატყვისი დავალებების მორგებაში.

2. რა სიძნელეებს აწყდებიან საერთაშორისო გამოცდებზე გამსვლელი პირები კითხვითი დავალებების შესრულების დროს; რომელია ყველაზე პრობლემური კითხვით დავალებებს შორის;

• ყოველივე ეს დაგვეხმარება დავადგინოთ, რომელია შესასრულებლად ყველაზე რთული დავალება კითხვით დავალებებს შორის;

• დაგვეხმარება, ასევე, პრობლემის გადაჭრის ხერხებისა და სტრატეგიების შემუშავებაში;

3. ქმნის თუ არა ლექსიკური ერთეულების არცოდნა ბარიერს ტესტში შემავალი კითხვითი დავალებების შესრულების დროს; კონკრეტულად რომელი ლექსიკური ერთეულებია ყველაზე პრობლემური; რომელი თემატიკის ლექსიკური ერთეულები ქმნის ყველაზე დიდ პრობლემას;

• მოვიფიქროთ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები (მაგ. წინასწარ დამუშავებული ლექსიკური ერთეულების ჩამონათვალი დეფინიციებით, ან სხვადასხვა ტიპის დავალებები);

4. დავაკვირდეთ, რამდენად დაეხმარება ენის შემსწავლელებს წინასწარ მიწვდილი ლექსიკური ერთეულები თავისი დეფინიციებით კითხვითი დავალებების ავტონომიურად შესრულების დროს.

მთავარი კვლევითი კითხვა: როგორ დავეხმაროთ საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე გამსვლელ აპლიკანტებს კითხვითი დავალებების ავტონომიურად შესრულების დროს ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლების მოგვარებაში გამოცდის წინამოსამზადებელ პერიოდში.

კვლევის ობიექტი: სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ავტონომიური კითხვის დროს ლექსიკურ ერთეულებთან მიმართებით იდენტიფიცირებული პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის ფორმატში შემავალი კითხვითი დავალებების შესრულების პროცესში.

კვლევის ჰიპოთეზა: თუ საერთაშორისო სასერტიფიკატი გამოცდებზე გამსვლელ აპლიკანტებს გამოცდის წინამოსამზადებელ პერიოდში, შევთავაზებთ სხვადასხვა

სამეცნიერო თემატიკის მიხედვით დაჯგუფებული სიტყვების ჩამონათვალს, თავისი ინგლისურენოვანი განმარტებებით და შესაბამისი დავალებებით, მათი ლექსიკური ერთეულების ცოდნის მარაგი უფრო გამდიდრდება, რაც მათ დაეხმარება კითხვითი დავალებების შესრულების დროს.

საკვლევი მეთოდოლოგია: კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: რაოდენობრივი, თვისებრივი, ანკეტირება და დაკვირვება - ანალიზი.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდი ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდად არის მიჩნეული, რადგან მონაცემთა შეგროვების საიმედო წყაროდ ითვლება. იგი წინასწარ დაგეგმვას, მონაცემების შეგროვება-გადამუშავებას და შემდგომ ანალიზს მოითხოვს. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი „ობიექტური რეალობის წვდომის უკეთეს შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომლებიც დიდადაა დამოკიდებული მკვლევრის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე“ (წულაძე, 2008:4). სამომავლოდ კვლევის რაოდენობრივი მეთოდის შედეგად მიღებული მონაცემების საიმედოობას მისი რაოდენობრივი მაჩვენებლების ქულები თუ პროცენტები განაპირობებს.

რაც შეეხება კვლევის თვისებრივ მეთოდს, ის საკითხის უფრო ღრმა შესწავლას და ახსნას გულისხმობს. იგი საშუალებას მოგვცემს, კვლევის პროცესში ბუნებრივ პირობებში დავაკვირდეთ და უფრო სირღმისეულად გავაანალიზოთ ჩვენ მიერ შემუშავებული თითოეული აქტივობის, დავალების ეფექტურობა, თავისებურება. კვლევის თვისებრივი მეთოდი ნაკლებად ორგანიზებულია, ვიდრე კვლევის რაოდენობრივი მეთოდი. „თვისებრივი მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ და აღვწეროთ სამყარო კვლევის ობიექტის თვალით“ (ზურაბიშვილი, 2006:7) სწორედ კვლევის თვისებრივი მეთოდები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვუპასუხოთ ისეთ მნიშვნელოვან კითხვებს, როგორებიცაა „როგორ?“, „რატომ?“.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება: ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა და შემდგომი მიგნებები პრაქტიკული ღირებულების მატარებელია ინგლისური ენის პროფესორ-

მასწავლებელთა და საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე გამსვლელი პოტენციური აპლიკანტებისათვის (სტუდენტი, მოსწავლე და სხვა).

კვლევის თეორიული ღირებულება: კვლევის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ყველა ის სამეცნიერო სახის ნაშრომი თუ პუბლიკაცია, რომელსაც დისერტაციაზე მუშაობის დროს გავეცანით და გამოვიყენეთ; ასევე, ჩვენ მიერ შემუშავებული დასკვნა-რეკომენდაციებისა და ექსპერიმენტიის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული თეორიული მიგნებები.

დისერტაციის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავალის, ოთხი თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართისაგან. შესავალ ნაწილში წარმოდგენილია საკვლევი თემის აქტუალობა, მეცნიერული სიახლე, მიზნები და ამოცანები, ჰიპოთეზა, კვლევის მეთოდოლოგია და მისი პრაქტიკული და თეორიული ღირებულება. პირველ თავში, ,,**სწავლის ავტონომიის (ავტონომიური კითხვის) პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები",** რომელიც შედგება სამი ქვეთავისგან, წარმოდგენილია საკითხის ისტორია და ავტონომიური კითხვის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები; მეორე თავში, ,,**სწავლის ავტონომია მეთოდოლოგიურ ასპექტში",** რომელიც შედგება ოთხი ქვეთავისგან, განხილულია სწავლა-სწავლების პრობლემატიკა, მოტივაცია და სწავლის ავტონომია შემსწავლელთა ტიპებთან მიმართებაში. მესამე თავში, ,,**საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის კითხვითი დავალებები და ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა",** რომელიც შედგება ოთხი ქვეთავისგან, მოცემულია საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის კითხვით დავალებებში შესული ტექსტების ვარიაციები და განხილულია ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა. მეოთხე თავში, „ექსპერიმენტის მსვლელობა და მისი შედეგები", აღწერილია კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპერიმენტი და მოცემულია მისი შედეგების ანალიზი. **დასკვნით** ნაწილში შემოთავაზებულია დასკვნა-რეკომენდაციები. დისერტაციას თან ერთვის ბიბლიოგრაფია და დანართი.

თავი I

სწავლის ავტონომიის (ავტონომიური კითხვის) პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები

1.1. შემსწავლელის ავტონომია და ავტონომიური სწავლა (ცნებების განსაზღვრება, საკითხის ისტორია)

ადამიანს დამოუკიდებელი, ავტონომიური მოქმედების უნარი ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში (1-დან-3-წლამდე) უჩნდება, როდესაც ის თანდათან იწყებს დამოუკიდებლად გადაადგილებას, ჩაცმას, ჭამას და სხვ. „თუ აღმზრდელები ამხნევებენ მის დამოუკიდებელ მოქმედებას, ბავშვს უვითარდება ავტონომიის განცდა, შეგრძნება იმისა, რომ მას შეუძლია ბევრ ამოცანას და პრობლემას თვითონვე გაუმკლავდეს“ (ჯანაშია, იმედაძე, გორგოძე, 2008: 145).

ავტონომიური სწავლის მიმართ ინტერსი და ყურადღება ყოველთვის დღითი დღე იზრდება. ბევრი მეცნიერ-მკვლევარი თვლის, რომ შემსწავლელისთვის ავტონომიური სწავლის უნარი აუცილებელი პირობაა და მას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს (Stephenson and Laycock, 1993). ტერმინი „ავტონომიური სწავლა“, უცხო ენების სწავლასთან მიმართებაში, შედარებით ახალია და არც თუ ისე დიდი ხნის ისტორიას ითვლის. ტერმინის სიახლის მიუხედავად, ინტერესი საკითხის მიმართ აშკარად გაცხოველებულია იმ მრავალრიცხვოვან მონოგრაფიებში, სტატიებსა და წიგნებში, რაც ამ თემატიკაზეა გამოქვეყნებული. 2000-2010 წლებში 30-მდე სამეცნიერო ნამუშევარი გამოქვეყნდა მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ავტონომიურ სწავლასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები საკმაოდ მწირია.

ტერმინი „ავტონომია“ უცხო ენის სწავლების სფეროში 1971 წელს დამკვიდრდა თანამედროვე ევროპული ენების პროექტის ფარგლებში. ტერმინის ავტორად ბევრი მიიჩნევს ივ შალონს, რომელიც, ამ პროექტის ფარგლებში, იყო საფრანგეთში, ნანსის უნივერსტეტში დაარსებული ენების პედაგოგიური პროგრამებისა და კვლევების ცენტრის CRAPEL-ის (Centre de Recherches et d’Applications en Langues)

ხელმძღვანელი. შალონის გარდაცვალების შემდეგ, 1972 წელს, ცენტრის ხელმძღვანელი გახდა ჰენრი ჰოლეკი, რომლის სახელიც მუდამ ასოცრდება ავტონომიურ სწავლასთან (გვ.9, What is autonomy? http://catalogue. pearsoned.co.uk/ assets/hip/gb/hip_gb_pearsonhighered/samplechapter/1408205017.pdf).

ჰოლეკი (Holec, 1981:3) წიგნში „ავტონომია და უცხოური ენების სწავლა", შემსწავლელის ავტონომიას განსაზღვრავს, როგორც „პასუხისმგებლობის აღებას სწავლის ყველა ასპექტთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე" ("To take charge of one's learning is to have the responsibility for all the decisions concerning all aspects of this learning ").

მნიშვნელოვანია ნაიმანის (Naiman et.al., 1978) მიდგომა, რომლის მიხედვითაც, ავტონომიური სწავლა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ყველა სხვა დამოკიდებულება სწავლის მიმართ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ არ არსებობს ტერმინის ერთიანი, შეთანხმებული განმარტება. ტერმინში - „ავტონომიური სწავლა", შეიძლება, მოიაზრებოდეს: დისტანციური სწავლა, კომპიუტერზე დაფუძვნებული სწავლა, სწავლა არასასწავლო გარემოში მასწავლებლის გარეშე, სწავლა სასწავლო გარემოში მასწავლებლის გარეშე ან სწავლა სასწავლო, ფორმალურ გარემოში მასწავლების აქტიური თუ პასიური მონაწილეობით. როგორც ვხედავთ, ტერმინს საკმაოდ მრავალფეროვანი განმარტება შეიძლება მიეცეს. მაგალითად, ფილ ბენსონის (Benson, 1996) განმარტებით, ენის შემსწავლელის ავტონომია, შეიძლება, წარმოდგენილი იყოს მინიმუმ სამი სახით:

1. „ეს არის იდეალური მდგომარეობა, რაც სინამდვილეში იშვიათად მიიღწევა, რომლის დროსაც შემსწავლელი სრულ პასუხისმგებლობას იღებს სწავლის პროცესთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებაზე";
2. იგი გულისხმობს უნარ-ჩვევების მთელ რიგს, რასაც შემსწავლელი უნდა დაეუფლოს;
3. „შემსწავლელის ავტონომია არის თანდაყოლილი უნარი, რომელიც ინსტიტუციონალური განათლების პირობებში ქვეითდება" (Benson, 1996:27).

ლოგიკურია, ისმის კითხვა: რა იგულისხმება რეალურად ტერმინში - „ავტონომიური სწავლა“? ჩვენ შევეცდებით, პასუხი გავცეთ დასმულ კითხვას ცნობილი მეცნიერ-მკვლევრების მიერ გაკეთებული განმარტებების საშუალებით.

ძალზე საინტერესოდ აქვს ჩამოყალიბებული და განსაზღვრული შემსწავლელის ავტონომია დეივიდ ლითლს (Little, n.d. :81):

1. ავტონომია არ არის თვითინსტრუქცია, ანუ პროცესი, რომელიც გულისხმობს სწავლებას მასწავლებლის გარეშე;
2. სასწავლო გარემოში ავტონომია არ გულისხმობს მასწავლებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას და შემსწავლელებისათვის სრული თავისუფლების მიცემას;
3. ავტონომია არ არის მეთოდი, რომელსაც მასწავლებელი იყენებს სასწავლო პროცესში;
4. ავტონომია არ არის ქცევის ფორმა, რომელსაც ადვილად აღვწერთ;
5. ავტონომია არ არის შემსწავლელის მიერ მიღწეული მყარი მდგომარეობა.

„შემსწავლელის ავტონომია არის შემსწავლელის ფსიქოლოგიური ურთიერთობა სწავლის პროცესთან და შინაარსთან“(Little, n.d.: p.81).

ნოულესის (Knowles, 1980) და პონტონის (Ponton, 1999) თანახმად, ავტონომიური სწავლა არის ინდივიდის ფსიქოლოგიური ნიშან-თვისება, დამოუკიდებლად მართოს სწავლის პროცესი.

დემის (Dam et al 1990:102) განმარტებით, „ავტონომიური შემსწავლელი, ეს არის სოციალური, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე პირის დამოუკიდებელად ან სხვებთან თანამშრომლობით მოქმედების უნარი და სურვილი“.

ბენსონმა (Benson, 1997) უცხო ენების სწავლებაში ავტონომია უფრო განავრცო და სამი მიდგომა გამოყო:

- ტექნიკური, რომელშიც მოიაზრება სწავლის პროცესისათვის საჭირო ის უნარ-ჩვევები და სტრატეგიები, რომლებიც ზედამხედველის, მეთვალყურე პირის გარეშე მიმდინარეობს (კოგნიტური, მეტაგოგნიტური, სოციალური და სხვ.);

- ფსიქოლოგიური, რომელიც გულისხმობს ყველა იმ კოგნიტურ უნარს, რომელიც ადამიანს ავტონომიური სწავლის დროს საკუთარი პასუხისმგებლობის გასააზრებლად და განსამტკიცებლად სჭირდება;
- პოლიტიკური, რომელშიც იგულისხმება შემსწავლელების ემანსიპაცია მათთვის სწავლის შინაარსის და სასწავლო პროცესის გაკონტროლების უფლების მიცემით.

საინტერესოა, ასევე, ივან მურის (Moore, n.d.) მიერ წარმოდგენილი შემსწავლელის ავტონომიის კონცეპტუალიზაცია, რომლის მიხედვითაც შემსწავლელის ავტონომია ორ ფაქტორს მოიცავს:

1. ავტონომიურ შემსწავლელს განვითარებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ საკუთარი სწავლის პროცესის გაკონტროლების უნარი;
2. სასწავლო გარემომ შემსწავლელი უნდა უზრუნველყოს იმ შესაძლებლობებით, რაც მას სწავლის პროცესის გასაკონტროლებლად სჭირდება.

საკუთარი სწავლის პროცესის გაკონტროლების უნარის განვითარება გულისხმობს მთელი რიგი პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარებას. ესენია: თავდაჯერებულობა, მოტივაცია, პასუხისმგებლობისა და ინიციატივის აღების უნარი. ამასთანავე, ის გულისხმობს აკადემიური, ინტელექტუალური, პერსონალური და ინტერპერსონალური თვისებების განვითარებასაც.

ბრუნერის (Bruner, 1966) და როჯერსის (Rogers, 1983) მიხედვით, ავტონომიურია შემსწავლელი, ვისაც შეუძლია სასწავლო გარემოსა და რეალურ ცხოვრებას შორის არსებული ბარიერების გარღვევა, ფორმალური განათლების შედეგად მიღებული ცოდნის ცხოვრებაში ინტეგრირება, რაც განათლების ფსიქოლოგიის, განათლების თეორიისა და სასწავლო გეგმის შემადგენელი ძირითადი მიზანია.

ყურადღებამისაქცევია, ასევე, ჰოუვარდ გარდნერის (Gardner, 1993) მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შემსწავლელები სამ ძირითად ტიპად შეიძლება დაიყოს. ესენია:

1. ინტუიციური, რომელიც ცხოვრების საწყის ეტაპზეა და სხვებისგან სწავლობს ენას, სიმბოლოებს და ფიზიკურ სამყაროში არსებობისთვის საჭირო ცხოვრებისეულ თეორიებს;

2. ტრადიციული, რომლის ასაკიც დაახლოებით 7-დან 20 წლამდეა და რომელიც იღებს სკოლის მიერ შემოთავაზებულ განათლებას და მკაცრად იცავს სკოლის დისციპლინას;

3. დისციპლინარული ექსპერტი, რომელსაც შეუძლია არსებული ცოდნის და უნა-ჩვევების ახალი სიტუაციის შესაბამისად გამოყენება.

გარდნერის (Gardner, 1993) მიხედვით, სკოლის მთავარი ამოცანა სწორედ ისეთი შემსწავლელის ჩამოყალიბებაა, რომელიც დისციპლინარული ექსპერტივით აზროვნებასა და მოქმედებას შეძლებს; ანუ შეძლებს დამოუკიდებლად მოახდინოს არსებული ცოდნის თუ უნარ-ჩვევების ცხოვრებაში რეალიზება.

შეიძლება ითქვას, რომ გარდნერის „დისციპლინირებული ექსპერტი“ იგივეა, რაც „ავტონომიური შემსწავლელი”, როგორც ამას სხვა მეცნიერები მოიხსენებენ.

პირველი საგანმანათლებლო ცენტრები, რომლებიც შემსწავლელებს ენის ავტონომიურად დაუფლების შესაძლებლობებს სთავაზობდნენ საფრანგეთში, ქალაქ ნანსიში არსებული ენების პედაგოგიური პროგრამებისა და კვლევების ცენტრი, CRAPEL (Centre de Recherches et d'Applications Pédagogiques en Langues) და კემბრიჯის უნივერსიტეტი იყო. CRAPEL-ში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ მოზრდილი შემსწავლელების ფსიქოლოგიურ მზაობას, რომლებიც სწავლას მასწავლებლის უშუალო მეთვალყურეობითა და ჩართულობით იყვნენ მიჩვეულნი და მიიჩნევდნენ, რომ ავტონომიური შემსავლელის წარმატების აუცილებელი პირობა შემდეგი სამი უნარის განვითარება-ჩამოყალიბება იყო:

1. თვითმენეჯმენტი;
2. თვითმონიტორინგი;
3. თვითშეფასება.

სხვადასხვა პერიოდში ტერმინის „ავტონომიური სწავლა“ პარარელურად განსხვავებული ტერმინები დამკვიდრდა. ასეთი იყო, მაგალითად, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა. ნიუნანის (Nunan, 1996: 14) მოსაზრებით, მისი სასწავლო გეგმა ტრადიციული სასწავლო გეგმის მსგავს კომპონენტებს შეიცავდა, თუმცა, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პროცესში უშუალოდ შემსწავლელის მითითებით წყდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა, „ რა უნდა ისწავლებოდეს, როგორ უნდა ისწავლებოდეს, როდის უნდა ისწავლებოდეს და როგორ მოხდეს შესწავლილის შემოწმება“.

შემსწავლელის მომზადებაზე გაამახვილეს ყურადღება ელისმა, სინკლეარმა (Ellis & Sinclair, 1989) და ვენდონმა (Wendon, 1986). მათი აზრით, მნიშვნელოვანია შემსწავლელს ვასწავლოთ, როგორ დასახონ მიზნები და როგორ აღმოაჩინონ ის სტრატეგიები, რაც მათ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვასა და დასახული მიზნების მიღწევა - განხორციელებაში დაეხმარებათ. ნაიმანის მიხედვით (Naiman et al., 1978), ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი შემსწავლელზე ორიენტირებული სწავლის პროცესში არის თითოეული შემსწავლელის მიერ იმ სტრატეგიებისა და ტექნიკის აღმოჩენა-განვითარება, რაც უშუალოდ შეესაბამება მათ ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და პიროვნულ თვისებებს.

თუმცაღა, მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი (Chamotand Rubin, 1994; Smith, 1994) მიიჩნევდა, რომ ტერმინში - „შემსწავლელის მომზადება (learner training)”, სიტყვა „მომზადება“ არ შეესაბამება მის შინაარსს და უნდა ჩანაცვლდეს სიტყვით „განათლება“ ან „განვითარება“. შემსწავლელის მომზადების ეფექტურობის არადამაჯერებლობაზე მიუთითებს ასევე რის-მილერი (Rees-Miller, 1993).

კრიტიკის მიუხედავად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემსწავლელის ავტონომია კვლავაც რჩება აქტუალური განხილვის თემად და თანამედროვე პედაგოგიკაშიც და ფსიქოლოგიაშიც აღიარებულია, როგორც სწავლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მიდგომა (სტრატეგია).

1970-1980-იან წლებში ტერმინები ავტონომია და ინდივიდუალიზაცია ერთ ჭრილში განიხილებოდა. ინდივიდუალიზაციამ მალე პროგრამული სწავლების სახე მიიღო, რომლის ფაგრლებშიც შემსწავლელს ევალებოდა დამოუკიდებლად მუშაობა მასწავლებლის მიერ შერჩეულ მასალებზე. CRAPEL-ის მკვლევრები შეეცადნენ, ერთმანეთისგან გაემიჯნათ ავტონომია და ინდივიდუალიზაცია. რილის მიხედვით (Riley, 1986), პროგრამული სწავლება შემსწავლელს ართმევს არჩევანის თავისუფლებას, რაც ავტონომიის განვითარების აუცილებელი პირობაა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ, სავარაუდოდ, სწორედ ინდივიდუალიზაციის გამო ეწინააღმდეგებოდა ავტონომიურ სწავლას მეცნიერთა და მკვლევართა გარკვეული კატეგორია, რომლებიც მას იდეალისტურ, ნაკლებად რეალურ მიდგომად მიიჩნევდნენ იმ თვალსაზრისით, რომ ავტონომიური სწავლა განიხილებოდა, როგორც სწალის პროცესი, რომლის დროსაც კავშირი წყდება რეალურ ცხოვრებასთან, სოციუმთან. ცხადია, ენის შესწავლა ყოველთვის სოციალურ კინტექსტში განიხილებოდა, რადგან მიიჩნევა, რომ ენის დაუფლების საუკეთესო საშუალება სწორედ კომუნიკაციაა და აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი, ავტონომიური სწავლა გაცილებით არაეფექტურია. ეს, რათქმა უნდა, იმ მეცნიერთა და მკვლევართა მიდგომაა, რომლებიც ავტონომიურ, დამოუკიდებელ სწავლას განიხილავდნენ, როგორს იზოლირებულ პროცესს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, რადგან ავტონომიური სწავლა ნამდვილად არ გულისხმობს სწავლას იზოლაციაში, სოციუმის გარეშე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიკაციას სოციუმთან უდიდესი როლი უკავია ენის სწავლის პროცესში, რაზეც ყურადღება გაამახვილა არაერთმა მეცნიერ-მკვლევარმა. ამიტომ, აუცილებელია, ვისაუბროთ სოციუმის ზეგავლენაზე და ურთიერთკავშირზე ავტონომიურ შემსწავლელსა და სოციუმს შორის, რადგან „ავტონომიური შემსწავლელი“ არ გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრებისგან იზოლირებულ ადამიანს (Vygotsky, 1987). იქიდან გამომდინარე, რომ უცხო ენის შესწავლის პროცესში საზოგადოებასთან ინტეგრაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია, შესმსწავლელის ავტონომია უნდა განიხილებოდეს, როგორც ინდივიდუალური,

ასევე სოციალური ინტერაქციის ჭრილში. ძალზე საინტერესოდ არის წარმოდგენილი საკითხი ბენსონთან (Benson, 1996). მისი განმარტებით, ინდივიდუალური ავტონომია გულისხმობს სწავლის სტილსა და სტრატეგიებს, მაშინ, როცა სოციალურ ავტონომიაში მოიაზრება ცნობიერების ამაღლება და სწავლა ინტერაქციის, კოლაბორაციის, ინდივიდუალური რეფლექსიისა და ექსპერიმენტების საშუალებით.

ინდივიდის კოგნიტური განვითარების და ცოდნის ათვისების პროცესში სოციალური გარემოს როლზეა გამახვილებული ყურადღება ვიგოცკის სოციო-კულტურულ თეორიაშიც (Vygotsky, 1978).

ავტონომიური სწავლის სოციალურ კონტექსტთან მიმართებაზე მიანიშნებენ ასევე: ილიჩი, თაფი, ჰამონდი და კოლინსი, ჰოლიდეი მასლოუ და მრავალი სხვა (Illich, 1971; Tough, 1971; Hammond and Collins, 1991; Holliday, 1994; Maslow, 1968.). საინტერესოა რენსონის (Ranson, 1998) მიდგომაც, რომლის თანახმადაც, შემსწავლელის ავტონომია და დემოკრატია საზოგადოების დემოკრატიული პოლიტიკის შედეგია.

ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად ავტონომიური სწავლის ცნება მჭიდროდ დაუკავშირდა ტექნოლოგიებზე, კომპიუტერზე დაფუძვნებულ სწავლას. სწორედ ამიტომ დღესდღეობით ტერმინში ავტონომიური სწავლა ბევრი მეცნიერ-მკვლევარი, კომპიუტერზე დაფუძვნებულ სწავლასაც მოიაზრებს.

ავტონომიურ სწავლაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ 1977 წელს ლუსი გუგლიელმინოს მიერ შემუშავებული ე.წ. SDLRS თვითრეგულირებადი სწავლის მზაობის შკალა (იხ.დანართი #1). ეს არის კითხვარი, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის ავტონომიური სწავლისათვის მზაობის ხარისხს. SDLRS ნათარგმნია მრავალ ენაზე და გამოიყენება მთელ მსოფლიოში. იგი გამოყენებულია 95-ზე მეტ სადოქტორო დისერტაციაში და უნდა ითქვას, რომ 70-იან, 90-იან წლებში ითვლებოდა კვლევის ყველაზე ვალიდურ რაოდენობრივ მეთოდად (Guglielmino, n.d.). ლონგის (Long, 1991) მტკიცებით, სწორედ SDLRS -ის დამსახურებით მოიმატა

კვლევებმა საკითხის ირგვლივ და ავტონომიური სწავლის კვლევაში ყველაზე დიდი წვლილი ლუსი გუგლიელმინოს მიუძღვის.

კრიტიკის მიუხედავად, მეცნიერთა და მკვლევართა უმრავლესობა (Finestone, 1984; Russell, 1988; Posner, 1989; Merriam & Caffarella, 1999; Fisher, King, and Tague, 2001) SDLRS-ს საიმედოობასა და ვალიდობაზე თანხმდება.

ყოველივე ზემოთ თქმულის შესაჯამებლად ჩვენ გამოვიყენებთ პროფესორ ჯეკ რიჩარდსის (Richards, 2017) მიერ შემოტანილი ტერმინის „ავტონომიური სწავლა“ განმარტებას:

„ავტონომიური სწავლა არის შემსწავლელის მხრიდან აღებული პასუხისმგებლობა, თუ რა და როგორ ისწავლოს. შემსწავლელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული სწავლის მიზნების დასახვაში, სწავლის გზებისა და საშუალებების განსაზღვრაში და ნასწავლის შეფასებაში. ავტონომიური სწავლა სწავლის პროცესს უფრო ინდივიდუალურს ხდის და, შესაბამისად, უკეთესი შედეგიც მოაქვს, რადგან ის შემსწავლებლის საჭიროებებსა და არჩევანზეა დამყარებული“ (Richards, 2017).

1.2. ავტონომიური სწავლის (კითხვის) პედაგოგიური ასპექტი; მასწავლებლის როლი ავტონომიური სწავლის დროს

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტონომიურ სწავლაში, ერთი მხრივ, მოიაზრებდნენ შემსწავლელის მიერ დამოუკიდებლად მართულ პროცესს, რომელშიც ამ უკანასკნელს სრულად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი პასუხისმგებლობა, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ აზრს დაუპირისპირდა არანაკლებ არგუმენტირებული მოსაზრებები და თეორიები, რომელთა მიხედვიდაც ავტონომიურ სწავლაში მასწავლებელს დიდი როლი უკავია იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ის უნდა დაეხმაროს შემსწავლელებს ავტონომიური სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და დაუფლებაში.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ცხადია, შეიცვალა ხედვა ავტონომიური სწავლის შესახებ, რადგან წინა პლანზე გადმოვიდა

კომპიუტერი, როგორც ავტონომიური სწავლის ხელშემწყობი ფაქტორი და საშუალება, რომელიც შემსწავლელს უზრუნველყოფს ამოუწურავი სასწავლო რესურსით. თავისთავად, ცხადია, რომ გარკვეულწილად ეს არის მასწავლებლის „ჩანაცვლების“ ერთ-ერთი მცდელობა. საინტერესოა, რეალურად როგორ ნაწილდება ავტონომიური სწავლის პროცესში მასწავლებლისა და კომპიუტერის როლი და ფუნქციები.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თანამედროვე კვლევებში ყურადღება მეტწილად გამახვილებულია სწორედ კომპიუტერის როლსა და ფუნქციებზე ავტონომიური სწავლის პროცესში. ასევე, ბევრი კვლევა და ნაშრომი ეხება უშუალოდ მასწავლებლის მოსამზადებელ კურსებს, მათს მნიშვნელობას ავტონომიური სწავლისათვის (Lamb & Reinders, 2008), თუმცა, სამწუხაროდ, საკითხი სიღრმისეულად მაინც არაა გამოკვლეული და შესწავლილი.

ცხადია, რომ ავტონომიური სწავლის ეფექტურობას ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მასწავლებლის ინიციატივაა, მოამზადოს შემსწავლელები ავტონომიური სწავლისთვის, რაც მათში მოტივაციის გაზრდას, წახალისებას, პასუხისმგებლობის გაცნობიერებასა და ცოდნის გარკვეულ დონეს გულისხმობს.

ავტონომიური სწავლის ცნების განსაზღვრებისას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, თითქმის ყოველთვისა ნაგულისხმევი მასწავლებელი. ავტონომიური სწავლის მთავარი კონცეფცია გულისხმობს შემსწავლელის დახმარებას სხვადასხვა უნარ-ჩვევის განვითარებასა და დამოუკიდებლად აზროვნებაში; ასევე, ენის სწავლებას კომუნიკაციის მიზნით (Littlewood, 1996). მასწავლებლის როლი ავტონომიური სწავლის პროცესში მკაფიოდ აქვს გაანალიზებული ჰარდს მისი აზრით, თუ შემსწავლელი სათანადოდ არ იქნა მომზადებული ავტონომიისათვის, მის ხელთ არსებული რესურსები ვერ უზრუნველყოფს მასში სწავლის პროცესში აქტიურად ჩართვისა და გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღების უნარის გამომუშავებას (Hurd, 1998:72). ამის უტყუარი მტკიცებულება არის ლენი დემისა და ლინარდ

ლეგენჰაუსენის ათწლიანი კვლევა, რომლის შედეგებმაც დაამტკიცა, რომ ე.წ. ავტონომიზაციის პროცესი გაცილებით წარმატებულია, როცა ის მასწავლებლის (ფასილიტატორის) მიერ იმართება და არა სრულიად დამოუკიდებლად (cited in Learner autonomy and second/foreign language learning. Littli, D., https://www.llas.ac.uk/resources/gpg/1409).

მასწავლებლის როლის განსაზღვრის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ასევე, პიაჟესა და ვიგოდსკის ნაშრომები, რომლებიც ერთხმად აღიარებენ იმ ფაქტს, რომ ბავშვები აქტიურად არიან ჩართულნი სწავლის პროცესში და ცნობისმოყვარე თვალით შეისწავლიან და შეიმეცნებენ მათ ირგვლივ არსებულ სამყაროს.

პიაჟეს მიხედვით, ბავშვი დამოუკიდებლად მართავს საკუთარ კოგნიტურ განვითარებას და ეს თვითმოტივაციის დამსახურებაა. ხოლო ვიგოდსკის სოციო-კულტურული თეორიის თანახმად, ბავშვის კოგნიტურ განვითარებაზე ყველაზე მნიშვნელოვან როლს სოციალური კომუნიკაცია ასრულებს (ტეფნაძე, 2011).
განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს განვითარების პროქსიმალური ზონა, ანუ ZPD (იხ. დანართი #2), რომელშიც უშუალოდაა განსაზღვრული მასწავლებლის როლი ავტონომიურ სწავლაში.

ზემოთ ხსენებული თეორიის მიხედვით (Vygotsky, 1978:86), „განვითარების პროქსიმალური ზონა არის მანძილი პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის უნარის განვითარების რეალურ დონესა და მოზრდილთა მეთვალყურეობის ქვეშ პრობლემის გადაჭრის უნარის პოტენციურ განვითარებას შორის“.

ცხადია, შემსწავლელის „დახმარება’“, „მომზადება“ და „სწავლება“ სწორედ მასწავლებებლმა უნდა განახორციელოს. ავტონომია, ეს არის მდგომარეობა, რომელიც თანდათანობით მიიღწევა შემსწავლელისთვის უფრო და უფრო მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებით (Little, 2009). სწორედ მასწავლებლის დახმარებით, გარკვეული საფეხურების გავლის შემდეგ, მიაღწევს შემსწავლელი ნახევრად ავტონომიურიდან სრულ ავტონომიურ მდგომარეობამდე (Dickinson, 1987) .

ავტონომიზაციის პროცესის განსაზღვრების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ნეო-ვიგოტსკისეული თეორია, სადაც ხაზგასმულია კოგნიტური და სოციალურ-

ინტერაქტიული უნარების ურთიერთდამოკიდებულება სწავლის პროცესში. მასწავლებლის როლი კი ისეთი სასწავლო გარემოს შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს შემსწავლელისთვის ავტონომიური უნარის გამომუშავება-ჩამოყალიბებას. ასე რომ, ვიგოტსკის თეორიების მიხედვითაც მასწავლებლის როლი ავტონომიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია.

„ვიგოტსკის თეორიაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ეფექტიანი წარმართვა მასწავლებლისგან დიდ ოსტატობას მოითხოვს, რადგან იგი უმნიშვნელოვანეს დახმარებას უწევს მოსწავლეს. განვითარების უახლოეს ზონაზე დაფუძნებული სწავლება მასწავლებლისგან დახმარების (სკაფოლდინგის) ტექნიკების ფლობას და გამოყენებას გულისხმობს“ (ჯაფარიძე, n.d.: 39).

მასწავლებლის მნიშვნელოვან როლზე მეტყველებს ის კვლევები, რომლებიც უშუალოდ მასწავლებლის მომზადებას ეხება, რათა მან სწორად და ეფექტურად განავითაროს და ჩამოაყალიბოს შემსწავლელში ავტონომიური სწავლის უნარ-ჩვევები. შესაბამისად, მასწავლებელს მოეთხოვება ორი რამ:

1. ავტონომია;
2. ავტონომიური სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ცოდნა.

მასწავლებლის ავტონომია და შემსწავლელის ავტონომია მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მასწავლებლის ავტონომია განსაზღვრება, როგორც მასწავლებლის პროფესიული დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს, თუ რა და როგორ ასწავლოს შემსწავლელებს. (TEACHER AUTONOMY, 2014).

ავტონომიური სწავლის შესაბამისი უნარ-ჩვევები გულისხმობს შემსწავლელისთვის არამარტო ცოდნის, სასწავლო რესურსის გადაცემას, არამედ მათთვის კრიტიკული აზროვნების, მიზნის დასახვისა და მიღწევის გზების სწავლებას. ასევე, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარსა და საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვას და შედეგების ადეკვატურად შეფასებას.

მასწავლებლის შეუცვლელ როლზე მეტყველებს შემდეგი ფაქტორიც. ესაა - ინდივიდუალური მიდგომა. მხოლოდ მასწავლებელს შეუძლია სწავლის პროცესის

დაგეგმვა-წარმართვა შემსწავლელთა ტიპებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელს შესწევს უნარი, თითოეული შემსწავლელის პიროვნული თვისებების, ინტერესების, უნარის, სწავლის სტილის და მიზნების გათვალისწინებით დაეხმაროს ავტონომიურ შემსწავლელს ავტონომიური სწავლის პროცესის სწორად დაგეგმვა-წარმართვასა, და მისთვის საჭირო და შესაფერისი უნარების დაუფლება-განვითარებაში.

შემდეგი ფაქტორი, რაც განაპირობებს მასწავლებლის როლის აუცილებლობას, არის ინტერაქციის უნარი, რაც ასე მნიშვნელოვანია უცხო ენის სწავლის (და ზოგადად, სწავლის) პროცესში. არც ერთ ტექნოლოგიას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს მასწავლებელს ამ მიმართებით.

ფაქტორი, რაც განსაზღვრავს მასწავლებლის შეუცვლელ როლს სწავლის პროცესში, არის ის, რომ სწორედ მასწავლებელმა უნდა ასწავლოს შემსწავლელებს ტექნიკური საშუალებების სათანადოდ გამოყენება, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. კომპიუტერული ტექნოლოგიები არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი, რომელიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ეფექტურად წარმართოს სწავლის პროცესი.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ასევე განსაზღვრავს მასწავლებლის როლს, არის ის, რომ სწორედ მასწავლებელს შესწევს უნარი ობიექტურად შეაფასოს თითოეული შემსავლელის პროგრესი თუ სისუსტე და მიიღოს შესაბამისი ზომები (დამატებითი გაკვეთილები, დავალებები, ხელმეორედ ახსნა და სხვ.).

უდავოა ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიების როლი და ფუნქცია სასწავლო გარემოში დღითი დღე იზრდება. შესაბამისად, იზრდება მათი შესაძლებლობებიც. კომპიუტერულ ტექნოლოგიებს უდიდესი როლი უკავიათ ავტონომიური სწავლის დროს და მათ გარკვეულწილად, მართლაც, „ჩაანაცვლეს“ მასწავლებელი, თუმცა, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ ისინი ვერასოდეს შეძლებენ მასწავლებლის სრულიად ჩანაცვლებას. მხოლოდ მასწავლებელს შესწევს უნარი,

მოამზადოს შემსწავლელები ავტონომიური სწავლისთვის და დაეხმაროს მათ ავტონომიური სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს მასწავლებლის კომპეტენციაც. გარდა პიროვნული თვისებებისა, უდიდესი როლი ეკისრება: მოსწავლლეებთან პოზიტიურ დამოკიდებულებას, საგნის ცოდნას, მასწავლებლის მომზადებას და კვალიფიკაციას. იმის გამოსავლენად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლის კომპეტენცია და როგორ აისახება იგი მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე, მოვიყვანთ ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით ჩატარებულ კვლევებს, რომლებიც წარმოდგენილია ანიტა ვულფოლკის (ვულფოლკი, 2009) წიგნში - „განათლების ფსიქოლოგია“. ლინდა დარლინგ-ჰამონდის (2000) მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მაღალკვალიფიციური მასწავლებლის მოსწავლეთა შედეგები მათემატიკისა და კითხვითი დავალებების ტესტებში თითქმის ორჯერ აღემატება ნაკლები კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის მოსწავლეთა შედეგებს (ციტირებული: ვულფოლკი, 2009). საინტერესოა, ასევე, სანდერსის და რივერსის (Sanders & Rivers, 1996) მიერ სკოლაში, IV-VIII კლასებში, ჩატარებული კვლევები პედაგოგის კვალიფიკაციისა და მოსწავლეთა შედეგების კორელაციის გამოსავლენად. შედეგები აქაც გამაოგნებელია, რადგან სხვაობა ამ შემთხვევაში 50%-ზე მეტია (ციტირებულია: ვულფოლკი, 2009).

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ მოსწავლეთა მიღწევის დაბალი მაჩვენებელი მხოლოდ მასწავლებლის არაკომპეტენტურობის ბრალია, რადგან სწავლა მთელი რიგი პროცესების ერთობლიობაა, თუმცა, კვლევების მიხედვით დამტკიცებულია, რომ მოსწავლათა მიერ დაგროვილი ქულების მინიმუმ 7% უშუალოდ მასწავლებლის დამსახურებაა (Ravkin, Hanushek, & Kain, 2001. ციტირებულია: ვულფოლკი, 2009).

1. 3. ავტონომიური სწავლის ფსიქოლოგიურო ასპექტი; აზროვნებისა და მეხსიერების ფორმები; დასწავლა და მისი ფაქტორები

როდესაც განიხილება განათლებისა და სწავლა-სწავლების საკითხი, თავისთავად, იგულისხმება ფსიქოლოგია. „ფსიქოლოგია და პედაგოგიკა ორი დამოუკიდებელი მეცნიერაბაა, მაგრამ ისინი მოწყვეტილი როდი არიან ურთიერთს: ისინი ეხმარებიან და ავსებენ ერთმანეთს“ (უზნაძე, დ. 2005: 352). ამის დასტურია სწორედ განათლების ფსიქოლოგიის, როგორც ცალკე დარგის არსებობა.

განათლების ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერების ცალკე დარგი, დაახლოებით ასი წლის წინ ჩამოყალიბდა, თუმცა, ინტერესი საკითხის მიმართ ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ.-მდე შეინიშნებოდა. უოტსონის მიხედვით (Watson, 1961), ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნეში, დემოკრიტუსი წერდა განათლების უპირატესობასა და სწავლის პროცესზე ოჯახის ზეგავლენაზე, ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ პლატონი და არისტოტელე მსჯელობდნენ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ადამიანის სხვადასხვა ტიპზე მორგებული სწავლა; ფსიქომოტორული უნარების ჩამოყალიბება; ხელოვნების როლი ინდივიდის განვითარებაზე; მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა; სწავლების მეთოდები; სწავლის ბუნება და თანმიმდევრობა; მასწავლებლის როლი; სწავლა მასწავლებლის გარეშე და მრავალი სხვ.

განათლების ფსიქოლოგიისათვის მნიშვნელოვანი ფიგურაა ასევე ესპანელი ფილოსოფოსი, ჰუმანისტი და პედაგოგი ხუან ლუის ვივესი (1492-1540 წწ), რომელიც XVI საუკუნეში საუბრობდა სწავლის პროცესში მოსწავლეთა ინტერესის, მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებასა და თვითშეფასების უნარის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე (ბერძენიშვილი,2016; Berliner, n.d.). განათლების ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა იქონია ასევე ჩეხი მწერალი-ჰუმანისტის, პედაგოგის იან ამოს კომენსკის (1592-1670 წწ) შრომებმა. სწორედ მან დაამკვიდრა ვიზუალური საშუალებების გამოყენება წიგნებში და, ზოგადად, სწავლის პროცესში. ის მიუთითებდა, რომ სწავლების, ინსტრუქციის მიზანი არა ინფორმაციის დამახსოვრებაა, არამედ მისი გაგებაა და რომ ჩვენ ყველაზე კარგად ვსწავლობთ იმას, რასაც ვასწავლით (Berliner, n.d.). ბერლინერს (Berliner, n.d.)

განათლების ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილისთვის მოხსენიებული ჰყავს ასევე XIX საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი ჯონ ფრიდრიხ ჰერბარტი, ჟოზეფ მაიერ რაისი (1857- 1934) და, რაღა თქმა უნდა, ამერიკელი ფსიქოლოგი უილიამ ჯეიმსი (1842-1910), ამრიკელი ფსიქოლოგების ასოციაციის(APA) დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი სტენლი ჰოლი (1844-1924), ასევე, ამერიკელი ჯონ დიუვი (1859-1952) და ედუარდ ლი ტორნდაიკი (1874-1947), რომლებიც ითვლებიან განათლების ფსიქოლოგიის ფუძემდებლებად.

„განათლების ფსიქოლოგია საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეთა ფსიქიკური პროცესების შემსწავლელი მეცნიერებაა, რომელიც ფსიქოლოგიური და პედაგოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებით აყალიბებს შესაბამის რეკომენდაციებს ამ პროცესების განვითრების მიზნით“ (ასათიანი, 2008:56).

როგორც ვიცით, სწავლა საკმაოდ რთული, კომპლექსური კოგნიტური პროცესია, მასში შემავალი ფსიქოლოგიური ასპექტებით. სწავლის პროცესში ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორებიდან, როგორებიცაა: მეხსიერება, აზროვნება, დასწავლა, განწყობა, მოტივაცია, ასაკი, თავდაჯერებულობა, სწავლის მიმართ დამოკიდებულება, ურთიერთობა მოსწავლე-მასწავლებელს შორის, ნებისყოფა, გარემოს ზემოქმედება, ემოცია (ღელვა, შფოთვა), ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია:

1. აზროვნების, მეხსიერების და დასწავლის ფორმები, რადგან ისინი უშუალოდ არის დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების ათვისებასთან;
2. თვითაქტუალიზაცია, თვითმოტივაცია, თვითდაკვირვება, თვითშეფასება, როგორც ავტონომიური სწავლის აუცილებელი პირობა;
3. ემოციის (ღელვის, შფოთვის) ფაქტორი, რადგან იგი ხშირად ახლავს თან გამოცდებს.

აზროვნებისა და მეხსიერების ფორმები

„აზროვნება არის ინფორმაციის გადამუშავების პროცესი, რომლის მიზანია პრობლემის გადაჭრა, დასკვნების გამოტანა და გადაწყვეტილების მიღება. აზროვნება კოგნიტიური პროცესია, ანუ შინაგანად, გონებაში მიმდინარეობს, მაგრამ მისი შედეგი ქცევით ვლინდება“ (ბერძენიშვილი, 2017).

აზროვნება, როგორც გარესამყაროს ასახვის უმაღლესი და ურთულესი ფორმა, მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. აზროვნების პროცესში ადამიანი გადის ისეთ ოპერაციებს, როგორებიცაა: ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, განზოგადება, კონკრეტიზაცია, შედარება და კლასიფიკაცია (გოგიჩაიშვილი, 2006: 94-97).

ცხადია, აზროვნების ფორმები განსხვავდება ადამიანის ასაკის, კულტურის, სოციალური სტატუსის, სიტუაციის თუ პიროვნული თვისებების შესაბამისად.

ზოგადად, კლასიკურ ფსიქოლოგიაში არსებობს აზროვნების სამი ძირითადი ფორმა. ესენია:

1. პრაქტიკული აზროვნება;
2. თვალსაჩინო, ხატოვანი აზროვნება;
3. ვერბალური, ლოგიკური აზროვნება.

(უზნაძე, 1940: 205)

აზროვნების მიმოხილვის დროს აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ინტელექტზე. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ინტელექტი განისაზღვრება ბიოლოგიური, პედაგოგიური და სტრუქტურული თვალსაზრისით.

ბიოლოგიურად ინტელექტი არის „სიტუაციებისადმი შეგნებული შეგუების უნარი“; პედაგოგიური თვალსაზრისით, „ინტელექტი არის სწავლის უნარი“; სტრუქტურულად კი - „სხვადასხვა უნართა ერთობლიობა, რომლის ძირითადი ფუნქციაა გარესამყაროსთან შეგუება“ (გოგიჩაიშვილი, 2006).

საინტერესოა 1930-იან წლებში ტერსტოუნის (Thurstone, 1938) მიერ შემუშავებული ინტელექტის კლასიფიკიაცია, რომლის მიხედვითაც ინტელექტი ერთი ზოგადი უნარი კი არა, არამედ შვიდი პირველადი მენტალური უნარის ერთობლიობაა. ეს უნარებია:

1. ვერბალური აღქმა (Verbal comprehension);
2. ვერბალური მოქნილობა (Word fluency);
3. თვლის უნარი (number);
4. სივრცითი ორიენტაცია (Space);
5. მეხსიერება (Memory);
6. საგანთა მსგავსებისა და განსხვავების აღქმის უნარი (Perception--the ability to see differences and similarities among objects);
7. მსჯელობა (Reasoning).

ჩვენ მოკლედ განვიხილავთ მეხსიერებას, როგორც ინტელექტის ერთ-ერთ ნაწილს და სწავლის აუცილებელ პირობას.

მეხსიერების (ე.წ. მნემონიკის) საკითხი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, პლატონის პერიოდში, წარმოადგენდა ინტერსის საგანს. მას შემდეგ მრავალი მეცნიერი, ფილოსოფოსი ცდილობდა აეხსნა მისი არსი. საკითხის სერიოზული შესწავლა გერმანელმა ექსპერიმენტალური ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ჰერმან ებინგჰაუსმა (1850-1909) დაიწყო XIX საუკუნის ბოლოს. ჩატარებული ექსპერიმენტების საუძველზე, ებინგჰაუსმა (Ebbinghaus, 1913:4) გამოკვეთა გამეორების როლი დამახსოვრების პროცესში. მისი თქმით, ნებისმიერი მოცულობის და რაოდენობის ლექსიკური ერთეულებისა თუ ლექსების შესწავლა შეუძლებებლია ერთი გამეორებით ინდივიდის ყურადღების მაქსიმალური კონცენტრაციის და შესაძლებლობების პირობებშიც კი. ინფორმაციის საბოლოო, სიღრმისეულ დამახსოვრებას მხოლოდ მისი მრავალჯერ გამეორება უზრუნველყოფს. თუმცა, ებინგჰაუსი უმთავრესად მიანიშნებდა მეხსიერების მხოლოდ ნებისმიერ, ანუ აქტიურ ფორმაზე. კლასიკურ, ტრადიციულ ფსიქოლოგიაში კი განასხვავებენ, ასევე, მეხსიერების ე.წ. უნებლიე, პასიურ ფორმას,

სადაც ინფორმაციის „შენახვა და ცნობიერებაში აღდგენა სუბიექტის განზრახვის გარეშე, უნებლიედ“ ხდება (იმედაძე, ი. 2007:285). უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიაში გამოიყენება აგრეთვე ტერმინები: მეხსიერების ექსპლიციტური და იმპლიციტური ფორმები, რაც ნებისმიერი და უნებლიე მეხსიერების აბსოლუტური სინონიმებია. ი. იმედაძის (2007) თქმით, „სწორედ დამახსოვრების, შენახვისა და აღდგენის პროცესები წარმოადგენენ მეხსიერების, როგორც ფსიქიკური ფუნქციის უმთავრეს მახასიათებლებს“ (გვ. 286).

არსებობს მეხსიერების კლასიფიკაციის მრავალი ფორმა, რომელთაგან ჩვენ, მოცემულ შემთხვევაში, სამ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას. ესენია: სენსორული, ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერება.

სენსორული მეხსიერება - ფსიქიკაში ინფორმაციის შესვლა შეგრძნების ორგანოებით, ანუ სენსორული გზით (იკონიკური-ვისუალური გზით; ექოიტური-ბგერითი ფორმით, ჰეპტიკური-შეხების გზით და ა.შ.). ეს არის აღქმის პროცესის უმოკლესი ნაწილი (200-500 მილისეკუნდი) და მხოლოდ ის ინფორმაცია გადადის ხანმოკლე მეხსიერებაში, რომელიც პიროვნების ინტერესის, ყურადღების საგანს წარმოადგენს (Mastin, 2010 a).

ხანმოკლე მეხსიერება - სადაც ინფორმაცია შეზღუდული დროის (15-30 წამის) განმავლობაში ინახება (Atkinson & Shiffrin, 1971). შეზღუდულია ასევე ინფორმაციის რაოდენობაც. მილერის (Miller, 1956.) მიხედვით, ის შეადგენს 7 + - 2. ინფორმაციის შენახვა ხანმოკლე მეხსიერებაში, ძირითადად, ე.წ. აკუსტიკური კოდირების, ანუ ვერბალური გამეორების შემთხვევაში ხდება. იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ ხანმოკლე მეხსიერებაში ხდება ხანგრძლივ მეხსიერებაში შესატანი ინფორმციის გადამუშავება-ანალიზი, მას ოპერატიულ მეხსიერებასაც უწოდებენ (Baddeley and Hitch ,1974).

ხანგრძლივი მეხსიერება - ინფორმაციის შენახვის ბოლო ეტაპი, რომლის „მოცულობა და შენახვის დრო პრაქტიკულად განუსაზღვრელია“ (იმედაძე, ი. 2007:

295). იმედაძის (იმედაძე, ი. 2007) თანახმად, ხანგრძლივი მეხსიერების ძირეული მახასიათებლებია:

1. სტაბილურობა;
2. გენერაციულობა, ინფორმაციის კონსტრუირება;
3. გააზრებული გაგება.

ატკინსონისა და შიფრინის (Atkinson &Shiffrin, 1968) აზრით, ხანმოკლე მეხსიერებაში ინფორმაცია შეზღუდული ადგილისა და დროის გამო იკარგება, თუმცა, რაც უფრო ხშორად მოხდება ამ ინფორმაციის გამეორება, მით უფრო იზრდება მისი ხანგრძლივ მეხსიერებაში გადასვლის და შენახვის შანსი მასთან დაკავშირებული ასოციაციების წყალობით.

ხანგრძლივი მეხსიერების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული კლასიფიკაცია ეკუთვნის ტულვინგს (Tulving, 1972). იგი ხანგრძლივ მეხსიერებას შემდეგ ტიპებად ყოფს:

1. პროცედურული (მაგ: მოტორული უნარ-ჩვევების გაუცნობიერებელი, ავტომატური ცოდნა) ;
2. სემანტიკური (მაგ: ზოგადი ცოდნა სამყაროს შესახებ);
3. ეპიზოდური (მაგ: პირადი გამოცდილებით შეძენილი ცოდნა ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენაზე).

კოგნიტურ ფსიქოლოგიაში აღიარებენ, ასევე, კოჰენისა და სქუირის (Cohen & Squire, 1980) მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც ხანგრძლივი მეხსიერება პროცედურულ (გაუცნობიერებლად იცოდე, როგორ) და დეკლარაციულ (გაცნობიერებულად იცოდე, რა არის...) ტიპებად იყოფა.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეხსიერების სემანტიკური, ეპიზოდური და დეკლარაციული სახეები, რადგან სწორედ ისინი არიან ჩართულნი ლექსიკური ერთეულების სწავლა-დამახსოვრების პროცესში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დღესდღეობით დიდი ყურადღება ექცევა დამახსოვრების სტრატეგიებს, რადგან ითვლება, რომ ინფორმაციის და, ამ შემთხვევაში, ლექსიკური ერთეულების

სიღრმისეული დასწავლა-დამახსოვრება დამოკიდებულია არა მხოლოდ მისი გამეორებისა და დაზეპირების ხარისხზე, არამედ უმთავრესად, გონებაში მის გააზრებულ, სიღრმისეულ, სემანტიკურ გადამუშავებაზე (Yongqi, 2003; Craik &Lockhart, 1972; Schmitt & Schmitt, 1995).

ლუკ მასტინის (Mastin, 2010) დიაგრამა



დასწავლა, ზოგადად, ცოდნის შეძენას გულისხმობს, იქნება ეს გაცნობიერებული (შეგნებული), თუ გაუცნობიერებელი (უნებლიე). ქართველი ფსიქოლოგის ი. იმედაძის (იმედაძე, 2007) განმარტებით, შეგნებული, მიზანდასახული დასწავლა ადამიანის განზრახული ქმედებაა, მიიღოს ცოდნა და დაიმახსოვროს იგი. ამ პროცესის ხასიათს განსაზღვრავს ადამიანის მიზნები, ხასიათი, სასწავლო მასალა და სხვა. დასწავლა, ვიწრო გაგებით, არის „სემანტიკური მეხსიერების სისტემაში ახალი ცოდნის შეტანის ყველაზე გავრცელებული და ეფექტური საშუალება, ანუ აღქმის მიზანდასახული გამეორება დამახსოვრების მიზნით" (იმედაძე, 2007: 301) და განიხილავს ხუთ ძირითად ფაქტორს, რომელიც მნიშვნელოვანია დასწავლის პროცესში. ესენია:

1. მოტივაციის ფაქტორი;
2. ინტელექტუალური აქტივობის ფაქტორი;
3. სტრუქტურიზაციის ფაქტორი;
4. ფუნქციონალური ფაქტორი;
5. გამოცდილების ფაქტორი.

დასწავლის პროცესისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგი კანონზომიერებანი:

1. მასალის მოცულობის კანონი;
2. გამეორების რიგითი ადგილის კანონი;
3. გამეორებათა შორის ინტერვალის კანონი;
4. მასალის ადგილმდებარეობის კანონი.

დასწავლის ფაქტორები უზნაძის მიერ (უზნაძე, 1940) შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

1. ნებელობა;
2. ინტერესი;
3. ფიზიოლოგიური ფაქტორი;
4. სენსორული ფაქტორი;
5. ინტელექტუალური ფაქტორი.

იმისათავის, რომ უფრო სიღრმისეულად ვიმსჯელოთ დასწავლასა და მის ფაქტორებზე, საჭიროა, თავდაპირველად, მოკლედ განვიხილოთ სწავლის თეორიები.

პირველი თეორია, რომელიც 1900-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა, იყო **ბიჰევიორისტული თეორია**, რომელიც ძირითად ყურადღებას ამახვილებდა არა შემსწავლელზე, როგორც ინდივიდუალური თვისებების, უნარების, ინტერესების მქონე პირზე, არამედ გარემო ფაქტორებზე, მასწავლებელსა და სასწავლო მასალის გადაცემის ფორმებზე. ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით, ადამიანის განვითარების უმთავრესი პირობა დასწავლაა. თავის მხრივ, არსებობს დასწავლის ორი ფორმა:

- სწავლება კლასიკური მეთოდით;
- სწავლება სინჯვისა და შეცდომის მეთოდით და სწავლება კლასიკური მეთოდით.

მ. ჯაფარიძის განმარტებით, განპირობებულობა არის „დასწავლის ტიპი, როდესაც კავშირი მყარდება სტიმულსა და რეაქციას შორის“ (მ. ჯაფარიძე, გვ.9). დასწავლის კლასიკური განპირობებულობის ფორმა გულისხმობდა დასწავლას თანდაყოლილი რეფლექსების საფუძველზე. ქცევის კლასიკური, ანუ პირობით-რეფლექსურ განპირობებულობის თეორიას საფუძვლად უდევს ი.პავლოვისა და ჯონ უოთსონის (1913) მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები. კლასიკური განპირობებულობის ქცევის დასწავლა ხდება პირობით გამღიზიანებელზე საპასუხო რეაქციის შედეგად.

რაც შეეხება სწავლებას სინჯვისა და შეცდომის მეთოდით, “ეს არის დასწავლის ფორმა, რომელიც გულისხმობს ქცევის გაძლიერებას განმტკიცების შედეგად“ (ჯაფარიძე n.d.:9). მის ფუძემდებლად ითვლება ამერიკელი ფსიქოლოგი, ბ. ფ. სკინერი. ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე, სკინერი (Skinner, 1938) თვლიდა, რომ ადამიანი სწავლობს ახალ რეაქციებს, ქცევებს გარემო ფაქტორების, სტიმულების გავლენით საკუთარი ქცევის შედეგიდან გამომდინარე. რაც უფრო დადებითია შედეგი, მით უფრო მყარდება ესა თუ ის ქცევა. შესაბამისად, სწავლის პროცესში მიღებულ დადებით ემოციას თუ შეფასებას, უდიდესი როლი აკისრია, რადგან ის შემსწავლელს დიდ სტიმულს აძლევს დასწავლის პროცესში. სწორედ ამას უწოდა სკინერმა ე.წ. დადებითი (პოზიტიური) განმტკიცება.

„პოზიტიური განმტკიცება გულისხმობს სტიმულის მიწოდებას, რომელიც ადამიანში იწვევს დადებით ემოციას და ამით ზრდის ქცევის გამეორების ალბათობას“ (ჯაფარიძე, n.d.: 11).

სკინერის მტკიცებით, ადამიანს შეუძლია ნებისმიერი ინფორმაციისა თუ ქცევის დასწავლა, თუ მოხდება მისი სათანადოდ განმტკიცება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწავლის ბიჰევიორისტული თეორიის „ნაკლოვანებად“ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ის შემსწავლელზე, როგორც ინდივიდზე, არ არის სათანადოდ ორიენტირებული და უმთავრესად მიანიშნებს გარე ფაქტორებსა თუ სტიმულებზე და მათ ზეგავლენაზე ახალი ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლება.

ბანდურა - სოციალური დასწავლის თეორია სწავლების თეორიებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია კანადელი ფსიქოლოგის მიერ ჩამოყალიბებულ სოციალური დასწავლის თეორიას (social learning theory), რომელიც შემაერთებელ რგოლად ითვლება ბიჰევიორისტულ და კოგნიტურ მიდგომას შორის. ბანდურა (Bandura, 1977), გარკვეულ საკითხებში - სწავლება სინჯვისა და შეცდომის მეთოდით და სწავლება კლასიკური მეთოდით - ეთანხმება ბიჰევიორისტებს, თუმცა, მან განავრცო და შემოგვთავაზა უკეთესად ჩამოყალიბებული თეორია, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა გონებრივ, კოგნიტურ პროცესებს. ბანდურას მტკიცებით (Bandura, 1977), ადამიანის ფუნქციონირებას განსაზღვრავს არა მხოლოდ შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, არამედ მათი პიროვნული თვისებები სოციუმთან, გარემოსთან ურთიერთკავშირიც. „ადამიანის ქცევათა უმეტესობა „მოდელებზე“ დაკვირვების შედეგად ყალიბდება“. ადამიანი სწავლობს არა მხოლოდ საკუთარ ქცევებზე, არამედ მის გარშე მოარსებული სხვა ადამიანების ქცევებზე დაკვირვების შედეგად. იმისათვის, რომ დასწავლა სხვებზე დაკვირვების შედეგად იყოს წარმატებული, აუცილებელია შემდეგი ოთხი პირობა:

1. ყურადღება;
2. შენარჩუნება;
3. გამეორება;
4. მოტივაცია.

სხვებზე დაკვირვების შედეგად ადამიანს შეუძლია განჭვრიტოს ამა თუ იმ ქცევის პოტენციური შედეგი და იმოქმედოს მათ შესაბამისად. მას არა მხოლოდ სხვებზე დაკვირვება და მიბაძვა შეუძლია, არამედ შესწევს უნარი, გადაამუშაოს მიღებული ინფორმაცია და ფიქრის, ანალიზის შემდეგ იმოქმედოს. შედეგად, ადამიანის ქცევა უფრო და უფრო დამოუკიდებელი, თვითრეგულირებადი ხდება.

სწორედ **თვითრეგულაცია** წარმოადგენს სოციალური დასწავლის თეორიის ერთ-ერთ მთავარ, ამოსავალ წერტილს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თვითრეგულაციას 1970-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განათლების ფსიქოლოგიაში. საკითხი მნიშვნელოვანია, ასევე, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე.

ბანდურამ, შეისწავლა რა საკითხი (Bandura, 1991), დაასკვნა, რომ თვითრეგულაცია გულისხმობს სამი მთავარი ფაქტორის: გარემოს, ქცევის და პიროვნული თვისებების ურთიერთ დეტერმინირებას (კოგნიტური, ემოციური, ფიზიკური) და მოიცავს სამ საფეხურს:

1. თვითდაკვირვება;
2. განჯსა;
3. თვითრეაქცია.

თვითრეგულაციაში აქტიურადაა ჩართული, ასევე, შემდეგი მეტაკოგნიტური პროცესები:

1. მიზნების დასახვა;
2. დაგეგმვა;
3. თვითმოტივაცია;
4. ყურადღების კონტროლი;
5. სწავლის სტრატეგიების გამოყენება სწავლის მიზნების შინაარსის შესაბამისად;

6. თვითმონიტორინგი;

7. დახმარებისთვის მიმართვა;

8. თვითშეფასება.

თვითრეგულაციის არსებითი კომპონენტს წარმოადგენს თვითეფექტიანობა (Self-efficacy), საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, რაც ცხადად აისახება მოსწავლის წარმატებებსა და შედეგებზე (Bandura, 1991; Schunk & Zimmerman, 1997).

სწავლის პროცესში თავდაჯერებულობის მნიშვნელოვან როლზე საუბრობს სადისერტაციო ნაშრომში თ. ასლანიშვილი და აღნიშნავს, რომ ის მოტივაციის ამაღლების უმთავრესი პირობაა. აქვე დასძენს: „თავდაჯერებულობის გრძნობის ნაკლებობა არის სწორედ სირთულის დაძლევის შიშის წარმოშობის“ ფაქტორი (ასლანიშვილი, 2011: 51).

ჯონ ლითელვუდ კუკისა და გრეგ კუკის მიხედვით (J.L. Cook & G. Cook, 2008), უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანებში ადრეული ასაკიდანვე ვიზრუნოთ თვითრეგულაციის უნარის ჩამოყალიბებაზე, რაც გულისხმობს საკუთარი ქცევის, ემოციების, ფიქრების გაკონტროლებას და მართვას არსებული სიტუაციის მოთხოვნების შესაბამისად.

კეროლიმ (Karoly, 1993) უფრო განავრცო ეს განმარტება და აღნიშნა, რომ თვითრეგულაცია არის კომპლექსური პროცესი, რომელიც გულისხმობს ემოციების, მოტივაციის, აზროვნების, სოციალური ურთიერთობებისა და ფიზიკური ქცევების მართვას. ბოდროვასა და ლეონგის მიხედვით (Bodrova & Leong, 2006), თვითრეგულაცია გულისხმობს მთელ რიგ პროცესთა ორ ფართო ჯგუფს: სოციალურ-ემოციურს და კოგნიტურს.

თვითრეგულაცია, ანუ საკუთარი ქცევის ავტონომიურად მართვის უნარი, უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ, ზოგადად, ინდივიდის ჩამოყალიბების პროცესში. თვითრეგულირებული სწავლა, ფართო გაგებით, აღნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული ინფორმაციის ათვისებას; ის

გულისხმობს ადამიანის „აღჭურვას“ ყველა იმ უნარ-ჩვევით, რაც მას სამომავლოდ, ცხოვრებაში სჭირდება, იქნება ეს საკუთარი ქცევების, ემოციების მართვა გაკონტროლება, თუ მიღებული ინფორმაციის ანალიზი, დასკვნების გამოტანისა და პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი.

შემდეგი თეორია, რომელმაც მკვეთრად გამიჯნა შემსწავლელი, როგორც აქტიური მხარე სწავლის პროცესში, იყო **კონსტრუქტივიზმი**, რომლის ფუძემდებლებადაც ითვლებიან რუსი ფსიქოლოგი ლევ ვიგოტსკი და შვეიცარიელი ბიოლოგი, ფსიქოლოგი ჟან პიაჟე. კონსტრუქტივიზმის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ასევე ამერიკელ ფსიქოლოგს ჯერომ ბრუნერს. კონსტრუქტივიზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი სადისერტაციო ნაშრომისთვის, რადგან სწორედ კონსტრუქტივისტული მიდგომა იყო პირველი სწავლების თეორიებს შორის, რომელიც სწავლას განიხილავდა, როგორც შემსწავლელზე და არა მასწავლებელზე ორიენტირებულ პროცესს.

შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ ზემოთ დასახელეულ ფსიქოლოგთა თეორიები.

ლევ ვიგოტსკი - სოციო-კულტურული განვითარების თეორია (Socio-cultural development)

აღნიშნული თეორია სამ ასპექტს მოიცავს:

- სოციალური ინტერაქცია (Social interaction), რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს პიროვნების კოგნიტურ განვითარებაში. მისი მიხედვით, ბავშვი სწავლობს საზოგადოების წევრებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. და სწორედ ეს ინფორმაცია ხდება მისი კოგნიტური განვითარების წინაპირობა. განვითარება, თავის მხრივ, გულისხმობს მიღებული ინფორმაციის გათავისებას ისე, რომ ბავშვს დამოუკიდებლად აზროვნება და პრობლემების გადაჭრა, ანუ თვითრეგულაცია შეეძლოს. ვიგოტსკის (Vygotsky, 1978:57) თქმით: „ბავშვის კულტურული

განვითარების პროცესში ყველა ფუნქცია ორ ეტაპს გადის: პირველს, სოციალურ დონეზე (ინტერფსიქოლოგიური) და მეორეს, მოგვიანებით, ინდივიდუალურ დონეზე (ინტრაფსიქოლოგიური)“.

- უფრო კომპეტენტურნი, რაც გულისხმობს შემსწავლელზე უკეთესი განვითარების თუ უნარების მქონე პირს (მასწავლებელს, მოზრდის ადამიანს, ფასილიტატორს, და კომპიუტერსაც კი).

- განვითარების უახლოესი ზონა, რაც გულისხმობს მანძილს „პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის უნარის განვითარების რეალურ დონესა და მოზრდილთა მეთვალყურეობის ქვეშ პრობლემის გადაჭრის უნარის პოტენციურ განვითარებას შორის“ (Vygotsky, 1978: 86).

ვიგოტსკის თეორიაში გარკვევით გამოიკვეთა ადამიანებს შორის სოციო-კულტურული კომუნიკაციის, აზრების გაზიარების უმთავრესი როლი კოგნიტურ განვითარებაში. მისი (და ზოგადად, სხვა კონსტრუქტივიტების თეორიების) ზეგავლენით, შეიცვალა სწავლების ე.წ. ინსტრუქციული მოდელი, რომლის დროსაც მასწავლებელი იყო მთავარი პასუხისმგებელი პირი სწავლის პროცესში და მას ევალებოდა ცოდნის გადაცემა შემსწავლელთათვის, რომელთა მოვალეობაშიც შედიოდა მიწოდებული მზა მასალის დასწავლა-ათვისება. ვიგოტსკის თეორიამ გარკვეულწილად გადაანაწილა პასუხისმგებლობები, რადგან მოსწავლე არის პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლის პროცესში, თანდათან ეჩვევა პასუხისმგებლობის აღებას, დამოუკიდებლად აზროვნებას, პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრას, ანუ ე.წ. „თვითრეგულაციას“. ხოლო მასწავლებელი არის პირი, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს შემსწავლელს საწყის ეტაპზე, შემდეგ კი თანდათანობით ამცირებს თავის მხარდაჭერას და შემსწავლელს დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობას აძლევს. ასე რომ, შემსწავლელი ეტაპობრივად ხდება ავტონომიური შემსწავლელი.

ჟან პიაჟე - კოგნიტური განვითარების თეორია

პიაჟეს თეორიის თანახმად, ბავშვი მხოლოდ გარემოს და საზოგადოების ზეგავლენის შედეგად კი არ ვითარდება, არამედ გარემოსთან შეგუების პროცესში მისივე აქტიური ჩართულობით, რის საფუძველზეც ის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იძენს. აქ პიაჟესა და ვიგოდსკის შეხედულებები გარკვეულწილად გაიმიჯნა, რადგან ვიგოტსკი თვლიდა, რომ ბავშვის განვითარებას წინ უძღვის სწავლა, ის ინფორმაცია, რომელსაც ბავშვი საზოგადოებასთან, გარემოსთან ურთიერთობისას იძენს, ხოლო პიაჟე მიიჩნევდა, რომ განვითარება ყოველთვის წინ უსწრებს სწავლას.

პიაჟეს (Piaget, 1952) აზრით, ბავშვი კოგნიტური განვითარების პროცესში გადის ოთხ მთავარ ეტაპს. ესენია: სენსომოტორული; პრეოპერაციული; კონკრეტული ოპერაციები და ფორმალური ოპერაციები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიაჟე (Piaget, & Cook, 1952) ინტელექტუალური, შემეცნებითი აზროვნების ზრდას განიხილავდა, როგორც გარემოსთან ადაპტაციის შედეგს, რომელიც მიიღწვა ასიმილაციის, აკომოდაციის, და კონსტრუქციის შედეგად. ასიმილაცია, რაც გულისხმობს მიღებული ინფორმაციის გაგებას არსებული ცოდნის საფუძველზე; აკომოდაცია - შემეცნებითი სტრუქტურების გადაწყობა ახალი ინფორმაციის მიღების საფუძველზე. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ბავშვი აგებს ცოდნას, ანუ ახდენს მის კონსტრუქციას.

უნდა აღინიშნოს, რომ ასიმილაცია და აკომოდაცია კიდევ უფრო ამყარებს კონსტრუქტივისტულ მიდგომას.

ჯერომ ბრუნერი - აღმოჩენებით სწავლის თეორია

ბრუნერის წვლილი განსაკუთრებულად დიდია კოგნიტურ ფსიქოლოგიაში. მისი მიდგომა, ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, რადგან მას განსაკუთრებული ადგილი უკავია, როგორც მეცნიერს, რომელმაც ყურადღება გაამახვილა შემსწავლელის ავტონომიაზე.

ბრუნერი მიიჩნევს, რომ სწავლა - ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ბავშვი თვითონ ირჩევს სასწავლო მასალას, შეიმუშავებს ჰიპოთეზას, ხოლო შემდეგ აანალიზებს ახალ ინფორმაციას და ახდენს მის ინტეგრაციას უკვე არსებულ ცოდნასთან. ბავშვის კოგნიტურ განვითარებაზე ჩატარებული კველევების საფუძველზე, ბრუნერმა (Bruner, 1966) გამოყო აზროვნების პროცესის სამი ფორმა: მოქმედებითი გამოხატვა; ხატოვან-წარმოსახვითი და სიმბოლური.

ბრუნერი (Bruner, 1961) თვლის, რომ განათლების მიზანი ინფორმაციის, ცოდნის გადაცემა კი არ უნდა იყოს, არამედ ბავშვისათვის დახმარება და ხელშეწყობა, ისწავლოს დამოუკიდებლად აზროვნება და გამოიმუშაოს პრობლემების გადაჭრის უნარი სხვადასხვა სიტუაციაში. მისი განმარტებით, შემსწავლელმა არსებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, თვითონ უნდა შეძლოს ახალი ცოდნის კონსტრუირება-აგება კოდირების სისტემით ამ ინფორმაციის ორგანიზებისა და კატეგორიზაციის (კლასიფიცირების) საშუალებით. ბრუნერი (Bruner, 1961) მიიჩნევს, რომ კოდირების სისტემის განვითარება მასწავლებლის მიერ მზა ინფორმაციის მიწვდის შემდეგ კი არ უნდა მოხდეს, არამედ აღმოჩენის გზით. სწორედ ეს მოიაზრება აღმოცენებით სწავლის თეორიაში: შემსწავლელი თვითონ უნდა ახდენდეს ახალი ცოდნის კონსტრუირება-აგებას. აღმოჩენებით სწავლა მოსწავლის მხრიდან მეტ დამოუკიდებლობას, შესაბამისად, მასწავლებლის მხრიდან, ნაკლებად ჩარევას გულისხმობს. გარდა ამისა, ბრუნერი (Bruner, 2009) მიიჩნევს, რომ ადამიანი საკუთარი აღმოჩენებით ნასწავლ ინფორმაციას უფრო კარგად იმახსოვრებს, ვიდრე მზად მიწვდილს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრუნერმა (Bruner, 1978:19) შემოიტანა ტერმინი სკაფოლდინგი, რომელიც შინაარსობრივად ახლოს დგას ვიგოტსკის უახლოესი განვითარების ზონასთან. სკაფოლდინგი მოსწავლეს საშუალებას აძლევს, შეასრულოს დავალებები, რომლებიც მისი უახლოესი განვითარების ზონის ფარგლებში თავსდება. ეს არის „დამხმარე საშუალებათა სისტემა“.

კონსტრუქტივიზმი უაღრესად მნიშვნელოვანია სწავლის თეორიებს შორის, რადგან მან შემსწავლელი წარმოადგინა არა როგორც პასიური პირი, რომელიც მასწავლებლის მიერ მიწვდილ მზა მასალას ითვისებს, არამედ პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში და თვითონ შეუძლია ახალი ცოდნის აგება-კონსტრუირება არსებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე.

ავტონომიური სწავლის შინაარსიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია ჰუმანისტური ფსიქოლოგია, რომელიც 1960-იანი წლებიდან დამკვიდრდა, როგორც პიროვნებაზე ორიენტირებული მიმართულება, რომელიც ადამიანს განიხილავს საკუთარი თავის თვითრეალიზაციის პოტენციალის მქონე, უნიკალური შესაძლებლობების მქონე არსებას. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით კარლ როჯერსს და აბრაამ მასლოუს.

როჯერსის (Rogers, 1951) თქმით, ყველა „ორგანიზმს აქვს მიდრეკილება და სწრაფვა თვითრეალიზაციისაკენ“ (გვ. 487), რაც მას საკუთარი პოტენციალის გამოყენებით უმაღლესი დონის პიროვნებად ჩამოყალიბების შესაძლებლობას ანიჭებს, თუმცა, ადამიანის სრულფასოვანი განვითარებისათვის, ასევე, აუცილებელია გარემო, რომელიც მას უზრუნველყოფს: გულწრფელობით, დადებითი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით და თანაგრძნობით, ემპათიით.

როჯერსის (Rogers, 1967) აზრით, „კარგი ცხოვრება არის პროცესი და არა მდგომარეობა. ეს არის მიმართულება და არა დანიშნულების ადგილი“ (გვ. 187). შესაბამისად, არც ცოდნაა უცვლელი, მყარი მდგომარეობა. ცოდნაც პროცესია, რომელსაც მუდმივი ძიება და გამყარება ესაჭიროება. მთავარი სწავლების პროცესში არის ვასწავლოთ, როგორ ისწავლოს. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის ფუნქცია ფასილიტატორობით შემოიფარგლება, რაც გულისმობს მისი მხრდან ისეთი სასწავლო გარეოს შექმნას, რომელშიც მოსწავლეები თავად შეძლებენ დამოუკიდებლად, ავტონომიურად წარმართონ სწავლის პროცესი.

რაც შეეხება მასლოუს (Maslow, 1962), რომელიც ითვლება ჰუმანისტური ფსიქოლოგიის დამფუძვნებლად, მას თვითრეალიზაცია ადამიანის

მოთხოვნილებათა ხუთ საფეხურიანი (1. ფიზიოლოგიური; 2. უსაფრთხოება; 3. სიყვარული და საკუთრების ფლობა; 4. დაფასება; 5. თვითაქტუალიზაცია) იერარქიის (ის. დანართი #3) უმაღლეს დონეზე აქვს წარმოდგენილი. სწორედ ადამიანის პიროვნული ზრდის მოტივი განსაზღვრავს თვითაქტუალიზაციის ზრდას. მხოლოდ თვითრეალიზებული ადამიანი პოულობს სიცოცხლის აზრს. მასლოუს (Maslow, 1970) თქმით, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ყველა პიროვნებას აქვს თვითაქტუალიზაციის უნარი, რეალურად მხოლოდ 2% თუ აღწევს ამ მდგომარეობას. უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით, 60-70-იან წლებში, წარმოდგენილ იქნა მოთხოვნილებათა შვიდ და რვა საფეხურიანი იერარქია, სადაც შედიოდა ასევე კოგნიტური, ესთეტიკური და ტრანსცენდენტული მოთხოვნილებები. მოთხოვნილებათა იერარქიის გათვალისწინება სწავლის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია. სწორედ მასლოუმ (Maslow, 1970) შეიმუშავა ე.წ. ჰოლისტიკური მიდგომა, რაც გულისხმობს პიროვნების ფიზიკური, ემოციური, სოციალური და ინტელექტუალური თავისებურებების ზეგავლენას სწავლის პროცესზე. რაც შეეხება მასწავლებლის როლს, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მანამდე, სანამ მოსწავლე კოგნიტური მოთხოვნილებების საფეხურს მიაღწევს. ხოლო შემდგომ საფეხურზე, მასწავლებელმა უნდა იზრუნოს, რომ მოსწავლეს შეუქმნას გარემო, სადაც ის თავს დაფასებულად და პატივცემულად იგრძნობს. სწორედ საკუთარი თავის რწმენის გაძლიერებაში უნდა დაეხმაროს მასწავლებელი მოსწავლეს. ეს კი, თავისთავად, განაპირობებს თვითაქტუალიზაციის და დამოუკიდებლად მოქმედების უნარის ზრდა-ჩამოყალიბებას.

ემოციის ფაქტორი

ემოციები შეიძლება აღვწეროთ, როგორც ყველაზე სუბიექტური პროცესი ფსიქიკურ პროცესებს შორის, რადგან ის არის ინდივიდის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც ასახავს მის დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენის ობიექტის და, ზოგადად, სამყაროს მიმართ. სწორედ მისი სუბიექტური ხასიათის გამო ითვლება, რომ ზოგჯერ „ემოცია ხელს უშლის ეფექტურ ქცევას“, რადგან მას „მადეზორგანიზებელი მოქმედება ახასიათებს“ (იმედაძე, ი. 2007: 230-231). ამას

ემატება ასაკობრივი თავისებურებებიც. ფსიქოლოგები მოზარდობის ასაკს ხშირად უწოდებენ „ემოციური შფოთვის ასაკს“, რადგან ის ხასიათდება ინტენსიური, ცვალებადი, დადებითი და უარყოფითი ემოციებით, რომლებიც გარეგნულად შეიძლება სულაც არ შეესაბამებოდნენ მათ გამომწვევ მოვლენებს (ჯანაშია, იმედაძე, გორგოძე, 2008: 163).

გამოცდების ჩაბარების მომენტში განსაკუთრებით შესამჩნევია ისეთი ემოციების სიჭარბე, როგორებიცაა ღელვა და შფოთვა.

ქართველი ფსიქოლოგის მარინა გოქსაძის (გოქსაძე, 2017) აზრით, „ღელვა არის მნიშვნელოვან მოვლენაზე ნერვული სისტემის ადეკვატური რეაქცია“, რომელიც მოსწავლეებს გამოცდის დროს ცოდნისა და ძალების მობილიზებაში ეხმარება. განსხვავებით შფოთვისგან, რომელიც „ქრონიკული დათრგუნული ემოციების გამწვავებაა“ და ხელისშემშლელ ფაქტორად ითვლება ნებისმიერ სიტუაციაში.

„შფოთვა ძირითადად ჩნდება მაშინ, როდესაც პიროვნება მოცემულ სიტუაციას განიხილავს, როგორც სახიფათოს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის“ (იმედაძე, ი. 2007).

საინტერესოა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებები, რომლებიც ნ. პაპუნაშვილის და მ. ღარიბაშვილს მიერაა წარმოდგენილი (პაპუნაშვილი, ღარიბაშვილი, 2016):

„1) მოსწავლეებს თანდაყოლილი ღელვა გააჩნიათ ტესტების/გამოცდების მიმართ;

2) საგამოცდო ღელვა ე.წ. მენტალური დაავადებაა;

3) შეუძლებელია საგამოცდო ღელვის შემცირება;

4) გამოცდისათვის მოუმზადებელ ყველა მოსწავლეს მეტნაკლებად თანაბრად ეუფლება გამოცდისადმი/ტესტირებისადმი ღელვა;

5) საგაკვეთილო პროცესზე პერმანენტული დასწრება და საშინაო დავალების ზედმიწევნით შესრულება ამცირებს გამოცდისადმი/ტესტირებისადმი ღელვას;

6) ღელვისადმი ყურადღების არმიქცევა ავტომატურად აქრობს ღელვის განცდას მოსწავლეებში;

7) ღელვის შემცირება უკეთესი აკადემიური მოსწრების გარანტიაა.“

განსაკუთრებით საინტერესოა ნ. პაპუნაშვილის და მ. ღარიბაშვილის (პაპუნაშვილი, ღარიბაშვილი, 2016) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ:

ა) ღელვის მომენტი მნიშვნელოვნად იზრდება უცხო ენაზე საუბრისა და წერის დროს;

ბ) ღელვის კოეფიციენტი განსაკუთრებით მაღალია საგამოცდო/ტესტირების პერიოდში;

გ) ღელვის მომენტი მნიშვნელოვნად იზრდება საგამოცდო საკითხების/ტესტირების შესრულებაზე დროის ათვლისას (პაპუნაშვილი, ღარიბაშვილი, 2016: 136).

პროფ. ი. იმედაძის (იმედაძე, ი. 2007:252) თანახმად, შფოთვა „ძირითადად ჩნდება მაშინ, როდესაც პიროვნება მოცემულ სიტუაციას განიხილავს როგორც სახიფათოს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის“.

განასხვავებენ შფოთვის სამ ძირითად ასპექტს:

1. შფოთვა, როგორც აქტუალური ემოციური მდგომარეობა;
2. ფოთვა, როგორც პიროვნების მახასიათებელი;
3. შფოთვა, როგორც მოტივაციის ფაქტორი.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მესამე ასპექტი, რადგან ყველაზე მეტად სწორედ ის განსაზღვრავს შედეგის ეფექტურობას. არსებობს შფოთვისა და

სასწავლო, შრომითი ქცევის ურთიერთქმედების გამოსაკვლევად ჩატარებული მრავალი კვლევა, რომელთა მიხედვითაც, „მეტისმეტად მაღალი შფოთვა არღვევს მოქმედებას, ზრდის შეცდომების რაოდენობას“. ხოლო მეტისმეტად დაბალი შფოთვის დონე ადამიანს „ინდიფერენტულს ხდის ქცევის მიმართ“ (იმედაძე, ი. 2007:253). ასე რომ, ქცევის მოტივაციისა და შედეგის ოპტიმალური ვარიანტი, შფოთვის საშუალო დონეა, ვინაიდან ის ხელს უწყობს მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლენას.

მიუხედავად იმისა, რომ ღელვა და შფოთვა ძნელად გასაკონტროლებელი განცდაა და გარკვეულად, შეიძლება, ხელიც შეუშალოს ადამიანს სწავლის და მით უმეტეს, გამოცდის ჩაბარების დროს, ითვლება, რომ ისინი დაძლევადი და კონტროლირებადია (რაც გულისხმობს, თვითრეგულაციის უნარის გამომუშავებას), თუ მოხდება ამ მიმართებით წინასწარი მუშაობა თავად საკუთარ თავზე, ან/და მასწავლებლისა თუ ფასილიტატორის მიერ.

ამგვარად, ავტონომიური სწავლის (ავტონომიური კითხვის) პედაგოგიური ასპექტის განხილვის შედეგად, გამოიკვეთა, რომ პროფესორ-მასწავლებლებს უდიდესი როლი ენიჭებათ ავტონომიური სწავლის პროცესში, რადგან სწორედ ისინი უზრუნველყოფენ შემსწავლელში იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც მას ავტონომიური სწავლის (ავტონომიური კითხვის) დროს სჭირდება. ჩვენ ვთვლით, რომ ავტონომიზაციის პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმატებული, როდესაც ის პროფესორ-მასწავლებლის მიერ იმართება, განსაკუთრებით, საწყის ეტაპზე.

რაც შეეხება ავტონომიური კითხვის ფსიქოლოგიურ ასპექტს, ჩვენთვის საყურადღებოა:

- აზროვნება და მეხსიერება, რადგან ლექსიკური ერთეულების დასწავლა სწორედ მის ხანგრძლივ მეხსიერებაში შენახვას გულისხმობს;
- ემოცია, როგორც გამოცდების თანმდევი განცდა.

თავი II

სწავლის ავტონომიის მეთოდოლოგიური ასპექტები

2.1. სწავლა-სწავლების პრობლემატიკა

სწავლა-სწავლების საკითხი უძველესი დროიდან წარმოადგენდა ინტერესის საგანს. კაცობრიობის არსებობის განმავლობაში სხვადასხვა ეტაპზე არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები და მიდგომები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჩვენი განათლების სისტემა მასწავლებელზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს წარმოადგენდა, სადაც მასწავლებელი ცენტრალური და აქტიური ფიგურა იყო. დროთა განმავლობაში აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა და დღეისათვის სასწავლო გარემო და პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული. მოცემულ შემთხვევაში მთავარი პრობლემა იმ გზების, ხერხების თუ მეთოდების მიგნებაა, თუ როგორ მივაღწიოთ სასურველ შედეგს - გადავიდეთ მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაზე.

სწავლების პრობლემატიკა მუდამ აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა განათლების მეცნიერების ისტორიის მანძილზე. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში, კლასიკური პედაგოგიკის ფუძემდებელმა, მოაზროვნემ, იან ამოს კომენსკიმ (Comenius, 1673) აღნიშნა, რომ საჭირო იყო ისეთი მეთოდების შერჩევა და გამოყენება, რომლებიც, ერთი მხრივ, შეამცირებდნენ მასწავლებლის აქტიურ ჩარევას სასწავლო პროცესში და, მეორე მხრივ, გაზრდიდნენ მოსწავლეთა აქტიურობას.

ერთ-ერთი პირველი, ვინც სწავლის სტრატეგიებზე წამოიწყო საუბარი და დაიწყო საკითხის კვლევა, იყო რუბინი (Rubin, 1975), რომელიც სტრატეგიას განსაზღვრავდა, როგორც ინდივიდუალის მიერ ინფორმაციის გადამუშავებისა და ათვისების სპეციფიურ უნარს. ის მიიჩნევდა, რომ ამ უნარს წარმატებული მოსწავლეები ფლობდნენ, თუმცა, შესაძლებელი იყო მისი განვითარება სუსტ მოსწავლეებშიც.

ოქსფორდი (Oxford, 1990:8) სწავლის სტრატეგიებს განსაზღვრავს, როგორც „შემსწავლელის სპეციფიკურ ქცევას, რომლის შედეგადაც სწავლა უფრო მარტივი, სწრაფი, სასიამოვნო, თვითმართული, ეფექტური და ახალ სიტუაციებს მორგებული პროცესი ხდება".

ომალიმ და ჩამოტმა (O'Malley & Chamot, 1990:43) შემოგვთავაზეს სწავლის სტრატეგიების უფრო დეტალური განმარტება: სწავლის სტრატეგიები არის ყველა ის "ტექნიკა და საშუალება, რომლებსაც შემსწავლელი მეორე/უცხო ენის შესასწავლად იყენებს. სწორედ სტრატეგიების გამოყენება აძლევს შემსწავლელს იმის საშუალებას, რომ აქტიურად ჩაერთოს საკუთარი სწავლის გაკონტროლების პროცესში. სტრატეგიები არის ფიქრების და ქცევების ერთობლიობა, რომლებსაც შემსწავლელი ინფორმაციის გასაგებად, სასწავლად და დასამახსოვრებლად იყენებს".

ზოგადად, სწავლის სტრატეგიებს შემდეგ კატეგორიებად ყოფენ:

- კოგნიტური;
- ეფექტური (ემოციურ- მოტივაციური);
- მეტაკოგნიტური.

(Short & Weisberg- Benchell, 1989)

საინტერესოა ვერმუნტის (Wermunt, 1989) მიერ წარმოდგენილი სწავლის სტრატეგიები და მათი კატეგორიზაცია.

კოგნიტური სტრატეგიები - მიღებული ინფორმაციის გადამუშავების პროცესი, რაც გულისხმობს: ცოდნის მოპოვებას, დაკავშირებას, კონსტრუირებას, ანალიზს, დაკონკრეტებას, დამახსოვრებას, კრიტიკულ აზროვნებას და არჩევანს.

ეფექტური ანუ ემოციურ-მოტივაციური სტრატეგიები - რაც ისეთ ემოციურ ფაქტორებს გულისხმობს, როგორებიცაა: მოტივაცია, კონცენტრაცია, თვითშეფასება, მცდელობა, ემოციების მართვა, მოლოდინი, წახალისება.

მეტაკოგნიტური სტრატეგიები - ანუ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, რაც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ რეგულაციებში ჩართვას სასწავლო პროცესის

დაგეგმვაში, მართვაში, მონიტორინგში, რეგულაციებში, ტესტირებასა და შეფასებაში.

სწავლის სტრატეგიები **(ვერმუნტის (Wermunt, 1989) მიხედვით)**		
კოგნიტური სტრატეგიები	ეფექტური ანუ ემოციურ-მოტივაციური სტრატეგიები	მეტაკოგნიტური სტრატეგიები
❯ ცოდნის მოპოვება ❯ დაკავშირება ❯ კონსტრუირება ❯ ანალიზი ❯ დაკონკრეტება ❯ დამახსოვრება ❯ კრიტიკული აზროვნება ❯ არჩევანის გაკეთება	❯ მოტივაცია ❯ კონცენტრაცია ❯ თვით შეფასება ❯ მცდელობა ❯ ემოციების მართვა ❯ მოლოდინი ❯ წახალისება.	❯ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ❯ მართვა ❯ მონიტორინგი ❯ რეგულაციები ❯ ტესტირება ❯ შეფასება

სადისერტაციო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ მეტაკოგნიტური სტრატეგია, ანუ სწავლის სწავლაა.

მეტაკოგნიციაში შედის ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ავტონომიური სწავლისთვის არსებითია. ესენია: წინასწარ მომზადება-დაგეგმვა, თვით-მონიტორინგი, თვითშეფასება, თვითგანმტკიცება და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე განათლების სისტემის უმთავრეს კონცეფციას სწორედ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა, ანუ მეტაკოგნიცია წარმოადგენს. ს. ჯანაშიას (ჯანაშია, 2011) განმარტებით, „მისი არსი მოსწავლის, როგორც სამყაროს აქტიური შემმეცნებლის და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიმღები სუბიექტის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს“.

მეტაკოგნიცია, ფლაველის (Flavell, 1987) განმარტებით, არის შემსწავლელის ხედვა და უნარი აქტიურად გააკონტროლოს საკუთარი სასწავლო პროცესი.

„სწავლის სწავლა არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვასა და ორგანიზებას. ამ კომპეტენციით აღჭურვილი ადამიანი იყენებს სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. იგი ერთ მთლიანობაში მოაქცევს სხვადასხვა სფეროში მიღებულ ცოდნას და მიზანმიმართულად იყენებს მას, არ კმაყოფილდება მიღწეულით და აქვს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარების უნარი, რაც განაპირობებს მის პიროვნულ და პროფესიულ ზრდას და უზრუნველყოფს ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენას“. (http://ncp.ge/ge/stsavlis-stsavla-rogorts-kompetentsia/shesavali)

მეტაკოგნიციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის ყველა ასპექტში აქტიურად უნდა იყოს ჩართული. ის უნდა აცნობიერებდეს, აანალიზებდეს მთელ პროცესს, მის მიზნებს, ამ მიზნების მისაღწევად საჭირო გზებს, მეთოდებს, სავარაუდო შედეგებს, არსებულ პრობლემებს, პრობლემების დაძლევის ხერხებს და სხვ.

მეტაკოგნიტური სტრატეგიები, რასაკვირველია, ერთნაირად ეფექტური ვერ იქნება ყველა შემსწავლელთათვის, რადგან იგი მათი ინდივიდუალური აზროვნების, შემეცნების უნარზეა დამოკიდებული. თითოეული შემსწავლელი სხვისგან განსხვავებული ინდივიდია, ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ ყველას არა აქვს უნარი, თუ გამბედაობა, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარი სწავლის პროცესზე;

დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები; რწმენა, რომ დამოუკიდებლად გაართმევს თავს ამა თუ იმ დავალებას; თავდაჯერება, თუ რამდენად მიზანმიმართულად იყენებს არსებულ ცოდნას და მრავალი სხვ. ეს ის ტიპური შემთხვევებია, რასაც ყოველდღიურად ვაწყდებით. ცხადია, აქედან გამომდინარე, ჩნდება ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: დაბალი თვითშეფასება; ნაკლები ინიციატივა; სირთულე პრობლების გადაჭრის დროს; პასიურობა, ნაკლები ჩართულობა; კომუნიკაციის სურვილის კლება; სირცხვილი და სხვ. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ნეგატიურად აისახება სწავლის შედეგებზე. ამის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ყველა იმ სტრატეგიის და მეთოდის თავმოყრა და გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს თვითშეფასების ამაღლებას თითოეულ შემსწავლელში. იმისათვის, რომ მოხდეს შემსწავლელთა მაქსიმალური ჩართულობა, საჭიროა შემდეგი სტრატეგიებისა თუ მიდგომების გამოყენება:

- გონებრივი იერიში;
- შემთხვევის ანალიზი;
- დისკუსია/დებატები;
- თანამშრომლობითი, ინტერაქციული სწავლება;
- პრობლემაზე დაფუძვნებული სწავლება;
- ლოგიკური აზროვნება და სხვ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობა, ერთი მხრივ, გაზრდის ჩართულობას, ხოლო მეორე მხრივ, წაახალისებს თითოეულ შემსწავლელს იაზროვნოს, გაანალიზოს, განსაჯოს და გამოხატოს საკუთარი აზრი, რაც, თავისთავად, დამოუკიდებლობას, ავტონომიას მოითხოვს და თანდათანობითით უწყობს ხელს თვითშეფასების ამაღლებას.

2.2 შემსწავლელთა ტიპები და სწავლის ავტონომია

როდესაც შემსწავლელთა ტიპებზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, ვგულისხმობთ თითოეული პიროვნების მიერ ინფორმაციის მიღების, გადამუშავება - ანალიზის,

სიღრმისეული გაგების და დამახსოვრების მის მიერ „არჩეულ“ ინდივიდუალურ ტექნიკას. თავისთავად, ცხადია, ადამიანებთან ერთად განსხვავებულია ეს ტექნიკებიც. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შემსწავლელთა ტიპების ჩამოყალიბებას განაპირობებს ბევრი ფაქტორი: ასაკი, გამოცდილება, ადამიანის კოგნიტური უნარები. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ემოციური და გარემო ფაქტორები.

უდავოა ის ფაქტი, რომ სწავლის პროცესის წარმატებული განხორციელებისათვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი შემსწავლელთა ტიპების დადგენა და გათვალისწინებაა. ეს მასწავლებელს საშუალებას აძლევს, სწორად შეარჩიოს სწავლის სტრატეგიები თუ მეთოდები და ყოველი აქტივობა შესწავლელთა შესაძლებლობებს მოარგოს.

ამასთანავე, ეს მნიშვნელოვანია თვითონ შემსწავლელთათვისაც; განსაკუთრებით კი, ავტონომიური შემსწავლელებისათვის, რადგან იმის ცოდნა, თუ შემსწავლელთა რომელ ტიპს მიეკუთვნებიან, მათ საშუალებას აძლევს, გააანალიზონ საკუთარი პოტენციალი და მისი გათვალისწინებით წარმართონ სასწავლო პროცესი.

ბევრი მეცნიერ-მკვლევარი (Karthigeyan and Nirmala, 2013; Dunn ,1983) აღიარებს, რომ შემსწავლელთა ტიპების გათვალისწინება სწავლის პროცესში მათი აკადემიური წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

შემსწავლელთა ტიპები და სწავლის ავტონომია

საინტერესოა ის ფაქტი, ახდენს თუ არა შემსწავლელთა ტიპები ზეგავლენას ავტონომიური სწავლის უნარზე. ჩვენ ჩავატარეთ კვლევა და შევეცადეთ, პასუხი გაგვეცა ამ კითხვაზე.

რა არის სწავლის ტიპი? არსებობს ამ ტერმინის მრავალი განსაზღვრება. ბრაუნის (Brown, 2000) თანახმად,, სწავლის სტილი არის ინფორმაციის შემეცნებისა და გადამუშავების ინდივიდუალური მანერა სასწავლო გარემოში (სიტუაციებში).

რეიდის (Reid, 1987) მიხედვით, ეს არის ადამიანის „სენსორული უპირატესობა“. მაგალითად, თუ ადამიანი ვიზუალია, სწავლის პროცესში ის უპირატესობას ანიჭებს

სურათებიდან, დიაგრამებიდან, წიგნიდან, ვიდეო გააკვეთილებიდან და ჩარტებიდან მოპოვებულ ინფორმაციას.

ინტერესი სწავლის სტილის მიმართ ყოველთვის არსებობდა. ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე 334 წელს შეამჩნია არისტოტელემ ბავშვებში ინდივიდუალური თავისებურებანი და აღნიშნა, რომ „თითოეული ბავშვი ფლობს განსაკუთრებულ ნიჭსა თუ უნარებს“ (http://web.cortland.edu/andersmd/learning/Introduction.htm).

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან. უნდა აღინიშნოს ფრანგი ფსიქოლოგის ალფრედ ბინეს (1857-1911) უდიდესი როლი ამ საქმეში, რადგან ის პირველი შეეცადა ადამიანების ინდივიდუალურ, ფსიქოლოგიურ დიფერენციაციას ინტელექტის ტესტის (იხ. დანართი #4) მეშვეობით. ასევე, მნიშვნელოვანია შვეიცარიელი ფსიქიატრის, კარლიუნგის (1875-1961) 1921 წელს გამოქვეყნებული თეორია ფსიქოლოგიური ტიპების შესახებ. კარლ იუნგმა (Jung, 1971) ადამიანები მათი დამოკიდებულებების და ფუნქციების მიხედვით დაყო. სამყაროსადმი დამოკიდებულებების მიხედვით ისინი ორ ძირითად კატეგორიად, ექსტროვერტებად და ინტროვერტებად იყოფიან. მან, ასევე, ჩამოაყალიბა ადამიანის ორი ძირითადი მენტალური ფუნქცია:

- ინფორმაციის აღქმა-შემეცნება;
- ინფორმაციის გადამუშავება-ანალიზი, მსჯელობა, დასკვნების გამოტანა და შეფასება.

1950-იანი წლებიდან კვლევები შემსწავლელთა ინდივიდუალიზმთან დაკავშირებით უფრო გააქტიურდა და თანდათან დაიწყო დამკვიდრება ისეთმა ტერმინებმა, როგორიცა საწავლა-სწავლების სტილი, შემსწავლელთა ტიპები, კოგნიტური ტიპები და სხვა.

1956 წელს, ამერიკელმა მეცნიერმა განათლების ფსიქოლოგიაში, ბენჯამინ ბლუმმა (1913-1999) განავითარა ახალი სისტემა, ე.წ. ბლუმის ტაქსონომია (იხ. დანართი #5), რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო მეცნიერებაში. ბლუმის

ტაქსონომია მოიცავს სამ სფეროს: კოგნიტურს, აფექტურს და ფსიქომოტორულს. ტაქსონომიის შენეცნებითი სფერო დაკავშირებულია შემსწავლელის ცოდნასა და ინტლექტუალური შესაძლებლობების, უნარების განვითარებასთან და შედგება ექვსი საფეხურისგან: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება (Bloom, Engelhart, Furst, Hill, & Krathwohl, 1956:16). როგორც ამ საფეხურებიდან ჩანს, განათლების მიზანი არა მხოლოდ ცოდნის შეძენა, არამედ აზროვნების მაღალი ფორმების ჩამოყალიბებაა.

უნდა აღნიშნოს, აგრეთვე, ჯერომ ბრუნერის მნიშვნელოვანი ღვაწლი კოგნიტურ ფსიოლოგიასა და განათლების ფსიქოლოგიაში.

განათლებისა და განვითარების მისეული თეორია კონსტრუქტივიზმის პრინციპებზეა დამყარებული. ბრუნერის (1966) მიხედვით, ბავშვი კოგნიტური განვითარების 3 საფეხურს გადის: პრაქტიკულს, ხატოვანს და სიმბოლურს. მანვე განავითარა ე.წ. აღმოჩენებით სწავლის თეორიაც, რომლის პროცესშიც მასწავლებელი ნაკლებად იღებს მონაწილეობას. ბრუნერმა (Bruner, 1960) ჩამოაყალიბა აღმოჩენებით სწავლის საფეხურები და მისი ხელშემშლელი და ხელშემწყობი შემდეგი ფაქტორები: განწყობა, მზაობა სწავლისთვის, თანმიმდევრობა-მრავალფეროვნება და საბაზისო ინფორმაციის ფლობა.

უაღრესად მნიშვნელოვანია ამერიკელი ფსიქოლოგის ჰოვარდ გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია. გარდნერმა (Gardner, 1983) წარმოგვიდგინა ინტელექტისა და სწავლის სტილის შემდეგი კლასიფიკაცია:

- ლინგვისტური;
- ლოგიკურ-მათემატიკური;
- სივრცითი-ვიზუალური;
- ფიზიკურ-კინესთეტიკური;
- მუსიკალური;
- ინტერპერსონალური;
- ინტრაპერსონალური;

- ნატურალისტური.

1984 წელს ამერიკელმა განათლების სპეციალისტმა დავიდ კოლბმა გამოაქვეყნა თეორია, რომელიც მოიაზრებს სწავლის ციკლის ახალ მოდელსა და სწავლის ტიპებს. მისი (Kolb, 1984:38) მიხედვით, „სწავლა არის პროცესი, რომლის დროსაც ცოდნა გამოცდილებების ტრანსფორმაციის გზით გროვდება“. მან წარმოადგინა სწავლის ციკლის შემდეგი ეტაპები:



ასევე, მან წარმოადგინა სწავლის ოთხი ტიპი: დივერგენტული - სწავლა შეგრძნებითა და ყურებით (diverging), ასიმილაციური - სწავლა აზროვნებით და ყურებით (assimilating), კონვერგენტული - სწავლა აზროვნებით და კეთებით (converging), აკომოდაციური - სწავლა შეგრძნებით და კეთებით (accommodating).

აქედან გამომდინარე: აქტიურად მოქმედი ინდივიდი სწავლობს კეთებით, ქმედებით. პრაგმატისტი სწავლობს აზროვნებით, ფიქრით. თეორეტიკოსი სწავლობს დაკვირვებით და განჭვრეტით. რეფლექტურად მოაზროვნე სწავლობს შეგრძნებებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით.

როგორც ვნახეთ, სწავლის ტიპების მიმართ ინტერესი და მათი კლასიფიკაცია მუდმივად აქტუალური იყო. შესაბამისად, არსებობს სწავლის ტიპების სხვადასხვა

კლასიფიკაცია. დღესდღეობით ყველაზე გავრცელებულია ე.წ. VAK (ვაკ-ვიზუალური, აუდიო და კინესთეტური) მოდელი (იხ.დანართი #6), რომელიც 1987 წელს ზელანდიელმა მეცნიერმა და მკვლევარმა განათლების სფეროში, ნილ ფლემინგმა წარმოადგინა. ვაკ ტესტი ორიენტირებულია აღქმის სამ ძირითად ტიპზე. ეს ტიპებია: ვიზული, აუდიალი და კინესთეტი.

ვიზუალები, თავის მხრივ, იყოფა 2 ქვე-ტიპად: ლინგვისტი-ვიზუალი და სივრცით-ვიზუალი. (http://www.nwlink.com)

ლინგვისტ-ვიზუალ ტიპს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც ადვილად იმახსოვრებენ და სწავლობენ კითხვით ან წერით. მაშინ, როცა სივრცითი-ვიზუალები ახალ ინფორმაციას თვალსაჩინოებების (სურათების, რუკების, გრაფიკების) დახმარებით უფრო ადვილად ითვისებენ.

აუდიალები მოსმენისა და ლაპარაკის პროცესში სწავლობენ უკეთესად. მათი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება გამეორებაა.

კინესთეტებიც ორ ქვეტიპად შეიძლება დავყოთ: კინესთეტიკური ანუ მოძრაობითი და ტაქტილური ანუ შეხებითი.

ნებისმიერი შემსწავლელი ამ სამივე სტილს იყენებს სწავლის პროცესში, თუმცა, როგორც წესი, ერთ-ერთი მოდალობა უფრო მეტად დომინირებს. სწორედ ეს სტილი განსაზღვრავს შემსწავლელის ტიპს და გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სწავლის პროცესში გამოვიყენოთ ამა თუ იმ მოდალობისთვის შესაფერისი მეთოდი თუ აქტივობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ, შესაძლებელია, შემსწავლელს ორი ან სამივე მოდალობა თანაბრად ჰქონდეს განვითარებული. აქედან გამომდინარე, საუკეთესო მიზნის მისაღწევად, სწავლის მთლიანი პროცესი ისე უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს, რომ შემსწავლელის ყველა ტიპზე იყოს მორგებული.

„სწავლება უნდა იყოს აგებული ყველა შეგრძნებაზე, რათა იყოს ეფექტური მთელი კლასისთვის, ხოლო ყველა მოსწავლე პირადად მისთვის სასარგებლო

სწავლის სტილს უფრო ხშირად მიმართვას დამოუკიდებელი მუშაობისას“ (დოღონაძე, 2017: 88).

ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, რომელშიც მონაწილეობდნენ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები. კვლევის მიზანი იყო, პირველ რიგში, შემსწავლელთა ტიპების გამოვლენა (VAK ტესტის (დანართი #6) საშუალებით) და შემდეგ იმის დადგენა, თუ შემსწავლელის რომელ ტიპს უფრო მეტად აქვს განვითარებული ავტონომიური სწავლის უნარი (SDLRS -ს (დანართი #1) საშუალებით).

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 118 სტუდენტმა. შედეგები ასე გადანაწილდა: სტუდენტთა უმრავლესობა, 49 სტუდენტი (11 ვაჟი, 38 გოგონა), ვიზუალი აღმოჩნდა, 19 სტუდენტი (5 ვაჟი, 14 გოგონა) აუდიალი, 14 (7 ვაჟი, 7 გოგონა) კი - კინესთეტი. რაც შეეხება დანარჩენ 36 სტუდენტს, მათ შემთხვევაში არ გამოვლენილა ერთი დომინანტი ტიპი, ისინი შერეულ ტიპს მიეკუთვნებიან.

ავტონომიურობის მიხედვით, შედეგები ასეთია:

ავტონომიურად მუშაობის უნარი	ვიზუალები (49 სტ.)	აუდიალები (19 სტ.)	კინესთეტიკები (14 სტ.)	შერეული ტიპი
დაბალი მაჩვენებელი	41%	42%	28%	33%
საშუალო მაჩვენებელი	22%	26%	36%	25%
მაღალი მაჩვენებელი	37%	32%	36%	42%

როგორც შედეგებიდან ჩანს, მკვეთრი სხვაობა შემსწავლელთა ვიზუალ და აუდიალ ტიპებს შორის ავტონომიურ სწავლასთან მიმართებაში არ არსებობს, ხოლო კინესთეტებს, შედარებით (თუმცა არც ისე მნიშვნელოვნად) უკეთესად აქვთ განვითარებული ავტონომიურად მუშაობის (სწავლის) უნარი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწავლის პროცესში შემსწავლელთა ტიპების გამოვლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე, შემსწავლელებისთვისაც. ხოლო, რაც შეეხება ავტონომიური სწავლის უნარს, როგორც შედეგებმა უჩვენა, მაინც და მაინც მნიშვნელოვანი არ არის, თუ რომელ ტიპს ეკუთვნის შემსწავლელი, რადგან ყველა მათგანს აქვს ავტონომიური სწავლის უნარის განვითარების თითქმის თანაბარი შესაძლებლობა.

შემსწავლელთა ტიპები და ლექსიკური ერთეულების სწავლა

უდავოა ის ფაქტი, რომ ენის შესწავლის უმთავრეს ბირთვს სწორედ ლექსიკური ერთეულების სწავლა წარმოადგენს. სიტყვები გვეხმარება აზრის, ემოციების, დამოკიდებულებების გამოხატვაში. სწორედ სიტყვების საშუალებითაა შესაძლებელი კომუნიკაციის დამყარება სრულფასოვან დონეზე. ამაზე მეტყველებს ბევრი გამონათქვამი. მაგ: „სიტყვები ენის საშენი მასალაა და არ არსებობს ენა მათ გარეშე“ (Milton, 2009: 3).

ლექსიკური ერთეულების შესწავლა ყოველთვის აქტუალური იყო. მრავალი კვლევაა ჩატარებული საკითხის ირგვლივ. ჩვენ შევეცდებით ვისაუბროთ შემსწავლელთა ტიპებისა და ლექსიკური ერთეულების სწავლას შორის არსებულ კავშირზე.

ოქსფორდი (Oxford, 1990) აღნიშნავს, რომ საკითხის ირგვლივ ჩატარებული კვლევები ნათლად ცხადყოფს, რომ მეორე/უცხო ენის შემსწავლელები ყველაზე დიდ წარმატებას მაშინ აღწევენ, როდესაც ხდება სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესადაგება დავალებებთან, სწავლის მიზნებთან, მოთხოვნილებებთან, მოტივაციასთან და სწავლის საფეხურთან.

ბევრი მკვლევარი თუ მეცნიერი (Tight, 1997; Brown, 1994; Dunn, 1990) თანხმდება, რომ აკადემიური წარმატების საწინდარი სწორედ მასწავლებლის მხრიდან ახალი მასალის ახსნის, ინსტრუქტაჟის მიცემის და, ზოგადად, მთელი სასწავლო პროცესის დროს სწავლის სტილის გათვალისწინებაა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლექსიკური ერთეულების სწავლის პროცესში ვიზუალური საშუალებების (ძირითადად, სურათების) გამოყენება აქტიურად 1970-იან წლებში დაიწყო.

დანმა (Dunn, 1990), ჩატარებული კვლევების საფუძველზე, დაასკვნა, რომ ლექციების მოსმენის დროს ვიზუალებს სწავლის საკმაოდ დაბალი შედეგი ჰქონდათ, განსხვავებით აუდიალებისგან, რომლებმაც ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენეს ყველა სხვა სტილის შემსწავლელებს შორის. ეს ლოგიკურიცაა, რადგან, როგორც ცნობილია, აუდიალები ყველაზე კარგად გაგონილს, მოსმენილს სწავლობენ და იმახსოვრებენ.

შემსწავლელთა ტიპების და ლექსიკური ერთეულების სწავლის ურთიერთკავშირზე მეტყველებს ასევე ტაიტის (Tight, 1997) მიერ ჩატარებული კვლევები, რომლის შედეგებითაც დადგინდა, რომ ვიზუალური საშუალებების გამოყენებით ახსნილი ლექსიკური ერთეულები ყველაზე უკეთესად ვიზუალმა შემსწავლელებმა დაიმახსოვრეს.

ბოლო დროინდელმა კვლევებმა (Hockley and Bancroft, 2011; Bisson et al., 2014) სრულად დაამტკიცა სურათების გამოყენების ეფექტურობა სიტყვების სწავლის დროს. საინტერესოა, ასევე, მაკედონიის (Macedonia, 2014) მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ ჟესტიკულაციის გამოყენება, სიტყვების მოსმენასა და წაკითხვასთან ერთად, მათი დამახსოვრების საუკეთესო პირობაა. უაღრესად საინტერესოა, აგრეთვე, მეიერის და სხვ. (Mayer et al., 2015) მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანიც იყო იმის გამოვლენა, თუ რა გზით ხდებოდა ყველაზე უკეთესად სიტყვების ხანგრძლივი დროით დამახსოვრება: ა) მხოლოდ წაკითხვით; ბ) წაკითხვით და მისი შესაბამისი სურათების გამოყენებით თუ გ) წაკითხვითა და ჟესტიკულციის გამოყენებით. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე კარგი შედეგი, განსაკუთრებით ხანგრძლივი დამახსოვრების თვალსაზრისით, აჩვენეს იმ შემსწავლელებმა, რომლებიც სიტყვების კითხვასთან ერთად იყენებდნენ ჟესტულულაციასაც.

შედეგები, ჩვენი აზრით, სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ის ყველა ტიპის შემსწავლელს მიესადაგება. ვთვლით, რომ მსგავსი ტექნიკის გამოყენება ლექსიკური

ერთეულების სწავლების პროცესში განსაკუთრებით ეფექტურია, თუ ვერ ხდება შემსწავლელთა ტიპების დადგენა, ან თუ საქმე გვაქვს შემსწავლელთა შერეულ ტიპებთან, რაც არც თუ ისე იშვიათია.

ცხადია, ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო საკითხი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლის, კონკრეტულად კი, ლექსიკური ერთეულების დაუფლების პროცესში, ამიტომ საჭიროა მისი დანერგვა და აქტიური გამოყენება, რაც გულისხმობს, თავდაპირველად შემსწავლელის ტიპის დადგენას, ხოლო შემდეგ მისი შესაფერისი სწავლის სტრატეგიის მორგებას. ეს საწყის ეტაპზე სწორედ პედაგოგის დახმარებით უნდა განხორციელდეს, რადგან სწორედ ის შეძლებს დაეხმაროს შემსწავლელებს საჭირო სტრატეგიების გამომუშავებაში. შემდგომ ეტაპზე კი შემსწავლელი დამოუკიდებლად, ავტონომიურად შეძლებს თავისი სწავლის სტილის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებას ლექსიკური ერთეულების სწავლის დროს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია სწავლის სტილის გამოვლენა, ან საეჭვოა მისი საიმედოობა, ანდა, საქმე გვაქვს შერეული სტილის მქონე შემსწავლელებთან, საჭიროა, შემუშავდეს ისეთი კომბინირებული სტრატეგიები, რომლებიც ყველა სტილის შემსწავლელისათვის იქნება შესაფერისი.

კორელაცია კითხვის სტრატეგიებსა და შემსწავლელთა ტიპებს შორის

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ შემსწავლელთა ტიპების მიმართებაზე სწავლის ავტონომიასა და ლექსიკური ერთეულების სწავლასთან. საინტერესოა, რა ურთიერთკავშირია შემსწავლელთა ტიპებსა და კითხვის სტრატეგიებს შორის.

ზოგადად, როგორც ბივერი (Beaver, 2012) აღნიშნავს, ინსტრუქციის სწორად მიცემა და სწავლის სტრატეგიების სწორად შერჩევა, კითხვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში უმათავრეს როლს თამაშობს.

დანი და დანის (Dunn & Dunn, 1992) მიაჩნიათ, რომ თუ ბავშვები ჩვენ მიერ შეთავაზებული მეთოდით ვერ სწავლობენ, უნდა შევცვალოთ მეთოდი და ვასწავლოთ ისე, როგორც მათ შეუძლიათ სწავლა. ეს, თავისთავად, ცხადია, შემსწავლელთა ტიპების გათვალისწინებას გულისხმობს. მრავალი მეცნიერ-

მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ სწავლის პროცესში უმთავრესი მნიშვნელობა სწორედ შემსწავლელთა ტიპების გათვალისწინებას ენიჭება. სწავლის სტრატეგიების, მეთოდების თუ აქტივობების მორგება შემსწავლელთა ტიპებზე არსებით როლს თამაშობს სწავლის შედეგზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც, ზოგადად, კითხვა, წაკითხულის გააზრება განათლების სისტემაში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად ითვლება, პერმანენტულად ტარდება კვლევები თუ ექსპერიმენტები მის მოსაგვარებლად. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ყველაზე დადებითი შედეგი კვლევების პროცესში სწორედ კითხვის შემსწავლელთა ტიპების გათვალისწინებით სწავლებამ აჩვენა.

ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია არსებული საკითხის ირგვლივ საქართველოში და მივიჩნევთ, რომ საკითხი უდავოდ, ძალიან საინტერესოა და უფრო ღრმა კვლევას საჭიროებს.

ყველაზე მარტივი სტარეტეგია, რაც შემსწავლელებთან შეიძლება გამოვიყენოთ, ჩუმი და ხმამაღალი კითხვაა. როგორც ცნობილია, ვიზუალი შემსწავლელები ამ მხრივ ყველაზე დიდ „უპირატესობას“ ფლობენ, რადგან ისინი ყველაზე უკეთ სწორედ თვალით აღქმულს, შესაბამისად, წაკითხულ ინფორმაციას იმახსოვრებენ. რაც შეეხება აუდიალებს, მათთვის კითხვის პროცესში ყველაზე ეფექტურ სტრატეგიად ხმამაღალი კითხვა ითვლება, რადგან, როგორც ცნობილია, ისინი ყველაზე კარგად მოსმენილ ინფორმაციას იმახსოვრებენ. აქედან გამომდინარე, კითხვის სწავლების პროცესში აუცილებელად გასათვალისწინებელია ეს ფაქტორი. ანუ, ვიზუალ შემსწავლელებთან ჩუმი კითხვის სტრატეგია, ხოლო აუდიალებთან ხმამაღალი კითხვის სტრატეგია უნდა გამოვიყენოთ. ვიზუალური და აუდიალური სტილის შემსწავლელთა კლასიფიკაცია სმიტს (Smith, 1998) ეკუთვნის.

ძალზე საინტერესოა სალამანკას უნივერსიტეტში კონფერენციაზე - „ბავშვები და კითხვა“, აიდან ჩემბერსის (Chambers, 2007) მიერ გაკეთებული მოხსენება ,,*კითხვის თეატრი”* (Theatre of Reading), რომლის მიხედვითაც, კითხვა თეატრია.

როდესაც ჩუმად ვკითხულობთ, ჩვენ სრულიად მარტონი ვართ, ყოველგვარი დახმარების გარეშე. წაკითხულის გააზრების საუკეთესო გზა, ჩვენივე წარმოსახვის დახმარებით, წაკითხულის თეატრად გარდაქმნაა, სადაც რეჟისორიც, მსახიობებიც, კომპოზიტორებიც, განათებაც და კრიტიკოსებიც ჩვენ თავად ვართ.

როგორც ცნობილია, კარგ მკითხველს მხოლოდ კარგი მკითხველი ქმნის. რაც ბავშვებისთვის მაგალითის მიცემას გულისხმობს. აუცილებელია, კითხვის სწავლების დაწყებისთანავე მოხდეს ბავშვებისთვის კითხვის შეყვარება, რადგან როგორც არაერთი მკვლევარი ამტკიცებს, მომავალში წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბების წინაპირობას სწორედ კითხვის სწავლების საწყისი ეტაპი წარმოადგენს. ჩემბერსის (Chambers, 2007) თქმით, აუცილებელია ბავშვების წახალისება - მოყვნენ და გაითამაშონ წაკითხული.

მიზანშეწონილია, ჩემბერსის აზრის გათვალისწინება განსაკუთრებით კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩუმი კითხვა, წაკითხულის ზეპირი გადმოცემა და როლური თამაშები, გარდა იმისა, რომ ენის სემსწავლელს წაკითხულის უკეთესად გააზრებაში დაეხმარება, მას უდიდეს სიამოვნებას მიანიჭებს, რაც, თავის მხრივ, კითხვის სიყვარულის წინაპირობაა; ამასთანავე, შემსწავლელთა ყველა ტიპისთვის შესაფერისი და ეფექტური.

საინტერესოა, არის თუ არა რაიმე კავშირი შემსწავლელთა ტიპებსა და კითხვის სტრატეგიებს, წაკითხულის გააზრებას შორის?

არსებობს საკითხის ირგვლივ ჩატარებული მრავალი კვლევა. წარმატებულ აუდიალ და ვიზუალ შემსწავლელებზე დაკვირვების შედეგად, რომლებთანაც მუშაობის პროცესში გამოყენებული იყო ხმამაღალი და ჩუმი კითხვის სტრატეგიები, აღმოჩნდა, რომ შედეგი თითქმის მსგავსია (Brown, 2007).

ლეპკეს (Lepke, 1977) მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა შედეგები (წაკითხულის გააზრებაში) მკვეთრად გაუმჯობესდა, როდესაც სწავლის სტრატეგიები მათი (მოსწავლეთა) სწავლის სტილს შეუსაბამეს.

სწავლების პროცესში აუცილებელია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ თითოეული შემსწავლელი არის ინდივიდი, დამახასიათებელი უნარებით, ინტერესებით, მიზნებით, სწავლისადმი დამოკიდებულებით და აზროვნებით. არსებობს მრავალი ნაშრომი, სადაც მკაფიოდაა გამოკვეთილი ამ ინდივიდუალური, უნიკალური თვისებების გათვალისწინების მნიშვნელობა სწავლის პროცესში. თანამედროვე მეცნიერებები სულ უფრო და უფრო მეტს საუბრობენ ამ საკითხის გარშემო, ანუ სწავლების ინდივიდუალიზაციაზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნაიმანის, ფროლიხის, სტერნის და ტოდესკოს (Naiman, Frohlich, Stern, & Todesco, 1978) მიერ წარმოდგენილი ექვსი სტარეტეგიიდან, პირველი სწორედ მოსწავლისთვის შესაფერისი სწავლის სტილის პოვნაა.

2.3. მოტივაციის როლი ავტონომიური სწავლის დროს

ენის წარმატებული შესწავლა მხოლოდ შემეცნებითი პროცესი არ არის. დღესდღეობით თითქმის ყველა შემსწავლელი უცხო ენას მის გარშემო არსებული სამყაროს შეცნობის მიზნით სწავლობს. სწავლის წარმატებაც, გარკვეულწილად, სწორედ შემსწავლელის სამყაროს მიმართ დამოკიდებულებისა და სწავლის სურვილზეა დამოკიდებული. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორია“. უზნაძემ (უზნაძე, 1940. გვ. 92), ცდილობდა რა შეესწავლა ქცევის მიზანშეწონილობის საკითხი, დაადგინა, რომ „ნებისმიერ ქცევას განწყობა უდევს საფუძვლად“. განწყობა, მისივე განმარტებით, არის სპეციფიკური მდგომარეობა, „რომელიც სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება“ (უზნაძე, 1940:38). შესაბამისად, განწყობის წარმოქმნის ფაქტორები, პიროვნების მოთხოვნილება და მის ირგვლივ არსებული სიტუაციაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განწყობა ქცევის ერთ-ერთი საფუძველია. შემდეგი პროცესი, ეს არის გადაწყვეტის აქტის წინა პროცესი, ანუ ე.წ. ნებისმიერი ქცევა, რომელიც, იმპულსურისგან განსხვავებით, სრულად ემყარება *მე*-ს ინტერესებს, ანუ

ნებისმიერი ქცევა ქცევის ისეთი ფორმაა, რომელიც „სუბიექტს თავისი *მე*-ს შესაფერის აქტად მიაჩნია და რომლისთვისაც მას პასუხისმგებლობის აღება შეუძლია“ (უზნაძე, 1940:93). ნებელობის პროცესში ადამიანს უწევს მთელი რიგი რთული ფსიქოლოგიური პროცესების გავლა: აზროვნება, მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია ესა თუ ის აქტი, რამდენად შეეფერება ის მის ინტერესებს და სხვ. ნებელობის დროს ადამიანს არჩევანის კეთება უწევს მისთვის სასურველი, მიზანშეწონილი ქცევის გამოსავლენად. სწორედ ეს პროცესები უსწრებს წინ ყველაზე მთავარს, გადაწყვეტილების მიღების აქტს. საინტერესოა, რა წარმოადგენს ნებელობის მთავარ საფუძველს? სანამ ადამიანი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს მომავალი ქცევის თაობაზე, მან სათანადო მოტივი უნდა მოძებნოს. მოტივი, რაც გულისხმობს „იმ ღირებულებების უპირატესობის გაცნობიერებას, „რომელიც ამათუ იმ ქცევას აქვს ჩემთვის“ (უზნაძე, 1940:95).

ასე რომ, სწავლის პროცესში მასწავლებლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს შექმნას სწორედ ისეთი გარემო, რომელიც მოსწავლეს სწავლისადმი დადებით განწყობას შეუქმნის. სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებული უნდა იყოს, რომ მოსწავლეს ე.წ. ინტელექტუალური მოთხოვნილება გაეზარდოს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, სწავლის შედეგებზე სწორედ მოსწავლის სწავლისადმი დამოკიდებულება, წინასწარი განწყობა, შემდგომ კი მოტივაცია ახდენს. ამიტომაც მიიჩნევა ისინი ენის შესწავლის ზეგავლენის (ჩარევის) უნარის მქონე აფექტურ (ემოციურ) კომპონენტებად.

გარდნერისა და მაკინტაიერის (ციტირებულია: Graham, 1997: 92) მიხედვით, „აფექტური ცვლადები არის პიროვნების ემოციურად რელევანტური თვისებები, რომლებიც გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ რეაგირებს ის ნებისმიერ სიტუაციაზე“.

ჩარევის უნარის მქონე ცვლადებს შორის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სწავლის პროცესში არის მოტივაცია, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს შემსწავლელის წარმატებაში.

სწავლის პროცესში მოტივაციის მნიშვნელოვანი როლის გამო მის შესწავლას განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა მას შემდეგ, რაც გარდნერმა და ლამბერტმა (Gardner & Lambert, 1959), ერთ-ერთმა პირველებმა, გაამახვილეს ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა მოტივაციის როლი მეორე (უცხო) ენის ათვისებაში.

მიუხედავ იმის, რომ ტერმინი „მოტივაცია“ ხშირად გამოიყენება და ფართოდაა აღიარებული მისი როლი განათლებაში, თეორეტიკოსები სრულად მაინც ვერ თანხმდებიან მის ზუსტ მნიშვნელობაზე.

წარმოგიდგენთ ტერმინის რამდენიმე განმარტებას:

ჰუიტის (Huitt, 2001: 2) აზრით, მოტივაცია არის:

- „შინაგანი მდგომარეობა, რომელიც ააქტიურებს ქცევას და მიმართულებას აძლევს მას;
- სურვილი, რომელიც მართავს მიზანმიმართულ ქცევას;
- მოთხოვნილებებისა და სურვილების ზეგავლენა ქცევის მიმართულებაზე“.

უებსტერის (Websters, n.d.) ლექსიკონში „მოტივირება“ განმარტებულია, როგორც პიროვნების უზრუნველყოფა მოტივით, მოთხოვნილებით ან სურვილით, რაც იწვევს მის ქმედებას.

გარდნერის (Gardner, 1985) მიხედვით, მოტივაცია ოთხ ასპექტს მოიცავს:

1. მიზანი;
2. მცდელობა;
3. მიზნის მიღწევის სურვილი და
4. კეთილგანწყობილი დამოკიდებულებასაქმიანობის მიმართ.

მეიერის (Mayer, 2011) განმარტებით, „მოტივაცია ზოგადად მიჩნეულია, როგორც შინაგანი მდგომარეობა, რომელიც ადამიანს მიზანმიმრთული ქცევისკენ უბიძგებს“.

როგორც ვნახეთ, მოტივაციას ძირითადად განმარტავენ, როგორც მიზანმიმართულ ქცევას და, შესაბამისად, ენის შემსწავლელის მიზანიც კონკრეტული ენის შესწავლა უნდა იყოს. სწავლის პროცესის წარმატებულად განხორციელების მიზნით, მასწავლებლებმა, პირველ რიგში, უნდა გაარკვიონ, რა არის ენის შესწავლის მიზანი, თუ რის გამო სწავლობენ ენას. გარდნერი (Gardner, 1985) ამ საკითხს განიხილავს, როგორც შემსწავლელის მიზანდასახულობას და გამოარჩევს მოტივაციის 2 სახეს: ინტეგრაციულსა და ინსტრუმენტალურს.

ინტეგრაციულია მოტივაცია, „როდესაც შემსწავლელს ენის შესწავლა ამ ენაზე მეტყველ საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით სურს“ (ESL Glossary, n.d.).

ინსტრუმენტალური მოტივაცია არის „ენის შესწავლის სურვილი კონკრეტული მიზნის მისაღწევად. მაგალითად: სამსახური, სამეცნიერო ხარისხის მიღება და სხვა (ESL Glossary, n.d.).

როგორც ინტეგრაციული, ასევე, ინსტრუმენტალური მოტივაცია შემსწავლელის მოტივაციის შემადგენელი ნაწილებია და ორივე შეიძლება გახდეს წარმატების საწინდარი. თუმცა, გარდნერის (Gardner, 1985) აზრით, ინტეგრაციულად მოტივირებულ შემსწავლელებს უფრო მეტად აქვთ ენის შესწავლის სურვილი, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენს.

რაც შეეხება მოტივაციის წყაროებს, განათლების ფსიქოლოგიაში გამოყოფენ მოტივაციის ორ წყაროს: შინაგანს და გარეგანს.

შინაგანი მოტივაცია შემსწავლელის ბუნებრივი, შინაგანი ინტერესია. შინაგანად მოტივირებული ადამიანი ამა თუ იმ აქტივობაში მონაწილეობას ინტერესისა და კმაყოფილების გამო იღებს. შინაგანი მოტივაცია, რაიანის და დესის (Ryan and Deci, 2000:70) განმარტებით, არის ადამიანის „სიახლისა და გამოწვევების ძიების, საკუთარი უნარების გამდიდრების, კვლევისა (ძიების) და სწავლის“ ბუნებრივი მოთხოვნილება (ტენდენცია).

რაც შეეხება სწავლის პროცესს, უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანად მოტივირებული ადამიანისთვის თვითონ სწავლის პროცესია სიამოვნების მომგვრელი, მის მთავარ ინტერესს და მიზანს საგნის შესწავლა წარმოადგენს და არა, მაგალითად, მიღებული ქულა.

შინაგანი მოტივაციის ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს:

- ასაკი
- სქესი
- რელიგია
- ინტერესი და ცნობისმოყვარეობა
- მოთხოვნილებები
- გაწაფულობა მშობლიურ ენაში
- თვითშეფასების უნარი და სხვ.

აბისარმა (Abisarma, 2002)

რაც შეეხება გარეგან მოტივაციას, მის გამომწვევად ადამიანში გარეგანი ფაქტორები ითვლება. მაგალითად: კონკურსი, ფულადი ჯილდო, ქულა და სხვ. აბისარმას მიხედვით (Abisarma, 2002), გარეგანი მოტივაციის ფაქტორებად ითვლება ასევე: მასწავლებელი, სასწავლო კურსის შინაარსი, ოჯახის მხარდაჭერა, სასწავლო გარემო და სხვ.

გარეგანი მოტივაციის, წახალისების ფორმად მაიერსი (Myers, 1993: 294) შემდეგს მიიჩნევს:

- მოსწავლეთა კონტროლი;
- საუბარი მოსწავლეებთან მათი წარმატებების შესახებ.

თუმცა, მაიერსი (Myers, 1993:294) აქვე დასძენს, რომ მუდმივი კონტროლი იწვევს მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციიის შესუსტებას და მასწავლებელმა დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა ეს კონტროლი ზღვარს არ გასცდეს; მეორე მხრივ, იგი საუბრობს მასწავლებლის მიერ მოსწავლის შექების აუცილებლობაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლის შინაგან მოტივაციას და, შესაბამისად,

სწავლის მიღწევებს. იმავეს ადასტურებს ამერიკელი ფსიქოლოგების - ჰელმრეიხის და სპენსის (cited in Myers, 1993:293) მიერ ჩატარებული კვლევებიც. მათ შეისწავლეს სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოტივაცია და მიღწევები და დაასკვნეს, რომ შინაგანი მოტივაცია უფრო დიდი მიღწევების საწინდარია, ვიდრე გარეგანი. განსაკუთრეით ისეთ სიტუაციაში, სადაც ადამიანი ავტონომიურად მუშაობს.

გარეგანი მოტივაციის დროს ადგილი არა აქვს შინაგანი სიამოვნების განცდას. ადამიანი აქტივობაში მხოლოდ რაიმე მატერიალური ღირებულების, ჯილდოს, თუ შეფასების გამო ერთვება. ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ჯილდოები, რომლებიც გარეგან მოტივაციას ააქტიურებენ, უარყოფითად მოქმედებს შინაგან მოტივაციაზე, რის შედეგადაც შინაგანი მოტივაციის დონე კლებულობს (Ryan & Deci, 2017).

შინაგანი და გარეგანი მოტივაციის საკითხის აქტუალობას ცხადყოფს მრავალი კვლევა, რომელთა უმეტესობის თანხმდაც, შინაგანი მოტივაცია, ეს არის მუდმივად მზარდი ფუნქცია, რომელიც დამოკიდებულია პიროვნების ისეთ უმთავრეს ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებზე, როგორებიცაა კომპეტენცია და ავტონომია.

სწავლის პროცესში განვითარების ოპტიმალურ დონეს სწორედ შინაგანად მოტივირებული შემსწავლელები აღწევენ. ისინი უფრო მეტ ინტერესს, სიამოვნებას, თავდაჯერებულობას, სიმტკიცეს, კრეატიულობას და თვითშეფასების უნარს ავლენენ, ვიდრე გარეგანად მოტივირებულნი.

განათლების ფსიქოლოგიაში აღიარებულია მოტივაციის შემდეგი თეორიები:

1. ბიჰევიორისტული თეორიები (პავლოვი, სკინერი, ბანდურა);
2. კოგნიტური თეორიები (ვრუმი, ჰაიდერი, ფესტინგერი, ვაინერი);
3. კოგნიტური განვითარების თეორიები (პიაჟე, ვიგოტსკი);
4. მიღწევის მოტივაციის თეორიები (ატკინსონი, რეინერი, ლოკი, ლათამი);
5. ფსიქო-ანალიტიკური თეორიები (ფროიდი, ერიქსონი);
6. ჰუმანისტური თეორიები (მასლოუ, დესი, როჯერსი);
7. სოციალურ-კოგნიტური თეორია (ბანდურა);

8. პიროვნებათაშორისი თეორიები.

ავტონომიური სწავლის დროს მოტივაციაზე საუბრისას მიზანშეწონილია მოტივაციის ჰუმანისტური და კოგნიტური თეორიების განხილვა.

მოტივაციის ჰუმანისტური თეორიები

მოტივაციის ჰუმანისტურ თეორიებში ყურადღება გამახვილებულია ენის შესწავლის მიმართ პიროვნების ბუნებრივ ინტერესზე და შემსწავლელთა საკუთარი სწავლის პროცესის გაკონტროლების უნარით აღჭურვაზე. ასე რომ, მასწავლებლის ავტორიტარული ძალაუფლება სუსტდება და იძენს ფასილიტატორის ფუნქციას (Abisarma, 2002).

ჰუმანისტურ თეორიებს შორის, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად მნიშველოვანია მასლოუს „მოთხოვნილებათა იერეარქია“, რომელიც 5 დონეს მოიცავს:

1.ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები;

2. უსაფრთხოება;

3. სოციალური კავშირები; კუთვნილება;

4. აღიარება, თვითდამკვიდრება, თვითშეფასება;

5. თვითაქტუალიზაცია.

(იმედაძე, 2005: 215)

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა თვითშეფასების, თვითპატივისცემის დონე, რომელიც, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა:

1. რეპუტაციის, აღიარების, ღირსებისა და პატივისცემის მოთხოვნილებები;
2. მიღწევის, თავდაჯერებულობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოთხოვნილებები.

ცხადია, თავისუფალი, დამოუკიდებელი ქმედება ავტონომიას გულისხმობს. მოთხოვნილებათა იერარქია ნათლად ცხადყობს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნული განვითარებისათვის თავისუფლების, ავტონომიის შეგრძნება. ამიტომ,

სწავლის პროცესი აუცილებლად უნდა იყოს მიმართული პიროვნების ავტონომიურობის ზრდისკენ. ის მიზანმიმართული უნდა იყოს, რომ თითოეულმა შემსწავლელმა დამოუკიდებლად, ავტონომიურად ისწავლოს პასუხისმგებლობის აღება სწავლის პროცესზე, ისწავლოს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. ყოველივე ამით, ის არა მხოლოდ თავის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ მოთხოვნილებას დაიკმაყოფილებს, არამედ ისწავლის პროცესისგან სიამოვნების მიღებასაც, რაც, თავის მხრივ, შინაგან მოტივაციას წარმოადგენს და წარმატებული სწავლის ერთ-ერთი წინაპირობაა.

ჰუმანისტურ თეორიებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დესი და რაიანის (Deci & Ryan , 1985) თვითგამორკვევის თეორიას, რომელიც შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ურთიერთკავშირსა და ადამიანის ძირითად მოთხოვნილებას - ავტონომიას ეფუძვნება.

სოციალურ-კოგნიტური თეორიები

სოციალურ-კოგნიტურ თეორიებს შორის, რასაკვირველია, უნდა გამოვყოთ ბანდურას თვითეფექტურობის თეორია, სადაც წინა პლანზეა წამოწეული პიროვნების უნარი, განახორციელოს ესა თუ ის ქმედება საკუთარი შესაძლებლობების განსჯისა და გაანალიზების საშუალებით.

აღსანიშნავია, ასევე, ბანდურას თვითრეგულირების თეორია, რომელიც გულისხმობს:

- მიზნის დასახვას;
- ამ მიზნის მისაღწევად საჭირო გეგმის შემუშავებას;
- გეგმის მოდიფიკაცია-განხორციელებას შესაბამისი აქტივობების გამოყენებით. (Abisarma,2002).

უდავოა ის ფაქტი, რომ მოტივაციის როლი შეუცვლელია სწავლის პროცესში, ის უშუალოდ აისახება სწავლის წარმატებაზე. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ

მეცნიერთა უმრავლესობა აღიარებს შინაგანი მოტივაციის უპირატესობას და ხაზს უსვამს მის ზეგავლენას მოსწავლეთა მიღწევებსა და წარმატებებზე. ასე რომ, მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდა-განვითარებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ზრუნვა მოტივაციის შენარჩუნებაზე მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. ეს განსაკუთრებით რთულია ავტონომიური სწავლის პროცესში, სადაც მასწავლებელი კი არ „აკონტროლებს“ მოსწავლეს, არამედ ასრულებს „მრჩეველის, ფასილიტატორის“ ფუნქციას და შემსწავლელს თავად უწევს საკუთარი სწავლის პროცესის გაკონტროლება.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებელს უდიდესი როლი აკისრია ავტონომიური შემსწავლელისთვის მოტივაციის ამაღლებაში. ამისათვის საჭიროა, მასწავლებელმა:

- დაარწმუნოს მოსწავლე, რომ მას შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა და წარმატების მიღწევა;
- დახმარება გაუწიოს შემსწავლელს სასწავლო მიზნების დადგენასა და სწორად ფორმირებაში;
- უზრუნველყოს ის ავტონომიური სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით და დაეხმაროს მას ამ უნარ-ჩვევების ათვისება-გამოყენებაში;
- ასწავლოს მას იდასახული მიზნის მისაღწევად საჭირო აქტივობების დაგეგმვა-აღსრულება;
- დაეხმაროს თვითშეფასების უნარის გამომუშავებაში.

რაც შეეხება თავად ავტონომიურ შემსწავლელებს, მათ:

- თავდაპირველად უნდა გააანალიზონ სწავლის ზოგადი მიზნები;
- დასახონ კონკრეტული მიზნები;
- შეადგინონ მიზნის მისაღწევად საჭირო აქტივობების გეგმა;
- მიმართონ ენერგია დასახული მიზნის განხორციელებისაკენ;
- მუდმივად აკონტროლონ პროგრესი;

- ჰქონდეთ საკუთარი თავის და შესაძლებლობების რწმენა.

2.4. შემსწავლელთა თვითშეფასების უნარი

„თვითშეფასება არის ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების შეფასების უნარი, მისი დამოკიდებულება საკუთარი შესაძლებლობებისადმი, პიროვნული თვისებებისადმი, გარეგნობისადმი. ნებისმიერ ჩვენგანს გარკვეული თვითშეფასება აქვს და ჩვენი ქცევა ძირითადად ჩვენივე თვითშეფასებით არის ნაკარნახევი. თვითშეფასება დაახლოებით იგივეა პიროვნებისთვის, რაც ხერხემალი სხეულისთვის“ (ოსიაშვილი, 2014).

თვითშეფასების სწორად ფორმირება უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სწავლის პროცესში, არამედ ცხოვრების ნებისმიერ ასპექტისათვის. პიროვნებაში თვითშეფასების ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდანვე იწყება, ამიტომ ოჯახი, მასწავლებლები და, ზოგადად, ადამიანის ირგვლივ არსებული გარემო დიდ როლს ასრულებს. სწორედ მშობლების, მასწავლებლების, სოციუმის მიერ ამა თუ იმ ქცევის შეფასება წარმოადგენს პიროვნებაში თვითშეფასების ნიმუშს და საფუძველს. ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია, ადრეული ასაკიდანვე მოხდეს ბავშვის ქცევის სამართლიანი, ზუსტი, ადეკვატური შეფასება უფროსების მიერ. სწორად გაკეთებული კომენტარი, შენიშვნა, წახალისება, შექება არის ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობა. და, შესაბამისად, გადამეტებული შექება, შენიშვნა თუ კომენტარი შეიძლება არაადეკვატური (მაღალი ან დაბალი) თვითშეფასების ჩამოყალიბების წინაპირობა გახდეს, რაც უარყოფითად მოქმედებს და აისახება ქცევაზე. სწორედ არაადეკვატური თვითშეფასება იწვევს მოტივაციის შესუსტებას, უარყოფით ემოციებს, კონფლიქტს, კომპლექსს და უარყოფით დამოკიდებულებას არა მარტო სწავლის, არმედ გარშემომყოფთა მიმართაც. ამიტომ არის მნიშვნელოვანი სწავლის პროცესში დიდი ყურადღება დაეთმოს თვითშეფასების სწორად ფორმირებას შემსწავლელებში.

და მაინც, რა არის შემსწავლელთა თვითშეფასება?

თვითშეფასება წარატების მთავარი „იარაღია“. ბლექის და უილიამის (Black & Wiliam, 1998) მტკიცებით, სწორად ფორმირებული თვითშეფასება პირდაპირ კავშირშია შემსწავლელის მოტივაციასთან და მიღწევებთან.

სწორედ თვითშეფასება წარმოადგენს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლების, აქტიურობის (ჩართულობის), საფუძვლიანი სწავლის, მიზანდასახული ქცევის წინაპირობას. თვითშეფასების უნარი შემსწავლელებში იწვევს განცდას და საკუთარი შესაძლებლობების რწმენას, რომ მათ შეუძლიათ მართონ სწავლის პროცესი დამოუკიდებლად, გააცნობიერონ სწავლის არსი, დაგეგმონ სწავლის პროცესი, დასახონ მიზნები და მათი მიღწევის გზები, გამოავლინონ საკუთარი სისუსტეები და შეიმუშავონ მათი დაძლევის გზები, შეაფასონ საკუთარი წარმატებები. ყოველივე ეს კი ზრდის საკუთარი თავის რწმენას, რაც, თავის მხრივ, ავტონომიური სწავლის მთავარი ფუნდამენტია.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, თვითშეფასება სამ საფეხურად შეიძლება დაიყოს:

1. თვითმონიტორინგი;
2. თვითშეფასება;
3. ხარვეზების იდენტიფიკაცია და გამოსწორება.

თვითმონიტორინგი, როგორც ეფექტური თვითშეფასების ერთ-ერთი აუცილებელი უნარი, გულისხმობს ქცევისა და აზროვნების პროცესის მართვას (Schunk, 2004).

შემდეგი უნარი, თვითშეფასება, პროგრესის შეფასებას გულისხმობს. ის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, შეაფასოს, რა იცის და რისი სწავლა სჭირდება დასახული მიზნის მისაღწევად.

რაც შეეხება თვითშეფასების მესამე, ბოლო საფეხურს, ის გულისხმობს იმ პრობლემების აღმოჩენას, რომლებიც ხელს უშლის მოსწავლეს დასახული მიზნის მიღწევაში. მოსწავლე იწყებს ფიქრს, თუ როგორ, რა გზით გადაჭრას ეს პრობლემები.

აქედან გამომდინარე, თვითშეფასების ეს ნაწილი უაღრესად მნიშვნელოვანია ყველა შემსწავლელისთვის. განსაკუთრებით კი ავტონომიური შემსწავლელისთვის.

აუცილებლად უნდა ვისაუბროთ დროის მენეჯმენტზე, როგორც თვითშეფასების ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტზე. დროის სწორად გადანაწილება, მისი მაქსიმალურად ათვისება და გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტონომიური შემსწავლელებისათვის და ამ უნარის განვითარება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ავტონომიურ შემსწავლელს თავად უწევს არა მხოლოდ იმის განსაზღვრა, რა და როგორ ისწავლოს, არამედ რა დროში.

დროის მენეჯმენტი მნიშვნელოვანია ასევე საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდების ფორმატიდან გამომდინარე. სწორედ დროის ფაქტორი ხდება ხშირად გამოცდებზე ყურადღების მობილიზების ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი პირობა.

თვითშეფასების უნარი, მისი სწორად ფორმირება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტონომიური შემსწავლელებისათვის. სწორედ მისი დახმარებით შეუძლია მოსწავლეს:

- დააკვირდეს და მართოს თავისი ქცევა, სწავლის პროცესი;
- დაგეგმოს ის თავისი შესაძლებლობებიდან და მიზნებიდან გამომდინარე;
- აღმოაჩინოს სუსტი მხარეები და იზრუნოს მათ აღმოფხვრაზე;
- სრული პასუხისმგებლობა აიღოს სწავლსი პროცესზე;
- ადეკვატურად, ეფექტურად მართოს დრო.

ჩვენი ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, ავტონომიური სწავლის მეთოდოლოგიური ასპექტებიდან საყურადრებოა:

- სწავლის სტრატეგიები, განსაკუთრებით, მეტაკოგნიტური სტრატეგიები, რომელშიც მოიაზრება თვითმონიტორინგი, თვითშეფასება და თვითგანმტკიცება;

- შემსწავლელთა ტიპები და მათი ურთიერთკავშირი ავტონომიურ სწავლასთან, კითხვის სტრატეგიებთან და ლექსიკური ერთეულების სწავლასთან;
- მოტივაცია, როგორც ავტონომიური სწავლის აუცილებელი პირობა;
- თვითშეფასება, როგორც ავტონომიური შემსწავლელის მიერ ადეკვატური შეფასების უნარი და შენაგანი მოტივაციის ამაღლების წინაპირობა.

თავი III

საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის კითხვითი დავალებები და მათთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა

3.1. ენობრივი უნარ-ჩვევები უცხო (ინგლისური) ენის სწავლებისას

უცხო ენის დაუფლება გულისხმობს ოთხი ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული უნარ-ჩვევის ერთობლივ განვითარებას, რაც ენის შემსწავლელს მიღებული ინფორმაციის გაგებასა და საკუთარი აზრის გადმოცემაში ეხმარება. შესაბამისად, ეს უნარ-ჩვევები იყოფა: რეცეპტულ და პროდუქტულ უნარ-ჩვევებად.

- რეცეპტული (კითხვა და მოსმენა), ანუ პასიური უნარ-ჩვევები გულისხმობს ინფორმაციის მიღება-გაგებას.
- პროდუქტული (წერა და საუბარი), ანუ აქტიური უნარ-ჩვევები, რომელშიც ენის წარმოება მოიაზრება.

უნარ-ჩვევების ამგვარი დაყოფა, რასაკვირველია, პირობითია, რადგან ოთხივე უნარ-ჩვევა ერთ მთლიან, განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და არ არსებობს ენის სრულფასოვანი დაუფლება რომელიმე მათგანის გარეშე.

თემის მთავარი საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, ყურადსაღებია კითხვის სწავლებაზე აქცენტის გადატანა და მისი თავისებურებების გამოკვეთა ავტონომიური კითხვის დროს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ კითხვა - ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო, ახალგაზრდა თაობებში აღარ სარგებლობს ისეთივე პოპულარობით, როგორც ადრე. კითხვა საკმაოდ რთული, კომპლექსური კოგნიტური პროცესია და ბევრ მუშაობას მოითხოვს, როგორც შემსწავლელის, ასევე, მასწავლებლის მხრიდანაც. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე უცხო ენას ეხება.

განსაკუთრებული როლი კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე, რასაკვირველია, მასწავლებელს აკისრია. სწორედ მან უნდა განსაზღვროს კითხვის სწავლების საჭიროებები, მიზნები; შესაბამისი აქტივობები; მოსწავლეთა შესაძლებლობები და არსებული ცოდნის დონე; იზრუნოს და გაზარდოს კითხვის მოტივაცია მოსწავლეებში.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს წაკითხულის გააზრება. უცხო ენაზე კითხვის პროცესში ძირითადი მინიშნება, რატომღაც, ტექსტის სიტყვა-სიტყვით გაგებაზე ხდება. მოსწავლე კითხულობს და ცდილობს, სიტყვა-სიტყვით გადათარგმნოს წაკითხული, ჩერდება უცხო სიტყვებთან და იწყებს მათი მნიშვნელობის ძიებას. ლექსიკური ერთეულების ცოდნა, უდავოდ, არსებითია კითხვის პროცესში, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მოსწავლე ისე კითხულობს, რომ ვერ ახერხებს წაკითხულის სიღრმისეულ გააზრებას, რაც დასკვნების გამოტანასა და აზრების ინტერპრეტაციას გულისხმობს. ჩვენ შემდგომ ქვეთავებში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ საკითხს.

საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტონომიური შემსწავლელებისათვის. მრავალი მკვლევრის (Baker & Wigfield, 1999; Watkins & Coffey, 2004) აზრით, ავტონომიურ შემსწავლელებს კითხვის უფრო მაღალი მოტივაცია გააჩნიათ, ვიდრე მათ, ვინც მასწავლებლის დავალებით, უშუალოდ მათი გაკონტროლებით კითხულობს. ეს იმით აიხსნება, რომ ავტონომიური კითხვა უფრო დადებით ფაქტორებთან (ინტერესთან და სიამოვნებასთან) ასოცირდება. თუმცა, მასწავლებლის, ფასილიტატორის როლი ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტია, რადგან მან უნდა წაახალისოს მოსწავლე, აიღოს პასუხისსმგებლობა საკუთარ სწავლაზე. რივის (Reeve, 2002), სკინერი და ბელმონტის (skinner & Belmont, 1993) აზრით, საწყის ეტაპზე სწორედ მასწავლებელი (ფასილიტატორი) უნდა დაეხმაროს ავტონომიურ შემსწავლელს წასაკითხი მასალის შერჩევაში მათი ინტერესების, მიზნების, შესაძლებლობების გათვალისწინებით.

3.2. საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტში შემავალი კითხვითი დავალებების ვარიაციები და მათი შესრულების სირთულეები

კითხვა ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება ენის ათვისების, შეცნობის, კომუნიკაციის, ინფორმაციის მიღების, აზრების გამოხატვისა და გაცვლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებად. უნდა აღინიშნოს, რომ კითხვა, როგორც რთული, კომპლექსური შემეცნებითი პროცესი, ბევრ მუშაობას მოითხოვს. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე უცხო ენაზე კითხვას ეხება.

2000 წელს ამერიკის კითხვის ეროვნულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა კითხვის სწავლების ყველაზე ეფექტური ხერხები:

- ფონემების შეცნობა;
- კითხვის სწავლების ფონეტიკური მეთოდი;
- თავისუფლად მეტყველება;
- ხმამაღალი კითხვა მეთვალყურეობის ქვეშ;
- ლექსიკური ერთეულების სწავლება;
- წაკითხულის გააზრება

https://www.nichd.nih.gov/research/supported/Pages/nrp.aspx

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ბოლო ორ ტექნიკაზე და შევეცდებით, განვსაზღვროთ მათი როლი კითხვის წარმატებულ პროცესში.

წაკითხულის გააზრება

კითხვის უნარ-ჩვევების გამომუშავების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ წაკითხულის გაგება-გააზრებაა, რადგან სწორედ ეს შეადგენს კითხვის მიზანს და ინფორმაციის მიღების აუცილებელ პირობას. ზუსტად ასე განსაზღვრავს წაკითხულის გააზრებას წიგნის „Put Reading first“ (დააყენეთ კითხვა პირველ ადგილზე) ავტორი - ბონი არმბრუსტერი (Armbruster, 2000). მისი განმარტებით, კითხვა არ შეიძლება ეწოდოს პროცესს, როდესაც მკითხველს შეუძლია სიტყვების ამოკითხვა შინაარსის გააზრების გარეშე. კითხვის მიზეზიც და მიზანიც წაკითხულის გაგება-გააზრებაა.

საინტერესოა პიტერ უესტვუდის (Westwood, 2008) მოსაზრება წაკითხულის გააზრების შესახებ, სადაც ის გამოყოფს სამ საფეხურს:

1. სიტყვასიტყვითი (literal), როდესაც მკითხველს შეუძლია წაკითხულის პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით გაგება და გულისხმობს ტექსტში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაციის გაგებას;
2. დასკვნის უნარი (inferential), რაც გულისხმობს ე.წ. ხაზებს შორის კითხვის უნარს;
3. კრიტკული კითხვა (Critical Reading), როდესაც მკითხველს შეუძლია შეაფასოს ავტორის წერის სტილი, მისი ხედვა და შეადაროს ან შეუპირისპიროს ის ადრე წაკითხულ ან გაგონილ ინფორმაციას.

ასევე, საყურადღებოა კითხვის ეროვნული კომიტეტის (https://www.nichd.nih.gov/publications/pubs/nrp/pages/findings.aspx) მიერ შემუშავებული შემდეგი განმარტება, რომლის მიხედვითაც, კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაში მოიაზრება შემდეგი სამი ფაქტორი:

1. წაკითხულის გააზრება არის რთული შემეცნებითი პროცესი, რომელშიც მთავარი როლი ლექსიკური ერთეულების ცოდნის განვითარება-გაღრმავებას ენიჭება;
2. წაკითხულის გააზრება არის აქტიური პროცესი, რომელიც მოითხოვს მკითხველსა და წასაკითხ მასალას შორის გამიზნულ, გააზრებულ ურთიერთკავშირს;
3. მასწავლებლის როლი უმნიშვნელოვანესია შემსწავლელებში კითხვის უნარ-ჩვევების სტრატეგიების ჩამოყალიბებისას.

ჰეტის (Heath, 1984), ვიგოდსკის (Vygotsky, 1962) ჰოფმანი და ჰეტის (Hoffman & Heath, 1986) მიხედვით, უმნიშვნელოვანესია პედაგოგების მხრიდან შემდეგი სტრატეგიების გათვალისწინება. შემსწავლელებს უნდა მიეცეთ საშუალება, ისაუბრონ წაკითხულის შესახებ; გამოთქვან საკუთარი აზრი, თუ როგორ გაიგეს ტექსტი. ეს სტრატეგია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს წაკითხულის გააზრების უნარის გამომუშავებას. ამიტომ, მასწავლებელმა უნდა წაახალისონ შემსწავლელები, ისაუბრონ წაკითხულის შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წაკითხულის გააზრებაში, თავისთავად, მოიაზრება ლექსიკური ერთეულების ცოდნა. უდავოა ის ფაქტი, რომ ლექსიკური ერთეულების სწავლა არსებითი ფაქტორია ენის ათვისების პროცესში. კითხვის პროცესში სწორედ ლექსიკური ერთეულების არცოდნა ქმნის ხშირად ყველაზე დიდ დაბრკოლებას მკითხველისთვის. საკითხი, როგორც უწინ, დღესაც მეტად აქტუალურია. ამის დასტურია იმ სამეცნიერო პუბლიკაციებისა თუ კვლევების რიცხვი, რომელიც უშუალოდ ეხება ლექსიკური ერთეულების როლს კითხვის პროცესსა და წაკითხულის გააზრებაში.

„წაკითხულის გააზრების უნარს ლექსიკური ერთეულების ცოდნის დონე განსაზღვრავს და, პირიქით, რაც მეტს კითხულობს შემსწავლელი, მით უფრო მდიდრდება მისი ლექსიკური მარაგი. და რაც მეტ ლექსიკურ ერთეულს ფლობს შემსწავლელი, მით უკეთესად კითხულობს ის“ (Mikulecky, 2008).

იმავე მოსაზრებას გამოთქვამს კოუდი (COADY, 1997) - ლექსიკური ერთეულების სიმწირე კითხვის მიმართ ინტერესის დაკარგვას იწვევს და, შესაბამისად, კითხვის ნაკლებობა ლექსიკური მარაგის გამდიდრების ხელის შემშლელი ფაქტორია.

არაერთი კვლევაა ჩატარებული იმის დასადგენად, თუ რა ტიპის და რაოდენობის ლექსიკური ერთეული უნდა მივაწოდოთ უცხო ენის შემსწავლელს სწავლების საფეხურის, მათი ასაკის და სწავლის მიზნების გათვალისწინებით.

სტალის (Stahl, 2003:246) მიხედვით, ტექსტის სირთულე სწორედ უცხო სიტყვების რაოდენობით განისაზღვრება. ამავე აზრს იზიარებენ კამერონი (Cameron, 2000), ფრიბადი და ანდერსონი (Freebody & Anderson, 1983), ბერნარდი (Bernhardt, 2005), ჯოში და აარონი (Joshi & Aaron, 2000), ნეიშენი (Nation, 2001) და მრავალი სხვა მკვლევარი თუ მეცნიერი. ისინი ერთხმად თანხმდებიან, რომ ლექსიკური ერთეულების ცოდნის დონის განსაზღვრა აუცილებელია სასწავლო კურსის დასაწყისში, რადგან ის ეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვასა და სწავლის მიზნების დასახვაში.

ლექსიკური ერთეულების ცოდნის დონე სწავლის ყველა საფეხურზე მნიშვნელოვანია. ჩვენ ყურადებას გავამახვილებთ აკადემიურ კითხვაზე, რადგან ინგლისური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტების კითხვითი სახის დავალებებში სწორედ აკადემიური თემატიკის ტექსტებია მოცემული. ამ მხრივ საყურადღებოა ლოფერისა და სიმის (Laufer & Sim, 1985) მოხსენება, რომელშიც ხაზი აქვს გასმული იმ ფაქტს, რომ აკადამიური ტექტსტების წარმატებული კითხვისთვის (გაგება-გააზრებისთვის) განმსაზღვრელ ფაქტორს ლექსიკური ერთეულები წარმოადგენს.

იმავე აზრს იზიარებენ კორელი და გრეიბი (Correll & Grabe, 2002), რომლებიც აღნიშნავენ, რომ კითხვის დროს გამოყენებული მთავარი სტრატეგია სწორედ ლექსიკური ერტეულების ცოდნაა. და აქვე დასძენენ, რომ, მიუხედავად იმისა, სიტყვის მნიშვნელობის გამიჯნვა კონტექსტის მიხედვით უცხო ტექსტის კითხვის დროს გამოყენებულ სტრატეგიათა შორის ძალზე მნიშვნელოვანი და ეფექტურია, მისი გამოყენება ხშირად თითქმის შეუძლებელია თვითონ ტექსტის ზოგადი კონტექსტის გაუგებრობის გამო.

ნეიშენის (Nation, 2001:241) მოსაზრებით, იმისათვის, რომ მკითხველისათვის აკადემიური თემატიკის ტექსტში შემავალი სიტყვების 95 პროცენტი ნაცნობი იყოს, ის უნდა ფლობდეს დაახლოებით 4 000-მდე მონათესავე ჯგუფის სიტყვას. აქედან, დაახლოებით 2000 აქტიური ლექსიკური ერთეულია, 570 - აკადემიური და 1000-ზე მეტი ტექნიკური ტერმინოლოგია, კერძო სახელები და მსგავსი სიტყვებია, რომელბიც პასიური ლექსიკის კატეგორიაში ერთიანდებიან. ნეიშენის მტკიცებით, ტექსტის სრული, სიღრმისეული გაგებისათვის მინიმალური ზღვარი 95%-ია. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ცხადი ხდება, თუ რატომ ქმნის ლექსიკური ერთეულები პრობლემას ტექსტის გაგება-გააზრების თვალსაზრისით.

ჩვენ ჩავატარეთ კვლევა იმის გამოსავლენად, თუ რომელი ტიპის კითხვითი დავალება ქმნიდა ყველაზე ხშირად სირთულეს საერთაშორისო სასერტიფიკატო

გამოცდის ტესტებში შემავალი კითხვითი დავალებების შესრულებისას. კვლევის შედეგები დეტალურადაა გაწერილი IV თავში, ექსპერიმენტის ნაწილში.

3.3 სასწავლო ტექსტების ვარიაციები და მათი შერჩევის ძირითადი ფაქტორები

უცხო ენაზე კითხვის სწავლების პროცესი ხუთ ძირითად კომპონენტს აერთიანებს. ესენია: შემსწავლელი, მასწავლებელი, წასაკითხი მასალები, სწავლის მეთოდები და შეფასება. აქედან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წასაკითხი მასალებია, რადგან ის განსაზღვრავს კითხვის პროცესის წარმატებულ მსვლელობას და საბოლოო შედეგებს.

წასაკითხი მასალის შერჩევა არც თუ ისე მარტივი პროცესია, რადგან გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა შემსწავლელთა ტიპები, ასაკი, მათი ცოდნის დონე, სწავლის მიზნები.

კითხვის მიზნებიდან შეიძლება გამოვყოთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი:

- კითხვა ენის შესწავლის მიზნით;
- კიხვა ინფორმაციის მიღების მიზნით;
- კითხვა კულტურული ცოდნის ამაღლების მიზნით.

კითხვის მიზნების დადგენის შემდეგ მნიშვნელოვანი ეტაპია ისეთი მეთოდების (სტრატეგიების) შერჩევა, რომლებიც შემსწავლელებს ამ მიზნების მიღწევაში დაეხმარება. ესენია:

- Scanning - ტექსტის წაკითხვა სპეციფიკური ინფორმაციის მიღების მიზნით;
- Skimming - ტექსტის წაკითხვა ძირითადი აზრის გაგების მიზნით;
- Extensive Reading - დიდი მოცულობის ტექსტების კითხვა სიამოვნების მიღების მიზნით ე.წ. ექსტენსიური კითხვა;
- Intensive Reading - მცირე მოცულობის ტექსტების დეტალური კითხვა განსაზღვრული, კონკრეტული მიზნით, ე. წ. ინტენსიური კითხვა.

შემდეგი, რაც მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს წასაკითხი მასალების შერჩევის პროცესში, არის ტექსტის შერჩევის ფაქტორები. წასაკითხი მასალის შერჩევის ძირითადი ფაქტორებია: ინტერესი, მოტივაცია, კითხვადობა, ანუ სირთულის დონე - რამდენად წაკითხვადია ტექსტი და საკითხავი მასალის თემატიკა.

ინტერესი და მოტივაცია

ინტერესი და მოტივაცია მჭიდროდაა ერთმანეთთან კავშირში. ენის შემსწავლელებში მნიშვნელოვნად იზრდება მოტივაციის დონე, როდესაც მათ საშუალება ეძლევათ, თავად შეარჩიონ საკითხავი მასალა. აქედან გამომდინარე, წასაკითხი მასალის შერჩევის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სწრედ შემსწავლელის ინტერესი და მისი გათვალისწინებაა, რაც, თავის მხრივ, ზრდის მოტივაციას და საბოლოოდ აუმჯობესებს სწავლის შედეგებს.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შემსწავლელები სასწავლო სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის კითხვისას ნაკლებად მოტივირებულები არიან, ვიდრე იმ ტექსტების, რომლებიც მათი ინტერესების მიხედვითაა შერჩეული.

შინაგანი მოტივაცია ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გარეგანი, თუმცა, მისი განსაზღვრა მასწავლებლის მიერ ცოტა რთულია. მეორე მხრივ, მასწავლებელს შეუძლია გაზარდოს გარეგანი მოტივაციის დონე სხვადასხვა წამახალისებელი აქტივობით (შექება, მისანიჭებელი ქულები და სხვ.).

შემსწავლელთა ინტერესების განსაზღვრა არც თუ ისე დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს. მათი დადგენა შესაძლებელია შემდეგი ტიპის კითხვარის საშუალებით:

მინდა ვიცოდე მეტი:

- მეცნიერულ მიღწევებზე;
- მედიცინაზე;
- მსოფლიოს საოცრებებზე

) _____ (დაასახელეთ თემა, რომელიც ყველაზე მეტად გაინტერესებთ)

კითხვადობა, ანუ სირთულის დონე

შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორი კითხვადობა, ანუ საკითხავი მასალის სირთულის დონეა, რომელიც დიდი ყურადღებით და სიფრთხილით უნდა იქნეს შერჩეული. ის ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს შემსწავლელის ცოდნის დონეს. ამ თვალსაზრისით, მეტად საყურადღებოა ვიგოდსკის (Vygotsky, L.S. 1978) პროქსიმალური განვითარების ზონის თეორია "Zone of Proximal Development" (ZPD). ამ თეორიის მიხედვით, "პროქსიმალური განვითარების ზონა არის სხვაობა, რა შეუძლია ბავშვს გააკეთოს სხვისი დახმარებით და ხელმძღვანელობით და მის გარეშე, დამოუკიდებლად". ეს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ავტონომიური კითხვის დროს. მასწავლებელი აუცილებლად უნდა ფლობდეს ინფორმაციას შემსწავლალთა ცოდნის დონეზე, მათ შესაძლებლობებსა და უნარებზე, რისი გაკეთება შეუძლიათ მათ დამოუკიდებლად და სად სჭირდებათ დახმარება.

წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს შემსწავლელის ფუნდამენტური ცოდნის დონისა და შესაძლებლობების შესაბამისი, უნდა იყოს წაკითხვადი, რაც იმას გულისხმობს, რომ ის არც ძალიან რთული უნდა იყოს, არც ძალიან მარტივი. რადგან ორივე შემთხვევაში შემსწავლელი კარგავს ინტერესს და უქრება კითხვის გაგრძელების სურვილი.

თემატიკა

ტექსტის გაგების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა შემსწავლელთა არა მხოლოდ ენობრივი ერთეულების, არამედ იმ თემატიკის ფუნდამენტური ცოდნის გათვალისწინებაა, რომელსაც წასაკითხი ტექსტი ეხება. რადგან, თუ ტექსტში მოცემული ინფორმაცია და თემატიკა სრულიად უცხოა შემსწავლელისთვის და არ შეესატყვისება მის აზროვნებაში ჩადებულ მენტალურ მოდელებს, დიდი ალბათობაა იმისა, რომ მან სწორად ვერ გაიგოს ტექსტში მოცემული ინფორმაცია და დაკარგოს

კითხვის გაგრძლების ინტერესი და მოტივაცია. უცხო ენაზე კითხვის დროს თარგმანი ხშირად მიიჩნევა ძირითად აქტივობად, მაგრამ აქ მთავარი ისაა, მასწავლებელმა გააანალოზოს, რომ თარგმნა არ ნიშნავს შინაარსის წვდომას. შემსწავლელმა შეიძლება უშეცდომოდ თარგმნოს ტექსტი, მაგრამ ეს არაა იმის გარანტი, რომ მან სწორად გაიგო ტექსტის შინაარსი, მისი დედააზრი. ყოველივე ეს კარგად აქვს დასაბუთებული როუტმანს (Routman, 2003). „აიღეთ ტექსტი მშობლიურ ენაზე, რომელშიც ყველა სიტყვას თავისუფლად კითხულობთ და გასაგებია, თუმცა არ გაქვთ ფუნდამენტალური ცოდნა იმ თემატიკის, რასაც ეს ტექსტი შეიცავს. ეს შეიძლება იყოს ფიზიკის, ფილოსოფიის, ტექნიკური სახელმძღვანელო, რომელიც სავსეა თემატური ტერმინებით“. ასეთი ტექსტების წაკითხვა, რა თქმა უნდა, არანაირ სირთულეს არ შეიცავს, თუმცა, როცა საქმე მისი შინაარსის გადმოცემას შეეხება, აშკარა გახდება, რომ ეს თითქმის შეუძლებელია. ამ მაგალითიდან გამომდინარე, აშკარაა ის ფაქტი, რომ თუ შინაარსის წვდომა უცხო თემატიკის მქონე ტექსტებში მშობლიურ ენაზეც კი რთულია, თავისთავად, ცხადია, რომ ეს უფრო რთული იქნება უცხო ენაზე კითხვის დროს. ამ მაგალითიდან ცხადი ხდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შემსწავლელის ამა თუ იმ თემატიკის ფუნდამენტური ცოდნის გათვალისწინება წასაკითხი მასალის შერჩევის დროს. ეს აზრი სრულად გაამყარა ჩვენ მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა.

სწავლის მიზნების, შემსწავლელთათვის შესაბამისი სწავლის სტრატეგიების, ინტერესების დადგენის შემდეგი ეტაპი, რომელიც შეიძლება ყველაზე რთულ და მნიშვნელოვან ეტაპად ჩაითვალოს, არის წასაკითხი ტექსტების შერჩევა.

კითხვის სწავლებისას, იმისათვის რომ ეს პროცესი ყველა შემსწავლელისთვის საინტერესო იყოს, პასუხობდეს მათ მოთხოვნილებებს და მიზნებს, საჭიროა, არსებობდეს ტექსტების მრავალფეროვნება. ყველა შემსწავლელი არის ინდივიდუალური და, აქედან გამომდინარე, საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა. მრავალფეროვანია შემსწავლელთა ჯგუფი - მრავალფოროვანი უნდა იყოს წასაკითხი მასალაც.

ზოგადად, გამოყოფენ ტექსტის შემდეგ ტიპებს: მოდიფიცირებული ტექსტები, ლიტერატურული ტექსტები, რეალურ ფაქტებზე დაფუძვნებული ტექსტები და ავთენტური ტექსტები.

მოდიფიცირებული ტექსტები

როგორც წესი, ტექსტების მოდიფიცირება იმ მიზნით ხდება, რომ ის უფრო ადვილად გასაგები, აღქმადი გახდეს შემსწავლელისთვის. იანოს, ლონგის და როსის (Yano, Y., Long, M. & Ross, S. 1994) მიხედვით, მოდიფიცირებული ტექსტები აუმჯობესებენ ტექსტის სიღრმისეულ წვდომას, გაგებას. ამიტომაა მათი გამოყენება სწავლის პროცესში აუცილებელი.

იგივე დაასტურა პარკერისა და ჩაუდრონის (Parker, K. and Chaudron, C. 1987) კვლევებმაც, როდესაც ისინი აკვირდებოდნენ, თუ როგორ წვდებოდნენ მკითხველები (ენის შემსწავლელები) შინაარსს სხვადასხვა ტიპის ტექსტების კითხვის დროს. როგორც შედეგებმა ცხადყო, ტექსტის სიღრმისეული წვდომა გაცილებით მაღალია სწორედ მოდიფიცირებული ტექსტების კითხვის დროს.

ლიტერატურული ტექსტები

ლიტერატურული ტექსტები „მწერლის ფანტაზიის ნაყოფია“. მკითხველი „ტკბება ჰარმონიით“, მას შეუძლია, „ცოცხალივით აღიქვას მწერლის მიერ გამოგონილი პერსონაჟი“, სიუჟეტი, გარემო (ტალიაშვილი, თ. 2010).

საინტერესოა გადამერის (1989. Cited in: Bredella, Delanoy, 1996) მოსაზრება. მისი თქმით, ლიტერატურული ტექსტების კითხვის პროცესი არის დიალოგი მკითხველსა და ავტორს შორის. ამ პროცესში ორივე მხარე სცილდება ინდივიდუალური, რეალური მდგომარეობის საზღვრებს, რის შედეგადაც იქმნება სრულიად ახალი, მესამე მდგომარეობა - ესთეტიკური აღქმა. ხელოვნების ნიმუშის აღქმა არა მარტო იმის გაგებაა, რაც ტექსტში წერია, არამედ წაკითხულის მორგება საკუთარ გამოცდილებებზე, ინტერესებზე და ამ ყველაფერზე დაყრდნობით საკუთარი ხატის შექმნაა.

ლიტერატურული ტექსტები, თავის მხრივ, იყოფა შემდეგ ტიპებად: ლიტერატურული აღწერა, ლიტერატურული მიმოხილვა, პოეზია, ლიტერატურული თხრობა, ცხოვრებისეული გამონათქვამები და პირადი წერილები (მოხსენებები, გამოხმაურებები).

რეალურ ფაქტებზე დაფუძვნებული ტექსტები

რეალურ ფაქტებზე დაფუძვნებული ტექსტების მთავარი მიზანი არის მკითხველის ინფორმირება, ინსტრუქტაჟის მიცემა და დარწმუნება ფაქტებისა და რეალური ინფორმაციის გამოყენების საშუალებით. ისინი ხშირად გამოიყენება მედია საშუალებებში.

ასეთი ტიპის ტექსტები იყოფა შემდეგ ტიპებად: ფაქტების აღწერა, საინფორმაციო მოხსენება, პროცედურული თხრობა, დისკუსია, განმარტება, აღწერა, ექსპოზიცია, პირადი მოხსენებები.

ავთენტური ტექსტები

არსებობს ავთენტური ტექსტების მრავალი განმარტება, მაგრამ მის არსს ყველაზე კარგად ჰარმერი (Harmer, J. 1983:146) განმარტავს. „ავთენტური ტექსტები მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთათვის შექმნილი ტექსტებია. ეს არის რეალური, ცხოვრებისეული ტექსტები რომლებიც არა ენის შემსწავლელთათვის, არამედ ამ ენაზე მოსაუბრეთათვის იქმნება“ .

ავთენტური მასალები იყოფა აუდიო, ვიზუალურ და ნაბეჭდ მასალებად. მათი მოძიება არც ისე რთულია, რადგან ისინი მრავლად გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორებიცაა ჟურნალ-გაზეთები, სატელევიზიო და რადიო გადაცემები, ინტერნეტ საიტები, განცხადებები, ფილმები, მუსიკა, ბროშურები, ქვითრები და სხვა. მთავარი სირთულე ამ მასალებიდან ისეთი ტექსტების შერჩევაა, რომლებიც სრულად პასუხობს შემსწავლელთა ინტერესებს, ცოდნის დონეს და მიზნებს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია **დავასკვნათ**: იმისათვის, რომ მივაღწიოთ სასურველ მიზანს - დავაწყებინოთ შემსწავლელებს კითხვა, საკმაოდ დიდი და არც თუ ისე იოლი გზაა გასავლელი. მაგრამ, თუ ზუსტად გვეცოდინება შემსწავლელთა მიზნები, ინტერესები, ცოდნის დონე და, ყოველივე ამის გათვალისწინებით, შევურჩევთ წასაკითხ მასალას, უზრუნველვყოფთ კითხვის საჭირო სტრატეგიებით, მაშინ შედეგიც სასურველი იქნება და მიზანიც ადვილად მიიღწევა.

3.4. ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა საერთაშორისო სასერტიფიკატო ტესტებზე მუშაობის პროცესში

ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრეთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა, ზოგადად, კითხვითი დავალებების ტექსტების ვარიაციები და მათი შერჩევის ძირითადი ფაქტორები. კითხვითი დავალებების შესრულება, თავისთავად, მოითხოვს ტექსტში გამოყენებული ლექსიკური ერთეულების ცოდნას. მტკიცებას არ მოითხოვს ის ფაქტი, რომ კითხვითი დავალებების შესრულების დროს მთავარ დაბრკოლებას სწორედ ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგება ქმნის.

კითხვისა და ლექსიკის ურთიერთკავშირზე არაერთი ნაშრომია შექმნილი. უაღრესად საინტერესოა, მაგალითად, ჰაკინი, ჰაინესის და კოუდის (Huckin, Haynes, Coady, 1993) "Second Language Reading and Vocabulary Learning"; გარდნერის (Gardner, 2013) "Exploring Vocabulary" და მრავალი სხვა.

სტეფან კრაშენის (Krashen, 1989) "Acquiring Vocabulary and Spelling", სადაც ის აღნიშნავს, რომ ლექსიკისა და მართლწერის ათვისება სწორედ კითხვის საშუალებით ხდება. ლექსიკის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს მისი ცნობილი ციტატა „მოსწავლეებს თან გრამატიკის წიგნები კი არა, ლექსიკონები დააქვთ" (Krashen, 1989:440).

ამჟამად ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკაზე, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ დიდ დაბრკოლებას უქმნის აპლიკანტებს საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის კითხვითი დავალებების შესრულების დროს.

დეივიდ უილკინსის (Wilkins, 1972:111-112) ცნობილი ფრაზა სრულად გამოხატავს ლექსიკის როლს უცხო ენის სწავლაში: „გრამატიკის გარეშე საკუთარი აზრის მხოლოდ მცირე ნაწილის გამოხატვაა შესაძლებელი. მაშინ, როცა ლექსიკის გარეშე საერთოდ შეუძლებელია აზრის გამოხატვა“.

ლექსიკური ერთეულების სწავლა ნეიშენის (Nation, 2001:27) განმარტებით, გულისხმობს მისი სამი მთავარი ასპექტის სწავლას. ესენია: ფორმა, შინაარსი და გამოყენება. სამივე ელემენტი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და მათი გაგება სიტყვის სიღრმისეულ გააზრებას, გაგებას და სწავლას განაპირობებს.

ციმერმანი, ნეიშენი და უები, კოქსჰედი, შმიდტი და მრავალი სხვ. (Zimmerman, 2009; Nation and Webb, 2011; Coxhead, 2006; Schmitt, 2000;) ინგლისურ ენაში ლექსიკური ერთეულების ოთხ ძირითად ჯგუფს განასხვავებენ:

1. მაღალი სიხშირის ლექსიკური ერთეულები/სიტყვები, ე.წ. აქტიური ლექსიკა (დაახლოებით 2000 სიტყვა. შეადგენს ტექსტების 75-80% -ს);
2. ზოგადი აკადემიური ლექსიკა (დამახასიათებელია აკადემიური ტექსტებისათვის) ;
3. ტექნიკური/სპეციფიკური ლექსიკა (დაახლოებით 1000 სიტყვა);
4. დაბალი სიხშირის ლექსიკური ერთეულები, ე.წ. პასიური ლექსიკა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო სასერტიფიკატო ტესტში კითხვითი დავალებების ძირითად სირთულეს სწორედ უცხო ლექსიკური ერთეულები ქმნის, განსაკუთრებით კი ის სამეცნიერო თემატიკის ლექსიკური ერთეულები, რაც ასე მრავლად გვხვდება (82%) ტესტების კითხვითი დავალებების ნაწილში. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევიმუშავეთ ალტერნატიული გზა, რაც ვფიქრობთ, რომ

მნიშვნელოვნად დაეხმარება აპლიკანტებს გამოცდის წინამოსამზადებელ პერიოდში.

როგორც TOEFL -ის ტესტის ექსპერტი (test prep expert) დეივიდ რესინი (Recine, 2016) აღნიშნავს, ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რაც ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგებას უკავშირდება, არის **აკადემიური სიტყვები და მათი ფორმები.** მაგ: მონათესავე სიტყვები, ერთი ფუძიდან წარმოებული სხვადასხვა მეტყველების ნაწილები. მისივე რჩევით, იმისათვის, რომ აპლიკანტმა გამოცდისთვის კარგად იცოდეს მონათესავე სიტყვები და მათი გრამატიკული ფორმები, სასურველია, მოსამზადებელ პერიოდში ის აკადემიურ სიტყვებს სხვადასხვა ფორმით სწავლობდეს, სადაც წარმოდგენილი იქნება სიტყვის ფუძე და მასზე წარმოებული ყველა მეტყველების ნაწილი (არს.სახ.; ზმნა; ზედს.სახ.; ზმნიზედა).

არანაკლებ პრობლემურია **სიტყვის ფორმისა და შინაარსის** ერთმანეთთან სწორად **დაკავშირება,** რაც გულისხმობს კონტექსტის შესატყვისი სიტყვის სწორად შერჩევა-გამოყენებას. იქიდან გამომდინარე, რომ ინგლისურში ერთ კონკრეტულ სიტყვას შეიძლება მრავალი განსხვავებული შინაარსი ჰქონდეს, მათი არცოდნის შემთხვევაში, აპლიკანტი შეიძლება დაიბნეს და მცდარი გადაწყვეტილება მიიღოს. ამიტომ, სასურველია, რომ მსგავსი ლექსიკური ერთეულების სწავლისას მაქსიმალურად იქნეს შესწავლილი მათი ყველა მნიშვნელობა.

სიტყვის ფორმისა და შინაარსის ერთმანეთთან სწორად დაკავშირება აპლიკანტებს ბარიერს უქმნის, როდესაც მათ საქმე აქვთ იდიომებთან, ფრაზულ ზმნებსა და სიტთყვათშეხამებებთან, როდესაც სიტყვები თავის საწყის, ძირითად მნიშვნელობას კარგავენ და სხვა, ახალ მნიშვნელობას იძენენ. მაგ: it's raining cats and dogs, რომელსაც რეალურად, საერთო არაფერი აქვს ძაღლებთან და კატებთან და ითარგმნება, როგორც „კოკისპირული წვიმა"; cut down - რომელიც ითარგმნება, როგორც შემცირება; დამარცხება; გარიგება და მრავალი სხვ. ასე რომ, ეს საკითხიც დიდ ყურადღებას მოითხოვს.

პრობლემაა, ასევე, ინგლისურ ენაში არსებული გამონაკლისები, რაც არც თუ ისე ცოტაა. მაგალითად, როგორც ცნობილია, სუფიქსი - ly გამოიყენება ზმნიზედების საწარმოებლად ისე, რომ სიტყვას შინაარსი არ ეცვლება, იცვლის მხოლოდ

გრამატიკულ ფორმას. მაგ: quick - სწრაფი და quickly - სწრაფად. თუმცა, სიტყვა hard - მაგარი-ს შემთხვევაში, როგორც ვიცით, იცვლება შინაარსი. Hardly - ძლივს და არა მაგრად. მსგავსი ნიუანსები ბევრია ინგლისურ ენაში და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლება, რაც საერთაშორისო სასერტიფიკატო ტესტებზე მუშაობისას იკვეთება, არის ტექნიკური, თემატური ლექსიკა. როგორც ცნობილია, ტესტში, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა თემატიკის ტექსტებია შესული, რომელთა გაგებაც, ამა თუ იმ განსხვავებული თემატიკის, სპეციფიკური ლექსიკური ერთეულების ცოდნას მოითხოვს. გამოცდის წინამოსამზადებელ პერიოდში, აპლიკანტმა, შეძლებისდაგვარად, უნდა შეისწავლოს ის ძირითადი ტერმინები, ის სპეციფიკური ლექსიკა, რაც სხვადასხვა თემატიკას უკავშირდება. მაგ: მეცნიერება, მედიცინა, ბიზნესი და სხვ. ჩვენი ექსპერიმენტი, რომელზეც დაწვრილებით შემდგომში ვიასუბრებთ, სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება.

აპლიკანტებს, რომლებიც ავტონომიურად მუშაობენ გამოცდის წინა, მოსამზადებელ პერიოდში, შეგვიძლია ვურჩიოთ:

- თავად აწარმოონ ლექსიკონები, სადაც შესული იქნება საერთაშორისო სასერტიფიკატი ტესტში გამოყენებული სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებული ის საბაზისო სიტყვები (სიტყვათა ოჯახები, დერივაციები), რომლებიც მათ ტექსტის შინაარსის გაგებაში დაეხმარება.
- აქტიურად გამოიყენონ ლექსიკური ერთეულების სწავლის სტრატეგიები, მაგ: ლექსიკონის წარმოება, ასოციაციები, დაჯგუფება, გამეორება, სიტყვის მნიშვნელობის გამიჯვნა კონტექსტის მიხედვით.

  განასხვავებენ ტექსტის ორი ტიპის კონტექსტს:

1. ტექსტის შიდა კონტექსტი, ანუ ტექსტში არსებული მორფოლოგიური, სემანტიკური და სინტაქსური ინფორმაცია;
2. ზოგადი კონტექსტი, ანუ ტექსტში ჩადებული შინაარსი.

იმისათვის, რომ მკითხველმა შეძლოს სიტყვის გამოცნობა კონტექსტის მიხედვით, აუცილებელია, ეს ტექსტი შეიცავდეს უცხო სიტყვებს და ე.წ. საკვანძო

სიტყვებს, რომლებიც მკითხველს უცხო სიტყვების შინაარსის მიხვედრა-გამოცნობაში დაეხმარება.

საინტერესო და გასათვალისწინებელია, ასევე, ფოლსის (Folse, 2004) აზრი, რომელიც თვლის, რომ აკადემიური, სამეცნიერო თემატიკის ლექსიკური ერთეულების დაუფლების ეფექტური გზა მათი დეკონტექსტუალიზაციაა. იქიდან გამომდინარე, რომ აკადემიური თემატიკის ლექსიკური ერთეულები აქტიურად არ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათი შესწავლა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, სასურველია, თავდაპირველად მოხდეს მათი დეკონტექსტუალიზაცია. მაგ: მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს კითხვის წინა აქტივობები და დავალებები, რომლებშიც ყურადღება იქნება გამახვილებული იმ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებსაც შემსწავლელები მოგვიანებით შეხვდებიან ტექსტში, ანუ შემსწავლელი ჯერ კონტექსტის გარეშე გაეცნობა ლექსიკურ ერთეულებს, ხოლო შემდეგ კონტექსტში, რაც, ციმერმანის მიხედვით (Zimmerman, 1997) ლექსიკური ერთეულების ათვისების ყველაზე ხელშემწყობ ფაქტორად ითვლება.

სიტყვის მნიშვნელობის გამოცნობა კონტექსტის მიხედვით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტონომიური შემსწავლელებისათვის, რადგან ეს სტრატეგია ახალისებს მათ და მეტ თავდაჯერებულობას მატებს. გარდა ამისა, საგრძნობლად უწყობს ხელს მოტივაციის ზრდას, რაც, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, წარმატებული სწავლის აუცილებელი პირობაა.

სწავლის სტრატეგიებისადმი ინტერესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან დაიწყო. ამავე პერიოდს უკავშირდება ლექსიკური ერთეულების სწავლის სტრატეგიების ირგვლივ დაწყებული კვლევები. როგორც ომალი და ჩამოტი (O'Malley & Chamot, 1990) აღნიშნავენ, სწავლის სტრატეგიების უმრავლესობა ლექსიკური ერთეულების სწავლის დროსაც გამოიყენება. შესაბამისად, მეხსიერების ყველა სტრატეგია შეიძლება გამოვიყენოთ ლექსიკური ერთეულების სწავლის პროცესში.

არსებობს ლექსიკური ერთეულების სწავლის სტრატეგიების მრავალი კლასიფიკაცია. მათგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შმიტის (Schmitt, 1997) ტაქსონომიაა, რომლის მიხედვითაც სტრატეგიები შემდეგ ორ ჯგუფად იყოფა:

1. აღმოჩენითი სტრატეგიები: აღმოჩენებით სწავლა; სოციალური სტრატეგიები.

2. განმამტკიცებელი სტრატეგიები: სოციალური სტრატეგიები; მეხსიერება; კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიები.



ჩვენი კვლევის შინაარსიდან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებთ **ლექსიკური ერთეულების სწავლის იმ სტრატეგიებზე,** რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია **ავტონომიური შემსწავლელებისათვის.** ესენია:

- ლექსიკური ერთეულების აღმოჩენებით სწავლა, რომელიც გულისხმობს შემდეგი სტრატეგიების გამოყენებას:

1. გავაანალიზოთ, რომელი მეტყველების ნაწილია სიტყვა (არს. სახ.; ზმნა; ზედს. სახ., და სხვ.);

2. გავაანალიზოთ სიტყვის შემადგენელი ნაწილები (პრეფიქსი, ფუძე, და სხვ.);

3. შევეცადოთ და გავმიჯნოთ სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტის დახმარებით;

4. გამოვიყენოთ ლექსიკონი.

- დამახსოვრების (მნემონიკური) სტატეგიებიდან შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი სტრატეგიები:

1. გონებაში ვიზუალური სურათის შექმნა;

2. პარაფრაზირება;

3. გამეორება;

4. ასოციაციის დამყარება;

5. სინონიმებთან და ანტონიმებთან დაკავშირება;

6. მსგავსი სიტყვების დაჯგუფება;

7. ლექსიკონის წარმოება.

სწავლის სტრატეგიებიდან ყველაზე სრულყოფილად შეიძლება ჩაითვალოს ოქსფორდის (Oxford,1990) ტაქსონომია (იხ. დანართი #7), რომლის მიხედვით სწავლის სტრატეგიები პირდაპირ და არაპირდაპირ სტრატეგიებად იყოფა. პირდაპირია: დამახსოვრება (მნემონიკური), კოგნიტური და კომპენსატორული სტრატეგიები. ხოლო არაპირდაპირ სტრატეგიებს მიეკუთვნება: მეტაკოგნიტური, ემოციური და სოციალური სტრატეგიები.

სტრატეგიების ეს ექვსი კატეგორია ცხრამეტ (19) სტრატეგიად არის წარმოდგენილი.

პირდაპირი სტრატეგიები

დამახსოვრების (მნემონიკური) სტრატეგიები:

1. მენტალური სურათის შექმნა (სიტყვების დაჯგუფება, კონტექსტუალიზაცია, ასოციაცია/დამუშავება);
2. სურათებისა და ბგერების შექმნა (წარმოსახვა, სემანტიკური რუკის შექმნა, საკვანძო სიტყვები, ბგერების დამახსოვრება);
3. გადამეორება (მასალის გადამეორება დროის ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ);
4. მოქმედებაში მოყვანა (საპასუხო ფიზიკური რეაქცია) .

კოგნიტური სტრატეგიები:

1. პრაქტიკა;
2. ინფორმაციის მიღება და გაგზავნა;
3. ანალიზი და დასაბუთება ;
4. ცოდნის მიღებისა და გადაცემის პროცესის სტრუქტურის შექმნა .

კომპენსატორული სტრატეგიები:

1. გონივრული გამოცნობა/ლოგიკური მიხვედრა;
2. შეზღუდვების საუბრისა და წერის დროს (ჟესტები, მშობლიური ენის მოშველიება, თემატიკის არჩევა, სიტყვების შეთხზვა, არაპირდაპირი საუბარი, მრავალსიტყვაობა/სიტყვაუხვობა.

არაპირდაპირი სტრატეგიები

მეტაკოგნიტური სტრატეგიები:

1. სწავლეზე კონცენტრირება (მიმოხილვა და დაკავშირება, ყურადღება, მოსმენა);
2. სწავლის ორგანიზება-დაგეგმვა (მეტა-ლინგვისტიკა, ორგანიზება, მიზნის დასახვა, მიზნების იდენტიფიკაცია, დავალების დაგეგმვა, დროის გამონახვა მეცადინეობისთვის);
3. სწავლის შეფასება (თვით-მონიტორინგი, თვითშეფასება).

ემოციური სტრატეგიები:

1. ღელვის შესუსტება (რელაქსაცია/მედიტაცია, მუსიკა, სიცილი);
2. თვითგამხნევება (დადებითი წინადადებები, ბრძნული რისკი, თვით-დაჯილდოება-წახალისება);
3. ემოციების გაკონტროლება (საკუთარი თავის ფლობა, ემოციების კონტროლი, დღიური, გრძნობების გაზიარება).

სოციალური სტრატეგიები:

1. კითხვების დასმა (გარკვევა/ დადგენა, შესწორება);
2. სხვაბთან თანამშრომლობა (მხარდაჭერა, ურთიერთობა ადამიანებთან, ვისთვისაც სამიზნე ენა მშობლიურია);
3. ემფატია (ურთიერთობის ჩამოყალიბება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან, სხვისი ფიქრებისა და განცდების გაგება);

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწავლის სტრატეგიების უმრავლესობა, აგრეთვე, გამოიყენება ლექსიკური ერთეულების სწავლისას. **ავტონომიური შემსწავლელისთვის** ლექსიკური ერთეულების სწავლის პროცესისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ეფექტური ოქსფორდის (Oxford, 1990) ტაქსონომიის გათვალისწინებით, ისევე, როგორც შმიტთან (Schmitt, 1997), არის მნემონიკური, კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება. იმავეს ადასტურებს ომალი და ჩამოტის მიერ შემუშავებული კოგნიტური სტრატეგიები,

რომელშიც შედის შემდეგი სტრატეგიები: გამეორება; თარგმანი; დაჯგუფება; საზრიანობა; დედუქცია; ჩანაწერების გაკეთება (note-taking); რეკომბინაცია; წარმოსახვა-ფანტაზია; საკვანძო სიტყვები; კონტექსტუალიზაცია; დაკავშირება; დასკვნა (O'Malley & Chamot, 1990).

კოჰენისა და აპტონის (Cohen & Upton, 2006:4) მიხედვით, სტრატეგიების ეფექტურობას თვითონ ინდივიდი, მისი კოგნიტური უნარები, ცოდნის დონე და სტილი განსაზღვრავს. ასე რომ, არ შეიძლება ამა თუ იმ შემსწავლელის მიერ არჩეული და გამოყენებული სწავლის სტრატეგია განისაზღვროს, როგორც „კარგი ან ცუდი არჩევანი".

კითხვითი დავალებების და მათი შესრულების სირთულეების განხილვისას, გამოიკვეთა შემდეგი: საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე გამსვლელი აპლიკანტებისათვის ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს სხვადასხვა თემატიკის, სპეციფიკური ლექსიკური ერთეულები, აკადემიური სიტყვები და მათი ფორმები, რაც ასე მრავლად გვხვდება ტესტებში. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად აუცილებლად მივიჩნევთ ლექსიკური ერთეულების სწავლის მნემონიკური, კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებას, რომლებიც ოქსფორდის და შმიტტის ტაქსონომიებშია წარმოდგენილი და განსაკუთრებით ეფექტურია ავტონომიური შემსწავლელებისათვის.

ჩვენ გავითვალისწინეთ ყოველივე ზემოთქმული და აქტიურად გამოვიყენეთ ექსპერიმენტის დაგეგმვის პროცესში.

თავი IV

ექსპერიმენტი

4.1. კვლევის მიზნები და საკვლევი მეთოდოლოგია

ჩვენ მიერ ჩატარებული **კვლევის მთავარ მიზანს** წარმოადგენს შემდეგი: დავეხმაროთ საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე გამსვლელ აპლიკანტებს წინა მოსამზადებელ პერიოდში, კითხვითი დავალებების ავტონომიურად შესრულების დროს, ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.

საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, შევასრულეთ შემდეგი სამუშაოები:

1. ე.წ. VAK ტესტის (იხ. დანართი #6) საშუალებით გავარკვიეთ, აქვს თუ არა ყველა შემსწავლელს ავტონომიური სწავლის თანაბარი უნარი; ახდენს თუ არა შემსწავლელთა ტიპები (ვიზუალი, აუდიალი, კინესთეტი, შერეული) ზეგავლენას მათი ავტონომიური სწავლის უნარზე;

- არსებული კვლევა საჭირო იყო იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში, დავალებათა ტიპები შემსწავლელთა ტიპების გათვალისწინებით შეგვედგინა.

2. დავადგინეთ, რა სიძნელეებს აწყდებიან საერთაშორისო გამოცდებზე გამსვლელი პირები კითხვითი დავალებების შესრულების დროს; რომელია ყველაზე პრობლემური კითხვით დავალებებს შორის (ტესტების ნიმუშები იხ. დანართში #8);

- ყოველივე ამან მოგვცა შესაძლებლობა, დაგვედგინა, რომელია ყველაზე რთული დავალება კითხვით დავალებებს შორის;

- მიღებული ინფორმაცია დაგვეხმარა პრობლემის გადაჭრის ხერხებისა და სტრატეგიების შემუშავებაში;

3. გავარკვიეთ, ქმნის თუ არა ლექსიკური ერთეულების არცოდნა ბარიერს ტესტში შემავალი კითხვითი დავალებების შესრულების დროს და კონკრეტულად რომელი

ლექსიკური ერთეულებია ყველაზე პრობლემური; რომელი თემატიკის ლექსიკური ერთეულები ქმნის ყველაზე დიდ პრობლემას;

- მოვიფიქრეთ და შევიმუშავეთ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები (მაგ. წინასწარ დამუშავებული ლექსიკური ერთეულების ჩამონათვალი დეფინიციებით; სხვადასხვა ტიპის დავალებები);

4. დავაკვირდით, რამდენად დაეხმარა სტუდენტებს წინასწარ მიწვდილი ლექსიკური ერთეულები თავისი დეფინიციებით და სხვადასხვა ტიპის დავალებები კითხვითი დავალებების ავტონომიურად შესრულების დროს.

კვლევის მეთოდები: ჩატარებულ კვლევაში გამოვიყენეთ კვლევის, როგორც რაოდენობრივი (ანკეტირება, ინტერვიუ, კითხვარი, ტესტირება), ისე თვისებრივი (ტესტირება, დაკვირვება-ანალიზი) მეთოდები.

4.2. წინასაექსპერიმენტო ისტორია

) შემსწავლელთა ტიპები და სწავლის ავტონომია

2013 წელს ჩავატარეთ კვლევა, რომელშიც მონაწილეობდნენ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები. კვლევის მიზანი იყო, პირველ რიგში, შემსწავლელთა ტიპების გამოვლენა ე.წ. VAK ტესტის (იხ. დანართი # 6) საშუალებით და შემდეგ იმის დადგენა, თუ შემსწავლელის რომელ ტიპს უფრო მეტად აქვს განვითარებული ავტონომიური სწავლის უნარი (იხ.დანართი #1).

კვლევის მონაწილეები: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 118–მა სტუდენტმა. შედეგები ასე გადანაწილდა: სტუდენტთა უმრავლესობა, 49 სტუდენტი (11 ვაჟი, 38 გოგონა) ვიზუალი აღმოჩნდა, 19 სტუდენტი (5 ვაჟი, 14 გოგონა) აუდიალი, 14 (7 ვაჟი, 7

გოგონა) კი კინესთეტი. რაც შეეხება დანარჩენ 36 სტუდენტს - ისინი შერეულ ტიპს მიეკუთვნებიან.

კვლევის შედეგები:

ავტნომიურად მუშაობის უნარი	ვიზუალები	აუდიალები	კინესთეტიკები	შერეული ტიპი
დაბალი მაჩვენებელი	41%	42%	28%	33%
საშუალო მაჩვენებელი	22%	26%	36%	25%
მაღალი მაჩვენებელი	37%	32%	36%	42%

როგორც შედეგებიდან ჩანს, მკვეთრი სხვაობა შემსწავლელთა ტიპებს შორის ავტონომიურ სწავლასთან მიმართებით არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით კინესთეტებს, რომელთაც შედარებით უკეთესად აქვთ განვითარებული ავტონომიურად მუშაობის (სწავლის) უნარი.

დასკვნა: სწავლის პროცესში შემსწავლელთა ტიპების გამოვლენას, რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე, შემსწავლელებისთვისაც. თუმცა, რაც შეეხება ავტონომიური სწავლის უნარს, როგორც შედეგებმა აჩვენა, მაინც და მაინც მნიშვნელოვანი არ არის, თუ რომელ ტიპს ეკუთვნის შემსწავლელი, რადგან ყველა მათგანს აქვს ავტონომიური სწავლის უნარის განვითარების თითქმის თანაბარი შესაძლებლობა.

) საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის სირთულეები

თავდაპირველად შევეცადეთ იმის გარკვევას, თუ, ზოგადად, რა ინფორმაციას ფლობდნენ გამოკითხვაში მონაწილე პირები საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებთან დაკავშირებით. შემდეგ შევეცადეთ, გაგვერკვია, თუ დავალების რომელი ტიპი ქმნიდა ყველაზე დიდ დაბრკოლებას ტესტების შესრულების დროს: მოსმენის, კითხვითი, გრამატიკული თუ წერითი ნაწილი. ამის გამოსავლენად, ჩვენ

შევადგინეთ **კითხვარი** (იხ.დანართი #9), რომელიც დაახლოებით 70-მა თელავის სხვადასხვა საშუალო სკოლის მე–12 კლასელმა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტმა შეავსო. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთაგად ყველა (100%) ფლობს ზოგად ინფორმაციას საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე. ყველაზე დიდი პოპულარობით (98%) კი TOEFL გამოირჩევა. ამ 98% -დან 70% თვლის, რომ აღნიშნული სერტიფიკათი მათ საზღვარგარეთ წასვლაში და იქ განათლების მიღებაში დაეხმარება, ხოლო დანარჩენი 30% კი თვლის, რომ TOEFL - ის სერტიფიკატი მათ ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება ჩვენი კვლევისთვის ყველაზე აქტუალურ, საინტერესო კითხვას:

„ტესტის შესრულების დროს, რომელი ნაწილი მიგაჩნიათ ყველაზე რთულად:

1. მოსმენა;
2. უცხო ტექსტი, მასთან არსებული სხვადასხვა ტიპის დავალებით;
3. გრამატიკული ნაწილი;
4. წერა (წერილი, მოხსენება, ესე და ა. შ.), „შემდეგი პასუხები მივიღეთ:



საინტერესოა ის ფაქტი, რომ ტესტების შედეგებმა სრულიად განსხვავებული სურათი გამოავლინა.

კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას კითხვით დავალებებში უფრო დაბალი შედეგი ჰქონდა, ვიდრე მოსმენაში. გრამატიკასთან მიმართებით შედეგები თითქმის დაემთხვა კითხვარის პასუხებს. წინა-საშუალო დონის (რაც შეესაბამებოდა გამოკითხულთა ცოდნის დონეს) ტესტის (იხ.დანართი #10) შესრულებისას გამოვლინდა, რომ:

- მოსმენის ნაწილში დაბალი შეფასება მიიღო 22 %-მა, რაც პროგნოზისგან განსხვავებული მაჩვენებელია;
- კითხვით დავალებებში (უცხო ტექსტი და მასთან არსებული დავალებები) დაბალი შედეგი აჩვენა 33 %-მა, რაც, ასევე, საკმაოდ განსხვავებული მაჩვენებელია;
- ტესტის გრამატიკული ნაწილის შედეგებში მაჩვენებელი თითქმის იგივეა, რაც გამოკითხვის მიხედვით - 8%.
- წერითი ნაწილის შესრულება გაუჭირდა 37 %-ს, რაც ასევე ახლოსაა წინასწარი გამოკითხვის მონაცემებთან.

უკეთესი თვალსაჩინოებისათვის **შედეგები** წარმოდგენილი გვაქვს ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში



როგორც აღმოჩნდა, სტუდენტთა უმრავლესობას არასწორი წარმოდგენა ჰქონდა ტესტში შემავალი დავალებების (განსაკუთებით კითხვითი და მოსმენის დავალებების) სირთულეებთან დაკავშირებით.

- **საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის კითხვითი დავალებები და მათთან დაკავშირებული სირთულეები**

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, რომ რეალურად სტუდენტთა უმრავლესობისთვის ტესტის შესრულებისას კითხვითი დავალებები ქმნიდა საკმაოდ დიდ დაბრკოლებას, გადავწყვიტეთ უფრო სიღრმისეული კვლევა ჩაგვეტარებინა საკითხთან მიმართებაში.

იქიდან გამომდინარე, რომ კითხვითი დავალებების ნაწილი სხვადასხვა ტიპის დავალებებს მოიცავს, ჩავატარეთ კვლევა იმის გამოსავლენად, თუ უშუალოდ რომელი ტიპის კითხვითი დავალება ქმნიდა ყველაზე ხშირად სირთულეს საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტებში (ნიმუშები იხ. დანართში #8) შემავალი კითხვითი დავალებების შესრულებისას. თავდაპირველად, მოკლედ განვიხილავთ ტესტში მოცემული კითხვითი დავალების ტიპებს.

IELT (International English Language Testing System - ინგლისური ენის ტესტირების საერთაშორისო სისტემა) – ტესტის კითხვითი ნაწილი მოიცავს შემდეგი ტიპის დავალებებს:

- მრავლობითი შერჩევის ტიპის ტესტი (Multiple choice question)
- კითხვებზე მოკლე პასუხების გაცემის ტიპის ტესტი (Short-answer question)
- წინადადების დასრულება (Sentence completion)
- წერილის, ცხრილის, სქემის, რეზიუმეს დასრულება (Note, table, flow-chart, summary completion)
- დიაგრამის მონიშვნა (Diagram labeling)

- ინფორმაციის იდენტიფიცირება (Identifying information)

- ინფორმაციის, სათაურების, ტოპოგრაფიული ერთეულების და წინადადების დაბოლოებების დაწყვილების ტიპის დავალებები (Matching information, headings, features, sentence endings)

ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის – TOEFL-ის ტესტში კითხვითი დავალებების ნაწილი შემდეგი ტიპის საკითხებს მოიცავს:

- ფაქტები / დეტალები (Facts/Details);
- უარყოფითი ფაქტები / დეტალები (Negative facts/details);
- ხაზებს შორის კითხვა (Inference);
- სიტყვის მნიშვნელობის გამიჯნვა (Vocabulary);
- მიზნის განსაზღვრა (Purpose);
- ნაცვალსახელთა იდენტიფიკაცია (Referent);
- პარაფრაზი (Paraphrase);
- წინადადებების ჩასმა (Sentence insertion);
- შეჯამება (Summarizing);
- ინფორმაციის კატეგორიზაცია (Categorizing information)

მსოფლიოში არანაკლები პოპულარობით სარგებლობს კემბრიჯის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდები.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდის ტესტებში (FCE, CAE) კითხვითი და ლექსიკური ტიპის დავალებები (Reading and Use of English) ერთ ნაწილშია გაერთიანებული. ეს დავალებებია:

- დახურული ტიპის მრავლობითი შერჩევის ტესტი, ლექსიკური ერთეულების შერჩევა (Multiple choice cloze, Vocabulary);

- ღია ტიპის კითხვა (Open Cloze);

- სიტყვათ წარმოება (Word formation);

- წინადადების პარაფრაზი საკვანძო სიტყვების გამოყენებით (Key word transformation);
- მრავლობითი შერჩევის ტესტი, წაკითხულის გააზრება (Multiple choice, Reading Comprehension);
- ტექსტის შევსება გამოტოვილი წინადადებებით (Gapped Text);
- ინფორმაციის დაწყვილება (Information matching)

შარფის (Sharpe, 2010:32-34) მიხედვით, TOEFL-ის კითხვითი დავალებების შესრულების დროს სხვა აკადემიურ უნარებთან (შენიშვნების გაკეთება Taking notes, პარაფრაზი, paraphrizing, შეჯამება summarizing, სინთეზირება synthesizing) ერთად, აუცილებელია შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:

1. Preview ტექსტის წინასწარ გადახედვა (სათაურის წაკითხვა, თითოეული აბზაცის პირველი და უკანასკნელი წინადადებების გადაკითხვა);
2. Read faster სწრაფი კითხვა (ტექსტის სწრაფად წაკითხვა მთავარი აზრის გასარკვევად);
3. Use contexts კონტექსტის გამოყენება (უზხო სიტყვების მნიშვნელობის გამიჯნვა კონტექსტის დახმარებით);
4. Make inferences დასკვნების გაკეთება (ხაზებს შორის ინფორმაციის ამოცნობა და დასკვნების გამოტანა);
5. Skim and scan - ტექსტის წაკითხვა სპეციფიკური ინფორმაციის მიღების და ძირითადი აზრის გაგების მიზნით;
6. Make connections დაკავშირება (ლოგიკური კავშირის მოძებნა გამოტოვებული წინადადებების ჩასმის დროს);
7. Summarize შეჯამება (მთავარი აზრის გამოკვეთა);

ჩვენ მიერ შედგენილ ტესტებში გავაერთიანეთ სხვადასხვა ტიპის კითხვითი დავალებები TOEFL, FCE, IELT-ის ტესტებიდან.

კვლევის მონაწილეები: კვლევაში მონაწილეობდა ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული **ერასმუს** + – ის ფარგლებში

კრედიტების მობილობის პროგრამის (რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური კურირებს), 80–ზე მეტი აპლიკანტი, რომელთაც გაიარეს ტესტირება (იხ. დანართი #8), რომელიც საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის ფორმატზეა დაფუძვნებული.

ქვემოთ წარმოდგენილია იმ დავალებათა მონაცემები, რომლებიც უშუალოდ ჩვენი საკვლევი თემატიკისთვისაა აქტუალური. ესენია:

1. სიტყვათ წარმოება;
2. მრავლობითი შერჩევის დახურული ტიპის ტესტი (ლექსიკური ერთეულების შერჩევა);
3. მრავლობითი შერჩევის ტიპის ტესტი (წაკითხულის გააზრება);
4. შეჯამება;
5. ტექსტში გამოტოვებული წინადადებების ჩასმა.

ამ დავალებების წარმატებით შესრულებისთვის სტუდენტებს წინასწარ მივეცით რჩევები, თუ რომელი სტრატეგია უნდა გამოეყენებინათ.

1. **სიტყვაწარმოება** (იხ. დანართი #11)

- წაიკითხეთ ტექსტი, რათა გაარკვიოთ, რომელი მეტყველების ნაწილი აკლია; ამის შემდეგ, შეარჩიეთ ამ მეტყველების ნაწილის წარმოებისთვის საჭირო, შესატყვისი დაბოლოება (მაგ: არს. სახ.-ის შემთხვევაში: -tion, -ity, -ology და სხვ.; ზედს. სახ.-ის შემთხვევაში: -able; -ful; -ing da sxv.);
- გააანალიზეთ ტექსტის შინაარსი, კონტექსტი, ხომ არ არის საჭირო სიტყვის უარყოფითი ფორმა? ამ შემთხვევაში შეარჩიეთ შესაბამისი პრეფიქსები, სუფიქსები (მაგ: -less; dis-; im-; un- და სხვ.);
- ყურადღება მიაქციეთ მართლწერას.

2. **მრავლობითი არჩევანის შემცველი დახურული ტიპის ტესტი (ლექსიკური ერთეულების შერჩევა)** (იხ. დანართი #12)

- გააანალიზეთ, რომელი მეტყველების ნაწილია გამოტოვებული;
- ყურადღება მიაქციეთ გამოტოვებული ადგილის წინა და მომდევნო სიტყვებს (ეს დაგეხმარებათ, ამოიცნოთ, რომელი მეტყველების ნაწილი უნდა იყოს სიტყვა, რომელიც გამოტოვებულ ადგილას უნდა ჩავსვათ. მაგ: თუ გამოტოვებული ადგილის შემდეგ არს. სახ. -ია მოცემული, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩასასმელი სიტყვა ან ზედს. სახ.-ია, ან რიცხ. სახ.);
- გაითვალისწინეთ წინადადების შინაარსი, ტექსტის ზოგადი კონტექსტი;
- ჩამოთვლილი სიტყვებიდან შეარჩიეთ გამოტოვებული ადგილის შესატყვისი მეტყველების ნაწილი (ყურადღება მიაქციეთ სუფიქსებს, რიცხვს), რომელიც შინაარსობრივად, ლოგიკურად არის დაკავშირებული წინადადების სხვა წევრებთან;
- გამოიყენეთ გამორიცხვის მეთოდი. რაც მეტი არასწორი პასუხი გამოირიცხება, მით უფრო გაიზრდება სწორი პასუხის პოვნის შესაძლებლობა.

5. **მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტი (წაკითხულის გააზრება)**

(იხ. დანართი #13)

- სწრაფად გადაათვალიერეთ ტექსტი, რათა ზოგადი წარმოდგენა შეგექმნათ ტექსტის მთავარ აზრზე;
- არ დაიწყოთ ტექსტის დაწვრილებით „ბრმად“ კითხვა. ეს დროის ფუჭად დაკარგვაა. ჯერ ყურადღებით წაიკითხეთ კითხვები, რათა ზუსტად იცოდეთ, თუ რატომ კითხულობთ და რას ეძებთ ტექსტში (https://www.ieltsadvantage.com/2015/04/30/ielts-reading-multiple-choice-questions/)

- თუ კითხვა ზოგადია, ან ტექსტის დასათაურებას ეხება, მოიტოვეთ ბოლოსთვის, რადგან ასეთი ტიპის კითხვები მთლიანი ტექსტის შინაარსის გაგებას მოითხოვს (Hinkel, 2004:108);
- ყურადღებით წაიკითხეთ კითხვები;
- შეარჩიეთ სავარაუდო პასუხები;
- მიმართეთ გამორიცხვის მეთოდს;
- იმ შემთხვევაში, თუ ორი პასუხი მოგეჩვენებათ სწორი, კარგად დააკვირდით და შეადარეთ ისინი ერთმანეთს. დაუბრუნდით ტექსტს და ეცადეთ იპოვნოთ მასში უტყუარი მტკიცებულება evidence, რაც გაამართლებს თქვენს ვარაუდს (https://discover-fce.wikispaces.com/Reading+Strategies#Reading - Part 1 - Multiple Choice);
- არ გამოგრჩეთ **უარყოფითი სიტყვები** კითხვაში (https://discover-fce.wikispaces.com/Reading+Strategies#Reading - Part 1 - Multiple Choice)
- მთლიანად დაეყრდენით ტექსტს, არ გამოიყენოთ მხოლოდ საკითხის ირგვლივ თქვენი არსებული ცოდნა (https://discover-fce.wikispaces.com/Reading+Strategies#Reading - Part 1 - Multiple Choice).

6. **შეჯამება** (იხ. დანართი #14)

- ასეთი ტიპის დავალებები ტექსტის შინაარსის საფუძვლიან გაგებას მოითხოვს; ასე რომ, მთლიანად წაიკითხეთ ტექსტი. (დროის ნაკლებობის შემთხვევაში, შესაძლებელია , ყველა აბზაცში მხოლოდ პირველი და მეორე წინადადებების წაკითხვა, რადგან მთავარი იდეები, როგორც წესი, სწორედ იქ არის თავმოყრილი);
- გააანალიზეთ, რა არის ტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
- გამოარჩიეთ ტექსტში საკვანძო სიტყვები, იდეები;

- უპასუხეთ შემდეგ კითხვებს: **ვინ, რა, სად, როდის, როგორ, რატომ** (http://i-courses.org/docs/TOEFL%20iBT%20Summarizing.pdf);
- გამორიცხეთ პასუხები, რომლებშიც უმნიშვნელო დეტალებზეა საუბარი;
- აირჩიეთ პასუხი, რომელშიც ყველა მთავარი იდეაა გაერთიანებული.

5. **ტექსტში გამოტოვებული წინადადებების ჩასმა** (იხ. დანართი #15)

- გადახედეთ მთლიან ტექტს, რათა წარმოდგენა შეგექმნათ მის მთავარ აზრზე;
- ყორადღებით წაიკითხეთ გამოტივებული ადგილების წინა და მომდევნო წინადადებები;
- წაიკითხეთ გამოტოვებულ ადგილზე ჩასასმელი წინადადებები (ყურადღება მიაქციეთ ნაცვალსახელებს, კავშირებს, მაგალითებს, შედარებას, კონტრასტს და სხვ. (https://discover-fce.wikispaces.com/Reading+Strategies#Reading - Part 1 - Multiple Choice);
- ეცადეთ, იპოვნოთ ლოგიკური კავშირი თქვენ მიერ შერჩეულ წინადადებასა და მის წინა და მომდევნო წინადადებას შორის;
- თავიდან გადაიკითხეთ მთლიანი ტექსტი, რათა დარწმუნდეთ, რომ თქვენ მიერ ჩასმული წინადადებები ლოგიკურად ზის კონტექსტში.

კვლევის შედეგები:

ქულათა პროცენტული მაჩვენებელი	I სიტყვათ წარმოება	II მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტი (ლექსიკური ერთეულების შერჩევა)	III მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტი (წაკითხულის გააზრება)	IV შეჯამება (წაკითხულის გააზრება)	V ტექსტში გამოტოვებული წინადადებების ჩასმა
80% -100%	6 სტ.	3სტ.	18 სტ.	0 სტ.	9 სტ.
60%-80%	7 სტ.	28 სტ.	35 სტ.	9 სტ.	12 სტ.
40%-60%	32 სტ.	27 სტ.	12 სტ.	51 სტ.	25 სტ.
20%-40%	20 სტ.	20 სტ.	10 სტ.	15 სტ	24 სტ.
0%-20%	15 სტ.	2 სტ.	3 სტ.	5 სტ.	7 სტ.

შენიშვნა: 2 სტუდენტს არ დაუწერია ტესტის III ნაწილი.

3 სტუდენტს კი - დავალება V.

შევეცადეთ, გაგვერკვია, რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით საერთაშორისო პრაქტიკაში.

გავეცანით ქეით ჰარდინისა (Hardin, 2014) და ლუკას ფინკის (Fink, 2013) მოხსენებებს, რომლებსაც TOEFL -ის სწავლების საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ.

ქეით ჰარდინის (Hardin, 2014) აზრით, კითხვითი დავალებების შესრულებისას აპლიკანტები შემდეგ პრობლემებს აწყდებიან:

1. დროის მართვა;
2. საკვანძო სიტყვების გამოტოვება-იგნორირება;
3. უცხო ლექსიკური ერთეულები;
4. არასწორი ფოკუსირება უმნიშვნელო დეტალებზე.

მნიშვნელოვანია ლუკას ფინკის (Fink, 2013) მოსაზრებაც, რომლიც მიხედვითაც კითხვით დავალებებში სირთულეები უმთავრესად აკადემიური თემატიკის ლექსიკური ერთეულებითაა გამოწვეული. ტექსტები ძირითადად იმ ენითაა დაწერილი, რაც იშვიათად გამოიყენება ზეპირმეტყველებაში.

საყურადღებოა დეივიდ რესინის (Recine, 2016) მოსაზრებაც, რომელიც არის ექსპერტი TOEFL-ის ტესტის მომზადების დარგში (test prep expert). ყველაზე რთული ნაწილი მისი სტუდენტებისთვის TOEFL-ის კითხვით ნაწილშია:

1. ლექსიკური ერთეულები, კონკრეტულად კი, აკადემიური თემატიკის ლექსიკური ერთეულები, რომელიც დიდი რაოდენობით გვხვდება TOEFL–ის კითხვითი დავალებების ნაწილში;
2. დროის ლიმიტი;

3. ინფორმაციის შეჯამება. იქიდან გამომდინარე, რომ ინფორმაციის შემაჯამებელი კითხვები გვხვდება კონკრეტული ინფორმაციის/დეტალების კითხვების შემდეგ, აპლიკანტებს ხშირად უჭირთ „გადართვა“ ისეთი ტიპის ზოგად კითხვებზე, რაც წაკითხულის გააზრებასა და შეჯამებას მოითხოვს.

მსგავსი ვითარებაა IELTs ტესტებშიც. როგორც გავარკვიეთ, აპლიკანტებს კითხვითი დავალებების შესრულების დროს პრობლემას აქაც, ძირითადად, ტექსტში არსებული აკადემიური, სამეცნიერო თემატიკის ლექსიკური ერთეულები, უქმნის. პრობლემას წარმოადგენს, ასევე, წასაკითხი მასალის მოცულობაც. აპლიკანტებს 60 წუთში ევალებათ 2500 სიტყვის წაკითხვა და პასუხის გაცემა 40 კითხვაზე.

როგორც ვნახეთ, კითხვითი დავალებების სირთულეები თითქმის ერთგვარად არის წარმოდგენილი და თანხვედრაშია ჩვენი კვლევის შედეგებთან.

- ჩვენი კვლევის შემდეგი ეტაპი ემსახურებოდა იმ **კონკრეტული ლექსიკური ერთეულების (კატეგორიები და თემატური ჯგუფები) დადგენას, რომელიც ყველაზე დიდ ბარიერს უქმნის აპლიკანტებს კითხვითი დავალებების შესრულების დროს.**

უნდა აღვნიშნოთ, რომ TOEFL – ის ტესტის ტექსტებში მოცემულ დავალებებში მრავლობითი შერჩევის ტიპის კითხვა, სადაც ტექსტის ქვემოთ მოცემულია კითხვები 4 სავარაუდო პასუხით), გაერთიანებულია სხვადასხვა ტიპის კითხვა (ფაქტები, დეტალები, ავტორის მიზანი, სიტყვის მნიშვნელობის გამიჯნვა, და სხვ.).

კვლევის შედეგების თანახმად, პირდაპირი ინფორმაციის (ფაქტები/დეტალები) შემცველი დავალებების შესრულებისას სტუდენტების მხრიდან მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა. გაცილებით დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ისეთ დავალებებში, რომელიც მოიაზრებდა ხაზებს შორის ნაგულისხმევი ინფორმაციის „ამოცნობას“, **წაკითხულის გააზრებას** და **სიტყვის მნიშვნელობის გამიჯნვას.**

ეს საკითხები დეტალურად არის განხილული III თავში, კერძოდ, ქვეთავში 3.2.

ექსპერიმენტში მონაწილე სტუდენტებს დავურიგეთ სხვადასხვა თემატიკის ტექსტებიდან ამონარიდები (იხ. დანართი #16) და ვთხოვეთ, წაეკითხათ ამონარიდები და მოენიშნათ ის საკვანძო სიტყვები, რომლებიც მათ შინაარსის გაგებაში უშლიდათ ხელს. როგორც ვვარაუდობდით, მონიშნული სიტყვების უმრავლესობა იყო სპეციფიკური თემატიკის ტექსტებში (ბიზნესი, გეოგრაფია, მედიცინა და სხვ.) გამოყენებული სიტყვები და ტერმინები.

კვლევის შედეგებმა განამტკიცა ჩვენი ვარაუდი, რომ ყველაზე დიდ სირთულეს საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტების კითხვითი დავალებების შესრულებისას უცხო ლექსიკური ერთეულები ქმნის, რაც ცხადად აისახება, როგორც უშუალოდ ლექსიკური დავალებების შესრულების ხარისხზე, ასევე, ტექსტის სიღრმისეული გაგების დონეზე. და თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მაგალითად, TOEFL-ის კითხვით დავალებებში მოცემული ტექსტების 82% **სამეცნიერო თემატიკისაა**, რომელიც **სამეცნიერო ტერმინოლოგიას** შეიცავს, მივხვდებით, თუ რა ქმნის ყველაზე დიდ სირთულეს აპლიკანტებისთვის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე კითხვითი დავალებების შესრულებისას.

4.3. ექსპერიმენტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო სასერტიფიკატო ტესტში კითხვითი დავალებების ძირითად სირთულეს სწორედ უცხო ლექსიკური ერთეულები ქმნის, განსაკუთრებით კი ის სამეცნიერო თემატიკის ლექსიკური ერთეულები, რაც ასე მრავლად გვხვდება (82%) ტესტების კითხვითი დავალებების ნაწილში. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევიმუშავეთ ალტერნატიული გზა, რაც, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვნად დაეხმარება აპლიკანტებს გამოცდის წინა, მოსამზადებელ პერიოდში.

ფოლსის მიხედვით (Folse, 2004), აკადემიური, სამეცნიერო თემატიკის ლექსიკური ერთეულების დაუფლების ეფექტური გზა მათი დეკონტექსტუალიზაციაა. იქიდან გამომდინარე, რომ აკადემიური თემატიკის ლექსიკური ერთეულები აქტიურად არ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათი შესწავლა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, სასურველია, თავდაპირველად მოხდეს მათი დეკონტექსტუალიზაცია. მაგ: მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს კითხვის წინა აქტივობები და დავალებები, რომლებშიც ყურადღება იქნება გამახვილებული იმ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებსაც შემსწავლელები მოგვიანებით შეხვდებიან ტექსტში, ანუ შემსწავლელი ჯერ კონტექსტის გარეშე გაეცნობა ლექსიკურ ერთეულებს, ხოლო შემდეგ კონტექსტში, რაც, ციმერმანის აზრით (Zimmerman, 1997), ლექსიკური ერთეულების ათვისების ყველაზე ხელშემწყობ ფაქტორად ითვლება.

გავითვალისწინეთ ყოველივე ზემოთქმული და აქტიურად გამოვიყენეთ ექსპერიმენტის დაგეგმვის პროცესში.

შევადგინეთ სხვადასხვა სამეცნიერო თემატიკის ლექსიკური ერთეულების ჩამონათვალი, თავისი დეფინიციებით (იხ. დანართი #17) და ვაკვირდებოდით, რამდენად ეხმარებოდა ჩვენ მიერ მიწვდილი მასალა სტუდენტებს კითხვითი დავალებების ავტონომიურად შესრულების დროს.

ექსპერიმენტის მონაწილეები: ექსპერიმენტში მონაწილეობდა ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტების, ბაკალავრიატის I და II კურსის 44 სტუდენტი, რომლებიც ინგლისურ ენას საშუალო დონეზე ფლობდნენ. მათი ასაკი შეადგენდა 17-21 წელს. ექსპერიმენტის მონაწილეები დავყავით ორ ჯგუფად: ერთი – საექსპერიმენტო (21 სტუდენტი) და ერთი – საკონტროლო (23 სტუდენტი).

ექსპერიმენტის ხანგრძლივობა: ექსპერიმენტი გრძელდებოდა ორი სემესტრის განმავლობაში (2016 წლის ოქტომბრიდან - 2017 წლის მაისის ჩათვლით).

ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი მოიცავდა შემდეგს:

საექსპერიმენტო ჯგუფში ცდის პირებს შევთავაზეთ სხვადასხვა სამეცნიერო თემატიკის ტექსტები, რომელთაც თან ერთვოდა ტექსტის თემატიკასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების ჩამონათვალი, თავისი ინგლისურენოვანი განმარტებებით (იხ. დანართი #18). სტუდენტები ჯერ ეცნობოდნენ და სწავლობდნენ ლექსიკურ ერთეულებს, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლად, ავტონომიურად ასრულებდნენ დავალებებს.

ლექსიკური ერთეულების კარგად ათვისების მიზნით, ვერმუნტის (Wermunt, 1989), შმიტის (Schmitt, 1997), ოქსფორდის (Oxford, 1990), ომალი და ჩამოტის (O'Malley & Chamot, 1990) მიერ შემუშავებული სწავლის სტრატეგიებიდან გამოვარჩიეთ და გამოვიყენეთ ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ყველაზე ეფექურად ითვლება ავტონომიური სწავლის დროს. შესაბამისად, საექსპერიმენტო ჯგუფში სტუდენტები ლექსიკური ერთეულების სწავლის დროს იყენებდნენ ისეთ სტრატეგიებს, როგორებიცაა:

1. მეტყველების ნაწილების გაანალიზება (მაგ: introduction – noun; compulsory – adj.);

2. სიტყვის შემადგენელი ნაწილების გაანალიზება (სუფიქსი, ფუძე);

3. სიტყვის დაკავშირება სინონიმებთან და ანტონიმებთან (მაგ: demolish - syn. Destroy; ant. Construct);

4. კონტექსტუალიზაცია (სიტყვის გამოყენება კონტექსტში, წინადადებაში);

5. სემანტიკური რუკის შექმნა;

6. ლექსიკონის წარმოება.

(ნიმუში იხ. დანართში #19)

საკონტროლო ჯგუფში სტუდენტები კითხვით დავალებებს ასრულებდნენ ინსტრუქტაჟის მიღების შემდეგ, რაც გულისხმობდა მათთვის იმ რჩევების, „ხრიკების“ სწავლებას, რომლებიც მოცემულია საერთაშორისო სასერტიფიკატო ტესტის მოსამზადებელ წიგნთა უმრავლესობაში. საკონტროლო ჯგუფში ყურადღება კითხვითი დავალებების შესრულების დროს, კითხვის და არა ლექსიკური ერთეულების სწავლის სტრატეგიებზე მახვილდებოდა.

ექსპერიმენტის შედეგებმა ცხადყო, რომ ლექსიკური ერთეულების ცოდნას კითხვითი დავალებების შესრულების პროცესში, იქნება ეს წაკითხულის გააზრება, მრავლობითი შერჩევის დახურული ტიპის ტესტი (ლექსიკური ერთეულების შერჩევა), სიტყვათ წარმოება თუ ტექსტში გამოტოვებული წინადადებების ჩასმა, განმსაზღვრელი როლი აქვს. საექსპერიმენტო ჯგუფის შედეგებში მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა, მაშინ, როცა საკონტროლო ჯგუფების პროგრესი, შეიძლება ითქვას, იყო ძალიან დაბალი.

ექსპერიმენტის შედეგები:



მწვანე ფერით - წარმოდგენილია საექსპერიმენტო ჯგუფის ტესტირების შედეგები (საშუალო არიტმეტიკული)

ლურჯი ფერით - მოცემულია საკონტროლო ჯგუფის ტესტირების შედეგები (საშუალო არითმეტიკული)

ცხრილში დეტალურად არის წარმოდგენილი ექსპერიმენტის მსვლელობისას სტუდენტების მიერ მიღებული ქულები.

ტესტი	ექსპერიმენტული ჯგუფი (საშუალო ქულა)	საკონტროლო ჯგუფი (საშუალო ქულა)
პრე-ტესტი	4.87	4.8
#1	5.47	4.58
#2	6.24	4.53
#3	8.63	6
#4	6.25	4.85
#5	6.75	5.10
#6	7.47	5.5
#7	8	5.79
#8	9	6.1
#9	8.75	6.3
#10	9	6.53

მესამე ტესტში (იხ. დანართი #20) სტუდენტებმა, როგორც საექსპერიმენტო, ასევე, საკონტროლო ჯგუფიდან, საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენეს. როგორც მათთან გასაუბრების შედეგად გავარკვიეთ, შედეგი განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ტექსტის თემატიკა საკმაოდ ნაცნობი იყო მათთვის. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კითხვითი დავალებების შესრულების დროს, ლექსიკური ერთეულების

ცოდნასთან ერთად, მნიშვნელოვანია თემატიკის ცოდნაც. ნაცნობი თემატიკა და კონტექსტი ლექსიკური ერთეულების ცოდნის შემდეგ, ერთ–ერთ მთავარ, ხელისშემწყობ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, ეს ჩვენი მხოლოდ ვარაუდია და დამატებით, სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს.

4.4. მსჯელობა

ჩატარებულმა კვლევებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა:

- **ურთიერთკავშირი შემსწავლელთა ტიპებსა და ავტონომიური სწავლის უნარს შორის**

როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, შემსწავლელთა ყველა ტიპს ავტონომიური სწავლის უნარის განვითარების თითქმის თანაბარი პოტენციალი აქვს.

- **ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატი და ტესტში შემავალი დავალებების სირთულეების განსაზღვრა**

ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატი დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდებს შორის, რომელთა უმრავლესობას სურს, აიღოს სერტიფიკატი, რადგან თვლის, რომ იგი დაეხმარება მათ საზღვარგარეთ წასვლასა და სწავლაში.

იმავე გამოკითხვის თანახმად, ტესტში შემავალ დავალებებს შორის (კითხვა, წერა, გრამატიკა, მოსმენა), გამოკითხულთა დიდი რაოდენობა ყველაზე რთულად წერით და მოსემენის დავალებების ნაწილების მიიჩნევს, ხოლო კითხვა და გრამატიკა გამოკითხულთა მცირე ნაწილმა მიიჩნია მხოლოდ რთულად. თუმცა, ჩატარებულმა ტესტირებამ გვიჩვენა, რომ მათ მცდარი წარმოდგენა აქვთ ტესტის დავალებებზე და მათ სირთულეებზე. როგორც აღმოჩნდა, ტესტში ყველაზე მეტ სირთულეს წერითი

და კითხვითი დავალებები ქმნის, რადგან სწორედ ტესტის ამ ნაწილებში დადასტურდა ყველაზე მეტი შეცდომა.

- **კითხვითი დავალებების შესრულებისას წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიკაცია - უცხო ლექსიკური ერთეულები**

როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, შეცდომათა უმეტესობა უცხო ლექსიკური ერთეულებით იყო გამოწვეული. პრობლემას ქმნიდა, ასევე, ფრაზული ზმნების, იდიომების და სხვ. არასწორი ინტერპრეტაცია.

იმავეს მოწმობს ნინო ბალუაშვილის (ბალუაშვილი, 2016) მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც მხატვრული ნაწარმოების კითხვის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს ეხებოდა. მონაწილეთა უმრავლესობამ კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ყველაზე დიდ სირთულეს უცხო სიტყვათა სიმრავლე და სიტყვების უცხო კონტექსტში გამოყენება ქმნიდა. ამას მოსდევდა ფრაზული ზმნები, იდიომები, მხატვრული ეპითეტები და სხვ. (გვ.161-162).

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, რომ კითხვითი დავალებები ტესტის ერთ–ერთ რთულ ნაწილს წარმოადგენდა და ეს სირთულე უცხო ლექსიკური ერთეულებით იყო ძირითადად გამოწვეული, კვლევაში მონაწილე პირებს ვთხოვეთ, უცხო ტექსტში მოენიშნათ ყველა ის უცხო საკვანძო სიტყვა, რომლებიც ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრებაში უშლიდათ ხელს. როგორც ვვარაუდობდით, მათ მიერ მონიშნული სიტყვათა უმრავლესობა სხვადასხვა თემატიკის სამეცნიერო ტერმინოლოგია იყო.

- **პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების შემუშავება**

სხვადასხვა სახელმძღვანელოდან მოვიძიეთ საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდების ტესტებში გამოყენებული სხვადასხვა თემატიკის ტექსტები. ექსპერიმენტში, ასევე, გამოვიყენთ ტექსტები ისეთი ცნობილი საიტებიდან, როგორებიცაა: www.examenglish.com; www.etc.org; https.cnn.com; https.magoosh.com და მრავალი სხვ.

არჩევანი შევაჩერეთ შემდეგი თემატიკის ტექსტებზე: ფული და ბიზნესი; გეოლოგია; გეოგრაფია; მედიცინა და ფსიქოლოგია.

1) გავითვალისწინეთ რა, ფოლსისა და ციმერმანის (Folse, 2004; Zimmerman, 1997) მოსაზრება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აკადემიური, სამეცნიერო თემატიკის ლექსიკური ერთეულების დაუფლების ყველაზე ეფექტური გზა მათი ჯერ კონტექსტის გარეშე, ხოლო შემდეგ კონტექსტში სწავლაა, პირველი, რაც ჩვენ გავაკეთეთ, იყო **სიტყვების დეკონტექსტუალიზაცია,** ანუ ტექსტებიდან ამოვკრიფეთ ის საკვანძო სიტყვები, რომლთა ცოდნაც ტექსტის შინაარსის გაგებისა და დავალებების შესრულებისათვის აუცილებელი იყო.

2) შემდეგი ეტაპი იყო საექსპერიმენტო ჯგუფის სტუდენტებისთვის იმ საკვანძო სიტყვების ჩამონათვალის დარიგება ინგლისურენოვანი განმარტებებით, რომლებიც მათ, სავარაუდოდ, მოგვიანებით შეხვდებოდათ კითხვითი დავალებების შესრულებს დროს. მათთვის „მზა მასალის“ დარიგება გადავწყვიტეთ შემდეგი მიზეზების გამო:

ა. სტუდენტთა უმეტესობას არ შეეძლო უცხო ტექსტში საკვანძო სიტყვების იდენტიფიკაცია. დიდი ალბათობით, ისინი ტექსტიდან ამოიწერდნენ ყველა უცხო სიტყვას და უცხო სიტყვების სიმრავლე, სავარაუდოდ, მათში მუშაობის ინტერესის და მოტივაციის კლების მიზეზი გახდებოდა;

ბ. ლექსიკონზე აქტიური, ხანგრძლივი მუშაობა ანტისტრატეგიად ითვლება, რადგან:

) „ლექსიკონზე ასეთი დამოკიდებულება უკიდურესად ანელებს კითხვის პროცესს;

) აზრის გამომუშავება ხშირ შემთხვევაში მაინც არ ხდება, რადგან მონაწილეს უჭირს ლექსიკონში მოძებნილი ამდენი სიტყვის კონტექსტში სწორად მორგება;

J ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებს მკითხველის მოტივაციაზე“ (ბალუაშვილი, 2016:170).

3. როგორც ექსპერიმენტის შედეგებმა ცხადყო (გვ. 105), გარდა იმისა, რომ საექსპერიმენტო ჯგუფის სტუდენტებმა, დავალებების შესრულების თვალსაზრისით, გაცილებით უკეთესი შედეგები გვიჩვენა, საგრძნობლად გაიზარდა მათი მოტივაცია და ინტერესი კითხვის მიმართ.

შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ უცხო ტექსტში ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგება პრობლემას არა მხოლოდ დავალებების შესრულების თვალსაზრისით ქმნის, არამედ მოქმედებს, ზოგადად, სწავლის ხარისხზე და იწვევს მოტივაციის შემცირებას. შესაბამისად, თუ საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე გამსვლელ აპლიკანტებს გამოცდის წინამოსამზადებელ პერიოდში სხვადასხვა სამეცნიერო თუ ტქნიკური თემატიკის საკითხავ ტექსტებთან ერთად შევთავაზებთ კონკრეტული ტექსტის შინაარსის თავსებადი სიტყვების ჩამონათვალს/სიტყვების ნუსხას ინგლისურენოვანი განმარტებებით და შესაბამისი დავალებებით, აპლიკანტთა ლექსიკური ერთეულების ცოდნის მარაგი უფრო გამდიდრდება, რაც მათ დაეხმარება კითხვითი დავალებების შესრულების დროს, გაზრდის მოტივაციას, რაც, რასაკვირველია, სწავლის შედეგებზე და მიღწევებზე მკვეთრად აისახება.

ასე რომ, ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა და ექსპერიმენტმა სრულიად გაამყარა ჩვენი ჰიპოთეზა.

დასკვნები და რეკომენდაციები

- ავტონომიური სწავლის მთავარი კონცეფცია შემდეგში მდგომარეობს: **ავტონომიური სწავლა გულისხმობს პასუხისმგებლობის აღებას საკუთარი სწავლის პროცესზე.**
- ავტონომიურ შემსწავლელს შემდეგი უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეს გამომუშავებული:

თვითმენეჯმენტი;

თვითმონიტორინგი;

თვითშეფასება.

ავტონომიური სწავლის პედაგოგიური ასპექტებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა პროფესორ-მასწავლებლის როლი, რადგან სწორედ ის უზრუნველყოფს შემსწავლელში ავტონომიური სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებას. ჩვენ ვთვლით, რომ:

- თუ შემსწავლელი სათანადოდ არ იქნა მომზადებული ავტონომიისათვის, მის ხელთ არსებული ვერანაირი რესურსი ვერ უზრუნველყოფს მასში სწავლის პროცესში აქტიურად ჩართვის და გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღების უნარის ჩამოყალიბებას;
- **ავტონომიზაციის პროცესი გაცილებით წარმატებულია, როცა ის მასწავლებლის (ფასილიტატორის) მიერ იმართება და არა სრულიად დამოუკიდებლად;**
- ავტონომიურ შემსწავლელს საწყის ეტაპზე სწორედ მასწავლებელი ეხმარება პასუხისმგებლობის გაცნობიერების, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების, კრიტიკული აზროვნების, მიზნის დასახვისა და ამ მიზნების განხორციელებისათვის საჭირო გზების შემუშავების უნარის ჩამოყალიბებაში;
- სწორედ მასწავლებლის მნიშვნელოვან როლზე მეტყველებს ავტონომიური სწავლისთვის საჭირო ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა:
  1. წახალისება (რაც მოტივაციის ზრდის ერთ–ერთი მთავარი პირობაა);
  2. ინდივიდუალური მიდგომა;

3. ინტერაქცია;
4. ობიექტური შეფასება.

სწავლაზე საუბრისას, რასაკვირველია, იგულისხმება მისი ფსიქოლოგიურ ასპექტები:

1. აზროვნების, მეხსიერების და დასწავლის ფორმები, რადგან ისინი უშუალოდ არის დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების ათვისებასთან;

2. თვითაქტუალიზაცია, თვითმოტივაცია, თვითდაკვირვება, თვითშეფასება, როგორც ავტონომიური სწავლის აუცილებელი პირობა;

3. ემოციის (ღელვის, შფოთვის) ფაქტორი, რადგან იგი ხშირად ახლავს თან გამოცდებს.

- **აზროვნება**, როგორც ინფორმაციის გადამუშავების უმაღლესი ფორმა, რთული, კოგნიტური პროცესია, რომლის დროსაც ისეთი ოპერაციები ხორციელდება, როგორებიცაა: ანალიზი, სინთეზი, პრობლემის გადაჭრა, დასკვნის გამოტანა და სხვ.
- საყურადღებოა **ხანგრძლივი მეხსიერების ფორმები** (დეკლარაციული, პროცედურული, სემანტიკური, ეპიზოდური), რადგან სწორედ ისინი გამოიყენება ლექსიკური ერთეულების შესწავლის დროს.
- ლექსიკური ერთეულების სიღრმისეული დასწავლა-დამახსოვრება დამოკიდებულია არა მხოლოდ მისი გამეორების და დაზეპირების ხარისხზე, არამედ უმთავრესად, გონებაში მის გააზრებულ, სიღრმისეულ, სემანტიკურ გადამუშავებაზე.
- დასწავლის ეფექტურობას განსაზღვრავს **თვითრეგულაცია,** რომელშიც აქტიურადაა ჩართული შემდეგი მეტაკოგნიტური პროცესები:

1. **მიზნების დასახვა;**
2. **დაგეგმვა;**
3. **თვითმოტივაცია;**
4. **ყურადღების კონტროლი;**
5. **სწავლის სტრატეგიების გამოყენება სწავლის მიზნების შინაარსის შესაბამისად;**
6. **თვითმონიტორინგი;**
7. **დახმარებისთვის მიმართვა;**

8. **თვითშეფასება.**

- მასწავლებელმა, იმისათვის რომ ავტონომიური სწავლა წარმატებული იყოს, უნდა იზრუნოს მოსწავლეში თავდაჯერებულობის, საკუთარი თავის რწმენის, თვითაქტუალიზაციის, დამოუკიდებლად მოქმედების და თვითშეფასების უნარის განვითარება-ჩამოყალიბებაზე.
- მიუხედავად იმისა, რომ რთულია ემოციების გაკონტროლება და ხშირად გადამეტებული შფოთვა შეიძლება გამოცდის ჩაბარების მომენტში ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს, ითვლება, რომ შესაძლებელია მისი დაძლევა და კონტროლი, თუ აპლიკანტს კარგად აქვს განვითარებული თვითრეგულაციის უნარი.

ავტონომიური სწავლის მეთოდოლოგიური ასპექტებიდან ჩვენი კვლევის დაგეგმვისას გავითვალისწინეთ და გამოვიყენეთ:

- **სწავლის სტრატეგიები** (კოგნიტური; ეფექტური (ემოციურ- მოტივაციური); მეტაკოგნიტური)
- **შემსწავლელთა ტიპები და მათი ურთიერთმიმართება ავტონომიურ სწავლასთან, კითხვის სტრატეგიებთან და ლექსიკური ერთეულების სწავლასთან.** გავარკვიეთ, რომ ნებისმიერი შემსწავლელი სამივე სტილს (აუდიო, ვიზუალური, კინესთეტური) იყენებს სწავლის პროცესში, თუმცა, ერთ-ერთი მოდალობა უფრო მეტად დომინირებს. სწორედ ეს სტილი განსაზღვრავს შემსწავლელის ტიპს და გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სწავლის პროცესი ამა თუ იმ მოდალობისთვის შესაფერისი მეთოდით თუ აქტივობებით წარვმართოთ.
- შესაძლებელია, შემსწავლელს ორი ან სამივე მოდალობა თანაბრად ჰქონდეს განვითარებული. აქედან გამომდინარე, საუკეთესო შედეგის მისაღწევად, სწავლის მთლიანი პროცესი ისე უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს, რომ შემსწავლელის ყველა ტიპზე იყოს მორგებული.

აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად, დავადგინეთ, რომ შემსწავლელთა ვიზუალ და აუდიალ ტიპებს შორის ავტონომიურ სწავლასთან მიმართებით სხვაობა

უმნიშვნელოა, ხოლო კინესთეტებს შედარებით (თუმცა არც ისე მნიშვნელოვნად) უკეთესად აქვთ განვითარებული ავტონომიურად მუშაობის (სწავლის) უნარი.

- ლექსიკური ერთეულების სწავლის საუკეთესო საშუალება ვიზუალური საშუალებების გამოყენებაა და განსაკუთრებით კარგი შედეგი ვიზუალ შემსწავლელებს აქვთ;
- სიტყვებს ყველაზე კარგად (ხანგრძლივი ვადით) ენის ის შემსწავლელები იმახსოვრებენ, რომლებიც სწავლის დროს კითხვასთან ერთად იყენებდნენ ჟესტიკულაციას. ჩვენი აზრით, შედეგები ლოგიკურია, რადგან ეს სტრატეგია შემსწავლელთა ყველა ტიპს მიესადაგება.

რაც შეეხება კითხვასა და შემსწავლელა ტიპებს შორის კორელაციას, გამოიკვეთა, რომ:

- კითხვა საკმაოდ სერიოზულ პრობლემად ითვლება და მუდმივად მიმდიონარეობს კვლევები საკითხის ირგვლივ. სინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველაზე დიდი პროგრესი კითხვის შემსწავლელთა ტიპების გათვალისწინებით სწავლებამ აჩვენა.
- კითხვის სწავლის თვალსაზრისით, ყველაზე დიდ უპირატესობას ვიზუალები ფლობენ. რაც შეეხება აუდიალებს, მათთვის ყველაზე ეფექტური სტრატეგია ხმამაღალი კითხვაა. ხოლო რაც შეეხება კინესთეტებს, მათთვის საუკეთესო სტრატეგიად როლური თამაშები ითვლება.
- იმისათვის, რომ სწავლის პროცესი წარმატებულად განხოციელდეს, აუცილებელია, სწავლის მეთოდების, სტრატეგიების, აქტივობების ყველა შემსწავლელ ტიპზე მორგება.

სწავლის წარმატებას განსაზღვრავს შემდეგი ფსიქოლოგიური ფაქტორები:

1. შემსწავლელის გარემოს მიმართ დამოკიდებულება და მისი სწავლის მიმართ განწყობა;
2. მოტივაცია.

- შინაგანი მოტივაცია შემსწავლელის ბუნებრივი, შინაგანი ინტერესია. შინაგანად მოტივირებული ადამიანი ამა თუ იმ აქტივობაში მონაწილეობას ინტერესისა და კმაყოფილების გამო იღებს. შინაგანად მოტივირებული ადამიანისთვის თვითონ სწავლის პროცესია სიამოვნების მომგვრელი, მის მთავარ ინტერესს და მიზანს საგნის შესწავლა წარმოადგენს და არა, მაგალითად, მიღებული ქულა.
- გარეგანი მოტივაციის გამომწვევად ადამიანში გარეგანი ფაქტორები ითვლება: კონკურსი, ქულა, მასწავლებელი, სასწავლო გარემო და სხვ.
- აღიარებულია, რომ სწავლის პროცესში განვითარების ოპტიმალურ დონეს სწორედ შინაგანად მოტივირებული შემსწავლელები აღწევენ. ისინი უფრო მეტ ინტერესს, სიამოვნებას, თავდაჯერებულობას, სიმტკიცეს, კრეატიულობას და თვითშეფასების უნარს ავლენენ, ვიდრე გარეგანად მოტივირებულნი.

3. თვითშეფასება, რომელიც წარმოადგენს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლების, აქტიურობის, ხარისხიანი სწავლის, მიზანდასახული ქცევის წინაპირობას. თვითშეფასების უნარი შემსწავლელებში იწვევს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას, რომ მათ შეუძლიათ მართონ სწავლის პროცესი დამოუკიდებლად, გააცნობიერონ სწავლის არსი, დაგეგმონ სწავლის პროცესი, დასახონ მიზნები და მათი მიღწევის გზები, გამოავლინონ საკუთარი სისუსტეები და შეიმუშავონ მათი დაძლევის გზები, შეაფასონ საკუთარი წარმატებები. ყოველივე ეს კი ზრდის საკუთარი თავის რწმენას, რაც, თავის მხრივ, ავტონომიური სწავლის მთავარი ფუნდამენტია.

4. განასხვავებენ თვითშეფასების სამ საფეხურს:

- თვითმონიტორინგი;
- თვითშეფასება;
- ხარვეზების იდენტიფიკაცია და გამოსწორება.

- **თვითშეფასების უნარი**, მისი სწორად ფორმირება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტონომიური შემსწავლელებისათვის. სწორედ მისი დახმარებით შეუძლია მოსწავლეს:

- **დააკვირდეს და მართოს თავისი ქცევა, სწავლის პროცესი;**
- **დაგეგმოს ის თავისი შესაძლებლობებიდან და მიზნებიდან გამომდინარე;**
- **აღმოაჩინოს სუსტი მხარეები და იზრუნოს მათ აღმოფხვრაზე;**
- **სრული პასუხისმგებლობა აიღოს სწავლსი პროცესზე;**
- **ადეკვატურად, ეფექტურად მართოს დრო.**

- წაკითხულის გააზრება შემდეგ სამ საფეხურს შეიცავს:
  - სიტყვასიტყვითი, ანუ ფაქტობრივი ინფორმაციის გაგება;
  - დასკვნის გაკეთების უნარი;
  - კრიტიკული კითხვა.

საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდების ტესტების კითხვითი დავალებების შესრულების სირთულეებზე საუბრისას, გამოიკვეთა შემდეგი:

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი კითხვის სწავლებისას სწორად შერჩეული წასაკითხი მასალაა.

- წასაკითხი მასალების შერჩევის ძირითადი ფაქტორებია: ინტერესი და მოტივაცია; კითხვადობა, ანუ სირთულის დონე და თემატიკა.
- ზოგადად, კითხვა, წაკითხულის გააზრება, გულისხმობს ლექსიკური ერთეულების ცოდნას. წაკითხულის გააზრების უნარს ლექსიკური ერთეულების ცოდნის დონე განსაზღვრავს და, პირიქით, რაც მეტს კითხულობს შემსწავლელი, მით უფრო მდიდრდება მისი ლექსიკური მარაგი. და რაც მეტ ლექსიკურ ერთეულს ფლობს შემსწავლელი, მით უკეთესად კითხულობს ის;
- მთავარი **პრობლემა გამოწვეულია სხვადასხვა თემატიკის, სპეციფიკური ლექსიკური ერთეულების არცოდნით.** თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის კითხვითი დავალებების ნაწილში ტექსტების 82% სამეცნიერო თემატიკისაა, სრულიად ცხადი გახდება, თუ რატომ ქმნის ლექსიკური ერთეულები პრობლემას ტექსტის გაგება-გააზრების თვალსაზრისით.

- იმავეს მოწმობს TOEFL -ის ტესტის ექსპერტი, დეივიდ რესინი (Recine,D. 2016), რომელიც აღნიშნავს, რომ ერთერთი ძირითადი პრობლემა, რაც ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგებასთან დაკავშირებული პრობლემაა, აგრეთვე, **აკადემიური სიტყვები და მათი ფორმები.**
- იმისათვის, რომ შემსწავლელბმა სიღრმისეულად, საფუძვლიად შეისწავლონ ლექსიკური ერთეულები, საჭიროა მნემონიკური, კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების აქტიური გამოყენება.
- იმისათვის, რომ საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე გამსვლელმა აპლიკანტებმა კითხვითი დავალებები წარმატებულად შეასრულონ, საჭიროა, მათ ჰქონდეთ სხვადასხვა თემატიკის ლექსიკური ერთეულების მარაგი, რათა ზოგადი წარმოდგენა შეექმნათ ტექსტის შინაარსზე.
- წინასწარ დამუშავებული თემატური ლექსიკური ერთეულების ჩამონათვალი თავისი ინგლისურენოვანი განმარტებებით, ამდიდრებს შემსწავლელთა ლექსიკურ მარაგს სხვადასხვა დარგში.
- ჩვენ მიერ გამოყენებული სტრატეგიები (შემუშავებული დავალებები) მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ლექსიკური ერთეულების ათვისებას.
- ენის ავტონმიური შემსწავლელთათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ლექსიკური ერთეულების სწავლის ისეთი სტრატეგიების გამოყენება, როგორებიცაა:

1. **აღმოჩენებით სწავლა,** რომელიც გულისხმობს შემდეგს:
   - გავაანალიზოთ, რომელი მეტყველების ნაწილია სიტყვა (არს. სახ.; ზმნა; ზედს. სახ., და სხვ.);
   - გავაანალიზოთ სიტყვის შემადგენელი ნაწილები (პრეფიქსი, ფუძე, და სხვ.);
   - შევეცადოთ და გავმიჯნოთ სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტის დახმარებით;
   - გამოვიყენოთ ლექსიკონი.

2 **დამახსოვრების** შემდეგი **სტრატეგიები:**

- გონებაში ვიზუალური სურათის შექმნა;
- პარაფრაზირება;
- გამეორება;
- ასოციაციის დამყარება;
- სინონიმებთან და ანტონიმებთან დაკავშირება;
- მსგავსი სიტყვების დაჯგუფება;
- ლექსიკონის წარმოება.

- სპეციფიკური, სხვადასხვა თემატიკის ლექსიკური ერთეულების ცოდნა საგრძნობლად ეხმარება შემსწავლელებს (აპლიკანტებს) ტექსტის გაგებასა და დავალებების სესრულებაში.
- ექსპერიმენტმა შედეგებმა ცხადყო, რომ ლექსიკური ერთეულების ცოდნას კითხვითი დავალებების შესრულების პროცესში, იქნება ეს წაკითხულის გააზრება, მრავლობითი შერჩევის დახურული ტიპის ტესტი (ლექსიკური ერთეულების შერჩევა), სიტყვათ წარმოება თუ ტექსტში გამოტოვებული წინადადებების ჩასმა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

რეკომენდაციები:

1. პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ ინგლისური ენის თითოეულ შემსწავლელში ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომლებიც საჭიროა ავტონომიური სწავლისთვის;

2. ლექსიკური ერთეულების დასწავლა ეფექტურია, თუ ის ხანგრძლივ მეხსიერებაში გადადის;

3. თვითრეგულაცია უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც ავტონომიური სწავლის წარმატებულად წარმართვის, ასევე, გამოცდებზე შფოთვის დონის შემცირების თვალსაზრისით.

4. იმისათვის, რომ შემსწავლელებში განვავითაროთ მეტაკოგნიტური სტრატეგიები, რათა მოხდეს მათი მაქსიმალური ჩართულობა სწავლის დაგეგმვის, მიზნების დასახვის, ამ მიზნების მიღწევისათვის საჭირო გზების ძიების, მეთოდების შემუშავების, პრობლემების იდენტიფიკაციის და გადაჭრის, თვითშეფასების პროცესში საჭიროა შემდეგი სტრატეგიებისა და მიდგომების გამოყენება:

- გონებრივი იერიში;
- შემთხვევის ანალიზი;
- დისკუსია/დებატები;
- თანამშრომლობითი, ინტერაქციული სწავლება;
- პრობლემაზე დაფუძვნებული სწავლება;
- ლოგიკური აზროვნება და სხვ.

5. საუკეთესო შედეგის მისაღწევად, სწავლის პროცესში შემსწავლელის ყველა ტიპზე მორგებული მეთოდები და აქტივობები უნდა გამოვიყენოთ.

6. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება შემსწავლელთა ტიპების გამოვლენა, ლექსიკური ერთეულების სწავლის დროს, სასურველია, კითხვასთან ერთად ჟესტიკულაციის გამოყენება, რადგან ეს სტრატეგია, სწავლის ყველა სტილზეა მორგებული.

7. ვიზუალ და აუდიალ შემსწავლელებთან კითხვის სწავლების დროს, სასურველია, ისეთი სტრატეგიების გამოყენება, როგორებიცაა ჩუმი და ხმამამღალი კითხვა.

8. გაითვალისწინეთ ჩემბერსის აზრი განსაკუთრებით კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე. ჩუმი კითხვა, წაკითხულის ზეპირი გადმოცემა და როლური თამაშები, გარდა იმისა, რომ ენის შემსწავლელს წაკითხულის უკეთესად გააზრებაში დაეხმარება, მას უდიდეს სიამოვნებას მიანიჭებს, რაც, თავის მხრივ, კითხვის სიყვარულის წინაპირობაა; ამასთანავე, შემსწავლელთა ყველა ტიპისთვის შესაფერისი და ეფექტური.

9. მაქსიმალურად შეეცადეთ, შემსწავლელებს ისეთი გარემო შეუქმნათ, რომელიც მათ სწავლისადმი დადებით განწყობას შეუქმნის.

10. ხშირად შეაქეთ და წაახალისეთ მოსწავლეები, სტუდენტები. ეს მნიშვნელოვნად ზრდის მათ შინაგან მოტივაციას და, შესაბამისად, აუმჯობესებს სწავლის მიღწევებს.

11. გაითვალისწინეთ, სწორად გაკეთებული კომენტარი, შენიშვნა, წახალისება, შექება არის ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობა. შესაბამისად, გადამეტებული შექება, შენიშვნა თუ კომენტარი შეიძლება არაადეკვატური (მაღალი ან დაბალი) თვითშეფასების ჩამოყალიბების წინაპირობა გახდეს, რაც უარყოფითად მოქმედებს და აისახება ქცევაზე. სწორედ არაადეკვატური თვითშეფასება იწვევს მოტივაციის შესუსტებას, უარყოფით ემოციებს, კონფლიქტს, კომპლექსს და უარყოდით დამოკიდებულებას არა მარტო სწავლის, არმედ გარშემომყოფთა მიმართაც.

12. მიეცით ენის შემსწავლელებს საშუალება, ისაუბრონ წაკითხულის შესახებ; გამოთქვან საკუთარი აზრი, თუ როგორ გაიგეს ტექსტი. ეს სტრატეგია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს წაკითხულის გააზრების უნარის გამომუშავებას.

13. კურსის დასაწყისშივე განსაზღვრეთ შემსწავლელთა ლექსიკური ერთეულების ცოდნის დონე;

14. მიაწოდეთ შემსწავლელებს სხვადასხვა თემატიკის ლექსიკური ერთეულების ჩამონათვალი გამოცდის წინამოსამზადებელ პერიოდში, რათა ზოგადი

წარმოდგენა შეექმნეთ ამა თუ იმ საკითხზე და შეძლებისგვარად აითვისონ ის სპეციფიკური ლექსიკა, რაც სხვადასხვა სფეროსთვის (მედიცინა, მეცნიერება, ბიზნესი, ასტროლოგია, გეოგრაფია და სხვა) არის დამახასიათებელი.

აპლიკანტებს, რომლების ავტონომიურად მუშაობენ გამოცდის წინა, მოსამზადებელ პერიოდში, შეგვიძლია ვურჩიოთ:

15. თავად აწარმოონ ლექსიკონები, სადაც შესული იქნება საერთაშორისო სასერტიფიკატი ტესტში გამოყენებული სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებული ის საბაზისო სიტყვები (სიტყვათა ოჯახები, დერივაციები), რომლებიც მათ ტექსტის შინაარსის გაგებაში დაეხმარება.

16. აქტიურად გამოიყენონ ლექსიკური ერთეულების სწავლის სტრატეგიები:

- მეტყველების ნაწილების გაანალიზება;
- სიტყვის შემადგენელი ნაწილების გაანალიზება;
- სიტყვის დაკავშირება სინონიმებთან და ანტონიმებთან;
- კონტექსტუალიზაცია;
- სემანტიკური რუკის შექმნა;
- ლექსიკონის წარმოება.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციებით მნიშვნელოვნად დავეხმარებით საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე გამსვლელ აპლიკანტებს ავტონომიური კითხვის დროს ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგებით გამოწვეული პრობლემების გადაჭრაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი, ა. (2008).უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2. ასლანიშვილი, თ. (2011). ზეპირმეტყველების სწავლებისას ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევის ოპტიმალური გზები. (დისერტაცია) თელავი: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3. ბალუაშვილი, ნ. (2016). გააზრებული კითხვის უნარის განვითარება მხატვრული ტექსტების საშუალებით. (დისერტაცია) თელავი: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

4. გოგიჩაიშვილი, თ. (2006). ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“

5. დოღონაძე, ნ. (2017). განათლების მეცნიერება. თბილისი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

6. ვულფოლკი, ა. (2009). განატლების ფსიქოლოგია. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

7. ზურაბიშვილი, თ. (2006). თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. სალექციო კურსი სოციალური მეცნიერების მაგისტრატურისათვის. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

8. იმედაძე, ი., (2007). ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“

9. იმედაძე, ი. (2005). ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა „ენა და კულტურა“

10. პაპუნაშილი, ნ. და ღარიბაშვილი, მ. (2016). - ღელვა, როგორც ემოციური ფაქტორი უცხო ენის შესწავლისა და შეფასების პროცესში. საერთაშორისო

11. სამეცნიერო კონფერენცია „განათლება, კვლევა, პრაქტიკა“ . შრომები. გვ. 133-138. თელავი: იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

12. უზნაძე, დ. (1940). ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი

13. უზნაძე, დ. 2005. პედაგოგიური თხზულებანი. თბილისი

14. ჯანაშია, ნ., იმედაძე, ნ. და გორგოძე, ნ. (2008). განვითარებისა და სწავლის თეორიები. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

15. წულაძე, ლ. (2008). რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

16. Abisamra, N. S. (2002). Affect in language learning. Motivation. Retrieved April 3, 2009,from http://www.nadasisland.com/motivation

17. Armbruster, B. B. (2000), Put Reading First: the Research BuildingBlocks for Teaching. Third Edition, USA, National Institute for Literacy p. 41

18. Atkinson, R.C.; Shiffrin, R.M. (1968). "Chapter: Human memory: A proposed system and its control processes". The psychology of learning and motivation. Psychology of Learning and Motivation. 2: 89–195

19. Atkinson, R. C., & Shiffrin, R. M. (1971). The control processes of short-term memory. Institute for Mathematical Studies in the Social Sciences, Stanford University.

20. Baddeley, A.D., & Hitch, G. (1974). Working memory. In G.H. Bower (Ed.), The psychology of learning and motivation: Advances in research and theory (Vol. 8, pp. 47–89). New York: Academic Press.

21. Baker, L., & Wigfield, A. (1999). Dimensions of children's motivation for reading and their relations to reading activity and reading achievement. Reading Research Quarterly, 34, 452-477.

22. Bandura, A. (1977). Social learning theory. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall.

23. Bandura, A. (1991). Social Cognitive Theory of Self-Regulation.Organizational Behavior and Human Decision Processes 50, 248-287.

24. Beaver, M. (2012). Resources and instructional strategies effective middle school science teachers use to improve content areareading skills. Doctoral dissertation. Indiana State University, ProQuest, UMI Dissertations Publishing, 3539339.

25. Benson, Ph. (1996). Concepts of autonomy in language learning. In R. Pemberton, Edward S.L. Li, Winnie, W. F. Or and Herbert D. Pierson (eds.), Taking Control. Autonomy in Language Learning (pp. 27-35). Hong Kong: Hong Kong University press

26. Benson, P. (2001). Teaching and Researching Autonomy in Language Learning. London: Longman

27. Benson, P. (2003). Learner autonomy in the classroom. In D. Nunan (Ed.), Practical English Language Teaching (p. 289-308). NY: McGraw Hill.

28. Berliner, D. C. (n.d.).THE 100-YEAR JOURNEY OF EDUCATIONAL PSYCHOLOGY.Arizona State University

29. Bernhardt, E. (2005) 'Progress and Procrastination in Second Language Reading', Annual Review of Applied Linguistics 25: 133-50.

30. Bisson M. J., van Heuven W. J. B., Conklin K., Tunney R. J. (2014). The role of verbal and pictorial information in multimodal incidental acquisition of foreign language vocabulary. Q. J. Exp. Psychol. 68, 1306–1326.

